

"გაზპრომი" რუსეთის საფონდო ბაზარს გადაარჩენს A4



გაკეთდა თუ არა ყველაფერი ენერგოსექტორში ინვესტორების მოზიდვისთვის A4



"გულახდილად" A7


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 18 მარტი, 2006 წელი. №58 (1210) | ფასი 50 თეთრი


## ამბები

### რა გვითხრა პრეზიდენტმა?

საქართველოს პრეზიდენტმა 16 მარტის ბრიფინგზე საზოგადოებისთვის საგულისხმო რამდენიმე მესიჯი გაახმოვანა.
როგორც აღმოჩნდა, პრეზიდენტს არ სჯერა, რომ პროტესტი სანდრო გირგვლიანის გახმაურებული მკვლელობის გამო მოდის საზოგადოების მხრიდან. იგი ღრმადაა დარწმუნებული, რომ საპროტესტო გამოსვლები ამ ფაქტთან დაკავშირებით მხოლოდ სპეკულაციებია პოლიტიკური ოპოზიციის მხრიდან.

A2

## სამართალი

### საქართველოს სამართლებრივი სივრცის მონიტორინგი

უკვე რამდენიმე დღეა, საქართველოში იმყოფება ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის ოფიციალური დელეგაცია. საკმაოდ წარმომადგენლობითი დელეგაციის წევრთა საქართველოში სტუმრობის მიზანი ჩვენში მიმდინარე სამართლებრივი პროცესების შესწავლა გახლავთ. სხვათა შორის, ეს ის უცხოური ორგანიზაციაა, რომლის შენიშვნების გათვალისწინებასაც საქართველოს ხელისუფლება ცდილობს ხოლმე.

A5

## რევიუ

### გპი-ს კვარტეტს - სიყვარულით

ამ ახალგაზრდა, სიმპათიური ბიჭების სიმღერებს საკვირველი ენერგია, სითბო და სიხალისე მოჰქონდათ. მათი ყველა სიმღერა იმ წუთიდანვე ჰიტად იქცა. გურამ ბზვანელი, შოთა ხარაბაძე, გურამ ბაკურაძე და თამაზ ცინცაძე - ყველანი ერთად და თითოეული ცალ-ცალკე განუმეორებელი პიროვნული ხიბლითაც გვაჯადოებდა.

A6


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 18/03 | 19 /03 |
| --- | --- | --- |
| თბილისი | 13 | 14 |
| ქუთაისი | 13 | 15 |
| გორი | 10 | 11 |
| ონი | 6 | 9 |
| ზუგდიდი | 17 | 20 |
| ახმეტა | 13 | 14 |
| სამტრედია | 17 | 19 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
| --- | --- |
| აშშ დოლარი | 1.8275 |
| ევრო | 2.2230 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2050 |
| რუბლი | 0.0660 |


| | |
| --- | --- |
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| ბიზნესი | A 4 |
| სამართალი | A 5 |
| რევიუ | A 6 |
| კვირა | A 7 |
| სპორტი | A 8 |


# მინსკელი ტყვეები

სოფო ბუკია

*ქართული დელეგაციის ვიზიტს მინსკის აეროპორტში ერთი დადებითი შედეგი მაინც მოჰყვა: მთელმა მსოფლიომ შეიტყო შინაპატიმრობაში მყოფი ქართველების შესახებ და ასევე მთელმა მსოფლიომ დაინახა, თუ როგორ პატივს სცემს ლუკაშენკოს რეჟიმი ეუთო-ს დამკვირვებლებსა და, ზოგადად, საერთაშორისო სამართლის ნორმებს.*

ამის შესახებ გუშინ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ კოტე გაბაშვილმა განაცხადა.

მინსკის აეროპორტში დაკავებული ქართველი დეპუტატების ჯგუფი თბილისში დღეს ჩამოვა. ქართველ დეპუტატთა ცხრაკაციანი დელეგაცია მინსკში ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის მანდატით, ბელარუსის საპრეზიდენტო არჩევნების მონიტორინგის მიზნით, 16 მარტს გაემგზავრა. ისინი მინსკის აეროპორტშივე დააკავეს და დახურულ ტერმინალში გადაიყვანეს. დეპუტატებს არც მობილური ტელეფონის გამოყენების უფლება აქვთ. ამჟამად ქართველი დეპუტატები მინსკის აეროპორტის სასტუმროში იმყოფებიან.

სააგენტო "ინტერფაქსთან" ინტერვიუში ბელარუსის სასაზღვრო ჯარების სახელმწიფო კომიტეტის თანამშრომელმა განაცხადა, რომ **"ამ პირთა ყოფნა ბელარუსის ტერიტორიაზე არასასურველია."**

**"ჩვენი კანონმდებლობით, ორგანო, რომელიც ბელარუსში უცხო ქვეყნის მოქალაქის არშეშვების თაობაზე გადაწყვეტილებას მიიღებს, ვალდებული არ არის, ამ მოქალაქეს უარის მიზეზები განუმარტოს,"** - აცხადებენ ბელარუსი მესაზღვრეები.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მთავარი ნაბიჯი შერიგებისკენ

## რესტიტუცია - შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაზარალებულებისთვის

ინგა ალავიძე

*წლების წინათ დაწყებული უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური პროცესი, რომელიც შევარდნაძის ხელისუფლების მმართველობისას არაერთგზის ჩაიშალა, ახლა უკვე პრაქტიკულად განხორციელდება. უახლოეს მომავალში საქართველოს პრეზიდენტის სამშვიდობო გეგმის ერთი ნაწილი ამუშავდება, მოხდება ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შეიარაღებული კონფლიქტისას დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუცია. გარდა ამისა, სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, დაზარალებულებს მორალური ზიანიც აუნაზღაუროს. საქართველოს სახელმწიფო გამოხატავს პოლიტიკურ ნებას და მის ტერიტორიაზე შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაზარალებულებს, მიუხედავად ეროვნებისა, დარღვეულ უფლებებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღუდგენს.*



*იუსტიციის მინისტრი რესტიტუციის კანონს მნიშვნელოვან პოლიტიკურ ნაბიჯად მიიჩნევს.*

ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის სხდომაზე, რომელიც იტალიაში 16 მარტს გაიხსნა, საქართველოს საკითხი განიხილეს, უფრო კონკრეტულად - "ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და რეაბილიტაციის შესახებ კანონის" პროექტის საბოლოო ვარიანტი. ვენეციის კომისიის ექსპერტებმა კანონპროექტს მაღალი შეფასება მისცეს - განაცხადეს, რომ საქართველოს მთავრობის ინიციატივა კონფლიქტის მოგვარების საქმეში პროგრესული ნაბიჯია. მათი აზრით, საქართველოს ხელისუფლების მიერ არჩეული გზა მისაბაძი უნდა გახდეს იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც მსგავსი პრობლემის წინაშე დგანან.

გაგრძელება A3 გვერდზე

# გაგრძელება იქნება

თამარ მაისურაძე

*სალარო-აპარატების მიზეზით დაწყებული აქციების სერია უფრო და უფრო "მრავალფეროვანი" გახდა. შეიძლება ითქვას, რომ პარლამენტთან გამართულ გუშინდელ აქციაზე თითქმის ყველა იმ პრობლემაზე საუბრობდნენ, რაც საქართველოში ხალხს აწუხებს. მოვაჭრეების გვერდით იდგნენ კოოპერატიული ბინათმშენებლობით უკმაყოფილოებიც, რომლებიც მთავრობას, როგორც თავად აცხადებდნენ, დასამარხ ფულს სთხოვდნენ. ელოდნენ სტუდენტებსაც და ამბობდნენ, სტუდენტების გარეშე არაფერი გამოვაო.*

ოპოზიციამ აქციაზე გუშინაც დააგვიანა. მათი არაპუნქტუალობით მოვაჭრეებმა ისარგებლეს და კიდევ ერთხელ განაცხადეს, რომ **"მთავრობა ხალხის კისერზე ზის. არ გვინდა ისეთი მთავრობა, რომელსაც საზღვარგარეთ ხშირ-ხშირი სიარულის შედეგად ქართულ აღარ ესმის."**

გაგრძელება A3 გვერდზე



*ლეიბორისტული ავანგარდი.*

# "ბასრი დანების ღამე"

## ცხელი ბოდვა ლუკაშენკოს ხელისუფლებისაგან

*19 მარტს ბელარუსში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. გაიმარჯვებს მოქმედი პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო. ყოველ შემთხვევაში, ეგზიტპოლები მას 45-დან 77 პროცენტამდე ხმებს ჰპირდება. ოპოზიციას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, ბოლომდე იბრძოლოს. თუმცა, ექსპერტების დიდი ნაწილი ბელარუსი ოპოზიციონერების ოპტიმიზმს არ იზიარებს. ბელარუსში რევოლუციური სცენარის განვითარების ბევრს არ სჯერა. როგორც ჩანს, "ფერადი რევოლუციის" პროვოცირებისთვის მხოლოდ ავტორიტარული რეჟიმი არ კმარა. საჭიროა, რომ ეს რეჟიმი საკუთარ თავში დარწმუნებული არ იყოს. ლუკაშენკო კი ყველაფერზე წამსვლელია და ძალიან დარწმუნებულია, რომ მინიმუმ ხუთი წელი ისევ "ბატკას" დაუძახებენ.*

სოფო ბუკია

ბელარუსის სუკ-ი ძლივს ასწრებს იმ მრავალრიცხოვანი, სენსაციური შეთქმულებების გახსნას, რომლებსაც უცხო ძალები, და მათ შორის, პირველ რიგში - საქართველო, ლუკაშენკოს წინააღმდეგ ამზადებს.

ამჯერად სუკ-ის ოფიციალურ საიტზე მორიგი ოპერატიული ინფორმაცია გამოჩნდა, სადაც მთავარი "უსამა ბინ ლადენი" კვლავ საქართველოს პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძეა.

ბელარუსის სუკ-ს ხელში ჩაუვარდა ერთი კონფიდენციალური დიალოგის ვიდეოფირი, სადაც გივი თარგამაძე ასეთ რამეს ამბობს: **"ეს იქნება ბასრი დანების ღამე, მე თავად ვაგებ პასუხს ამ საქმეზე ბელარუსში. ერთ-ორ პატარა აფეთქებას მოვაწყობ და ვერავინ გაიგებს, ვინ გააკეთა ეს."**

ბელარუსის სუკ-მა ისიც გამოთვალა, რომ მინსკში "ბართლომეს ღამის" მოწყობას თარგამაძე უკრაინასა და ლიტვაში საქართველოს საელჩოების თანამშრომლებთან ერთად აპირებდა.

საქართველომ ბელარუსის სუკ-ის პროფესიონალურ მიღწევებს საკმაოდ მოკლე კომენტარი დაურთო: **"აბსოლუტური ბოდვა"**. ბელარუსის ხელისუფლება რომ ამ ქვეყნის სუკ-ის მსგავსად "აბსოლუტურ ბოდვაშია", ამას იქ განვითარებული მოვლენები მოწმობს. დაკავებულია პრეზიდენტობის კანდიდატის, ლუკაშენკოს მთავარი ოპონენტის ალექსანდრ მილინკევიჩის შტაბის წევრი ვლადიმირ როდივონჩიკი;

დაკავებულია მილინკევიჩის ნდობით აღჭურვილი პირი ლევ მარგოლინი;

დაკავებულია მილინკევიჩის შტაბის წევრი ნიკოლაი სტატკევიჩი;

გაგრძელება A3 გვერდზე

# იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ოპოზიციას არაფერი ესაქმებაო

*"ვეცდები, არ გავამართლო თქვენი იმედები," - კენჭისყრის შედეგების შეტყობის შემდეგ, მღელვარებისგან ენა აერია "ნაციონალ" დეპუტატ ნინო კალანდაძეს, რომელიც გუშინ პარლამენტმა, 128 ხმით, 33-ის წინააღმდეგ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად აირჩია. ამ სტრუქტურაში არსებული მეორე ვაკანსია მისმა თანაფრაქციელმა ირინა ქურდაძემ დაიკავა (132 მომხრე, 29 წინააღმდეგი). უმრავლესობასთან ჭიდილში ოპოზიცია ვერაფერს გახდა: მიუხედავად იმისა, რომ "მრეწველების" წარმომადგენელმა გიორგი ცაგარეიშვილმა თავისი კანდიდატურა "დემოკრატიული ფრონტის" წევრის კახა კუკავას სასარგებლოდ მოხსნა, ოპოზიციის საერთო კანდიდატმა მხოლოდ 36 ხმა მიიღო და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს "მიღმა" დარჩა.*

გიორგი ასანიშვილი

ასაღელვებელი და სანერვიულო ნინო კალანდაძეს გუშინ მართლაც ჰქონდა. ნათელი იყო, რომ პოლიტიკური ოპონენტები მისი დისკრედიტაციის შანსს ხელიდან არ გაუშვებდნენ და "მეამბოხე მოსამართლეების" მიერ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის მისამართით გამოთქმულ ბრალდებებზე პასუხს მოითხოვდნენ.

მართლაც, საკითხის განხილვა კალანდაძისთვის არასასურველი სცენარით დაიწყო: ფრაქცია "დამოუკიდებელი მაჟორიტარის" თავმჯდომარის მოადგილემ ვალერი გელბახიანმა ისურვა, რომ ვიდრე ნინო კალანდაძის განათლებასა და სამუშაო სტაჟთან დაკავშირებით კითხვები არსებობს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხოლოდ ერთი წევრი არჩეულიყო, მეორე კი მხოლოდ მას შემდეგ დაემტკიცებინა პარლამენტს, როდესაც ამ კითხვებს პასუხი გაეცემოდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# რა შეცდომა დაუშვა ხელისუფლებამ

ნინო ნატროშვილი

ხელისუფლებასა და მცირე მეწარმეებს შორის დიალოგი ვერ შედგა. მთავრობის ეკონომიკური გუნდი ჩვენებას არ ცვლის. სალარო აპარატების საკითხი კი უკვე პოლიტიკურ ჭრილში განიხილება. ექსპერტთა ერთი ნაწილი ღიად აცხადებს, რომ ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვა, რადგან არაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მცირე მეწარმეები სალარო აპარატების შემოღებას და სანქციების გამკაცრებას მომზადებულნი შეხვედროდნენ.

**"მთავარი შეცდომა, რომელიც ხელისუფლებამ დაუშვა, ეს არის მეწარმეთა ინფორმირების ძალიან დაბალი დონე. მცირე მეწარმემ ვერ გაიგო, საგადასახადო სამსახურთან ანგარიშსწორება სალარო აპარატებით რატომ და როგორ უნდა აწარმოოს. მათთვის არავის აუხსნია, რომ შემოსავალს უნდა გამოაკლდეს ხარჯები და მეწარმემ პროცენტი დარჩენილი თანხიდან უნდა გადაიხადოს,"** - განუცხადა "24 საათს" ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ექსპერტმა კახა იმერლიშვილმა.

სალარო აპარატების დადგმას მეწარმეს საგადასახადო კოდექსი 2003 წლიდან ავალდებულებს. 2005 წლის დეკემბრამდე მოქმედი კანონით მეწარმეთა ყველა კატეგორია ვალდებული იყო, სალარო აპარატი გამოეყენებინა. კანონში შეტანილმა ცვლილებებმა მეწარმეთა გარკვეული კატეგორიები გადასახადებისაგან გაათავისუფლა. კერძოდ, გლეხები, რომლებიც თავად აწარმოებენ პროდუქციას, ასევე მცირე ბიზნესის ის წარმომადგენლები, ვინც არ იყენებს დაქირავებულ შრომას.

გაგრძელება A2 გვერდზე

დიმიტრი ავალიანის სვეტი

# რა გვითხრა პრეზიდენტმა?

საქართველოს პრეზიდენტმა 16 მარტის ბრიფინგზე საზოგადოებისთვის საგულისხმო რამდენიმე მესიჯი გაახმოვანა.

როგორც აღმოჩნდა, **პრეზიდენტს არ სჯერა, რომ პროტესტი სანდრო გირგვლიანის გახმაურებული მკვლელობის გამო მოდის საზოგადოების მხრიდან**. იგი ღრმადაა დარწმუნებული, რომ საპროტესტო გამოსვლები ამ ფაქტთან დაკავშირებით მხოლოდ სპეკულაციებია პოლიტიკური ოპოზიციის მხრიდან, ხოლო საზოგადოება სავსებით კმაყოფილია საქმის ოფიციალური ვერსიით, რომელიც ამავე ბრიფინგზე პრეზიდენტმაც დაადასტურა. იგი ხსნის ოპოზიციონერთა მოტივებსაც - უკმაყოფილება კანონიერი ქურდებისა და "მაფიოზურ-ოლიგარქიული ინტერესების" შევიწროების გამო.

ოპოზიციის პოლიტიკურ მოტივებს რომ თავი დავანებოთ, რაც, რა თქმა უნდა, ობიექტურად არსებობს, სიტუაციის ასე მარტივად წარმოდგენა არაადეკვატურია. საზოგადოებაში კვლავაც მრავალი კითხვა არსებობს და მათზე პასუხი არ არის გაცემული.

მეორე საინტერესო მესიჯი პრეზიდენტის მხრიდან - მთავრობაში არსებობს **ხელშეუხებელთა გუნდი**, "ოპრიჩნიკები", რომელთა პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე საუბარი, მათ უწყებებში შექმნილი სიტუაციის გამო, წარმოუდგენელია. ამ შემთხვევაში ეს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილია, რიმელსაც პრეზიდენტმა **"ძალიან მაგარი"** უწოდა. მისი უწყების თანამშრომელთა მონაწილეობა მკვლელობაში, მანქანების "დაწერების" პრაქტიკა (ეს თემა ხელახლა სწორედ გირგვლიანის მკვლელობის ფაქტმა ამოატივტივა), სხვა დარღვევები, რასაც მედია და არასამთავრობოები ახმოვანებენ, პრეზიდენტის აზრით, არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მინისტრი თანამდებობიდან მოიხსნას. მეტიც, მისი გადაყენების მოთხოვნა, პრეზიდენტის აზრით, **"უბადრუკი და სასაცილოა"**.

ბრიფინგის კიდევ ერთი საინტერესო დეტალი - პრეზიდენტი ხშირად ამა თუ იმ სფეროში შექმნილი სიტუაციის შესახებ **პიარ-კამპანიებისა და გადაღებული ვიდეორგოლების მეშვეობით მსჯელობს**. საუბარი გვიჩიანის დაკავების დროს პოლიციელთა ჩაცმულობაზე და კორექტულობაზე, როგორც ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი პოლიციის კარგი მუშაობის სასარგებლოდ, მოწმობს, რომ ვიზუალური ეფექტი პრეზიდენტს ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნია.

გარდა ამისა, პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ის, პირველ რიგში, პარტიის ლიდერია, **ფაქტობრივად, ერთი პარტიის პრეზიდენტია**. ნათელაშვილის "შალიკოდ" მოხსენიება, სხვა პოლიტიკოსების უდიერად ხსენება, დაცინვა ჟურნალისტების წინაშე, ერთი კონკრეტული პარტიის ლიდერის საქციელია, მაგრამ არა ქვეყნის პრეზიდენტისა. მაგრამ იგი, მოსწონს თავად თუ არა, რჩება ქვეყნის და, შესაბამისად, ნათელაშვილისა და ბაღათურიას პრეზიდენტადაც. სხვა პარტიების წევრობა, ან ოპოზიციონერობა კი არც ქვეყნის მტრობას ნიშნავს და არც პრეზიდენტის მხრიდან დაცინვის საგანი უნდა იყოს.

პრეზიდენტმა კონკრეტული გეგმა წარმოადგინა - 2008 წლისთვის ავტობანის მშენებლობა, სკოლების რემონტი და სრული კომპიუტერიზაცია, საავადმყოფოების შეკეთება. ვინ გადაიხდის ამის ფულს? პრეზიდენტი აცხადებს, რომ ელოდება მნიშვნელოვან ინვესტიციებს ქვეყანაში, რომელთა მოზიდვას, ძირითადად, გაუმართავი ინფრასტრუქტურა უშლის ხელს. პრეზიდენტი არ საუბრობს ბიზნესისათვის არახელსაყრელ სამართლებრივ გარემოზე - დამოუკიდებელი სასამართლოს ფაქტობრივ არარსებობაზე, სამართალდამცავი ორგანოების ეკონომიკურ საქმიანობაში ჩარევაზე და სხვა. უფრო სწორად, "საუბრობს", როდესაც მერაბიშვილის უწყების საქმიანობით კმაყოფილებას გამოხატავს. **ანუ ამ პრობლემას პრეზიდენტი არ ცნობს.**

პრეზიდენტი აცხადებს, რომ წელს საქართველოში ეკონომიკური ზრდა 10 პროცენტი იქნება. თუნდაც ეს პროგნოზი გამართლდეს, რა მყარი გარანტიები არსებობს ამ ზრდის შესანარჩუნებლად? ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, ეს არ არის ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო.

შესაძლოა, ხელისუფლებას ამ გრანდიოზული პროექტების საგადასახადო ადმინისტრირების გამკაცრების და, იმავდროულად, ბიუჯეტის სოციალური ხარჯების შეკვეცის ხარჯზე შესრულების იმედი აქვს, რაც ამჟამადაც ხორციელდება. ეს მოიტანს საბიუჯეტო შემოსავლების, მაგრამ არა მოქალაქეთა კეთილდღეობის ზრდას.

პრეზიდენტი სავსებით სამართლიანად სვამს კითხვას - "თუ ბელარუსისნაირი ქვეყანა გვინდა, მაშინ რას ვერჩით ბელარუსს?" იგულისხმება, რომ ბელარუსისნაირი ქვეყანა არ გვინდა და ბელარუსს ამიტომაც ვერჩით.

ბელარუსში ოპოზიციას და იმ მოქალაქეებს, ვინც პროტესტს გამოთქვამს, ხელისუფლება ტერორისტებს უწოდებს, ჩვენს ქვეყანაში - კანონიერი ქურდების მხარდამჭერებს და კრიმინალებს. ამიტომ სულაც არ არის ნათელი, განსხვავება ამ ორ ქვეყანას შორის.

# რა შეცდომა დაუშვა ხელისუფლებამ

პირველი გვერდიდან

ექსპერტთა შეფასებით, მოვაჭრეთა მთავარი უკმაყოფილება გამოიწვია იმან, რომ სალარო აპარატების დაუდგმელობის შემთხვევაში ფინანსური ჯარიმები გაიზარდა. კანონის თანახმად, საკონტროლო-სალარო აპარატის გარეშე მუშაობა 500 ლარით ჯარიმდება, განმეორებით ჩადენილი იგივე ქმედება - 5 000 ლარით, ხოლო ყოველი შემდგომი გამეორება - 10 000 ლარით.

**"სალარო აპარატი ეხმარება მეწარმეს, უფრო კარგად აღრიცხოს საკუთარი შემოსავლები. ხელისუფლება ყველანაირად უნდა ეცადოს, რომ წვრილი მეწარმეების ეს კატეგორია სალარო აპარატების შემოღების შედეგად არ დაზარალდეს. მთავრობა არ უნდა იყოს ორიენტირებული მხოლოდ იმაზე, რომ ბიუჯეტში თანხები შევიდეს და მცირე მეწარმეები გაკოტრდნენ. სამწუხაროდ, საქართველოში კვლავ დაბალია გადასახადის გადახდის კულტურა,"** - განუცხადა "24 საათს" კახა იმერლიშვილმა.

ექსპერტების შეფასებით, მცირე მეწარმეები, ფაქტობრივად, გაჭირვებული სოციალური ფენაა. გასაგებია ხელისუფლების ნება, რომ ყველა შემოსავალი უნდა აღირიცხოს და ბიზნესი ლეგალიზებული გახდეს, თუმცა ამ შემთხვევაში, აუცილებელია კომპრომისი, რადგან ხალხი მასობრივად უმუშევარი დარჩება.

აქამდე მოქმედი კანონის თანახმად, მეწარმეები საშემოსავლოს 12 პროცენტს და სოციალური გადასახადის 20 პროცენტს იხდიდნენ. დამატებითი ღირებულების გადასახადის გადახდა ეკისრებოდათ იმ მეწარმეებს, რომელთა სავაჭრო ბრუნვა 100 ათას ლარს აღემატებოდა. მოვაჭრეები კვლავ ფიქსირებული გადასახადის აღდგენას ითხოვენ. თუმცა, კახა იმერლიშვილის შეფასებით, სალარო აპარატების დადგმის შემთხვევაში მოვაჭრეები უფრო ნაკლებს გადაიხდიან.

გადაინაცვლებს თუ არა მცირე ბიზნესი ჩრდილში, ან საერთოდ გაქრება თუ არა, ამაზე საგადასახადო დეპარტამენტის პასუხი ცალსახაა - მეწარმეები ბაზარზე დაკავებულ ადგილს არ დაკარგავენ და არსებულ რეალობას შეეგუებიან. რაც შეეხება ფისკალურ ეფექტს, ხელისუფლების ეკონომიკურ გუნდს ზუსტი ეკონომიკური გათვლები არ აქვს. არსებობს მხოლოდ ერთი სტატისტიკა - 2006 წლის ორ თვეში 8 500 სალარო აპარატი დამონტაჟდა, 2005 წლის ორი თვის მონაცემებით კი - მხოლოდ 700.

# ნოღაიდელი აჭარაში

*გუშინ აჭარაში, მოულოდნელი ვიზიტით, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ჩამოვიდა. ქობულეთისა და ადლიის სანაპირო ზოლის დათვალიერებასთან ერთად, პრემიერმა მოინახულა ფერიის სათნოების სახლი, ქობულეთის რაიონში დაესწრო ხუცუბნის საშუალო სკოლისა და სოფელ ლეღვაში ხიდის გახსნას. პრემიერს რეგიონში მასპინძლობას არ უწევდა აჭარის პირველი პირი ლევან ვარშალომიძე, რომელიც აჭარაში არ იმყოფება.*

ემზარ დიასამიძე
*ბათუმიდან*

აჭარის სანაპირო ზოლს ზღვა ბოლო წლებში სულ უფრო და უფრო ინტენსიურად ანგრევს. 1990 წლიდან ნაპირგამაგრებითი სამუშაოები აქ საერთოდ არ განხორციელებულა. წელსაც, მიუხედავად ხელისუფლების არაერთი დაპირებისა, საქართველოსა და აჭარის ბიუჯეტებში ნაპირგამაგრებითი სამუშაოებისათვის ერთი თეთრიც არ ჩადებულა. გუშინ კი მოულოდნელად აჭარის სანაპირო ზოლის მდგომარეობით საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი დაინტერესდა. გავრცელებული ინფორმაციით, ეს თურქეთის პრეზიდენტის სტუმრობამ გამოიწვია, რადგან თურქული კომპანია ადლიის აეროპორტის რეკონსტრუქციას და გრძელვადიანი იჯარით აღებას გეგმავს. ზღვა კი აეროპორტის ტერიტორიასაც ინტენსიურად ანგრევს.

აჭარაში პრემიერს, საქართველოში არყოფნის გამო, მასპინძლობას არ უწევდა ლევან ვარშალომიძე. არაოფიციალური ინფორმაციით, იგი საფრანგეთის ქალაქ კანში იმყოფება. პრემიერს თან ახლდნენ პარლამენტის ვიცესპიკერი ჯემალ ინაიშვილი და ქობულეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ხაბაზი.

**"ჩემი ჩამოსვლის მიზანია, ჩემი თვალით ვნახო სანაპირო ზოლის მდგომარეობა და დავსახო გეგმები, რა ნაპირგასამაგრებელი სამუშაოები შეიძლება ჩატარდეს,"** - განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა. როდესაც პრემიერი ქობულეთის სანაპირო ზოლს ათვალიერებდა, მდინარე კინტრიშის შესართავთან აფხაზეთიდან დევნილები დახვდნენ და გზა გადაუკეტეს. დევნილები მოითხოვდნენ, რომ მათთვის კომპენსაცია დაკავებული ოთახების, და არა " საოჯახო ნომრების " მიხედვით მიეცათ. **"რამდენიმე ოჯახი ერთი საოჯახო ნიშნით არის გაფორმებული. მათთვის კომპენსაციები ცალ-ცალკე უნდა იყოს,"** - აცხადებდნენ ისინი. მცირედი სიტყვიერი შეხლა-შემოხლის შემდეგ, ნოღაიდელი დევნილებს შეპირებების გარეშე გაეცალა. იქ ქობულეთის მაჟორიტარი კანდიდატი კობა ხაბაზი დარჩა, რომელმაც დევნილებს შეხვედრა და მათი პრობლემების მოსმენა დღეისთვის დაუთქვა. ნოღაიდელმა ამ თემასთან დაკავშირებით მოკლე კომენტარი ადლიის სანაპირო ზოლის დათვალიერებისას გააკეთა და განაცხადა, რომ **"დღეს აქცია ბათუმში იქნება, ქობულეთში, თბილისში თუ სად, მნიშვნელობა არა აქვს. დევნილების საკითხი გადაწყვეტილია და ყველაფერი ისე გაკეთდება, როგორც თავის დროზე გადაწყდა. თანხის არანაირ გაზრდაზე საუბარი არ შეიძლება იყოს."**

პრემიერმა ედუარდ ფუტკარაძესა და ბათუმის მერიის წარმომადგენლებს დავალება მისცა, რომ კარგად შეესწავლათ სანაპირო ზოლის მდგომარეობა და შეემუშავებინათ ნაპირგამაგრების გეგმები. **"თანაც, ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ არ შეიძლება 100 მილიონად გაკეთდეს ის, რისი გაკეთებაც 2 მილიონად შეიძლება. უნდა გამოინახოს ნაპირგამაგრების ეფექტური და იაფი გზები,"** - განაცხადა ნოღაიდელმა.

ადლიაში კი, სადაც ზღვა ყოველი შტორმის დროს რამდენიმე მეტრით მოიწევს წინ, სტიქიით დაზარალებულმა მოსახლეობამ ნოღაიდელს ახალი პირობა წაუყენა: **"ჩვენთვის უმჯობესია, ნაპირგამაგრებითი სამუშაოები ჩატარდეს. ჩვენ კომპენსაციას და სხვაგან წასვლას აქ დარჩენა გვირჩევნია,"** - განაცხადა სტიქიით დაზარალებულმა ისმაილ დოლიძემ.

# იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ოპოზიციას არაფერი ესაქმებაო

პირველი გვერდიდან

უმრავლესობამ იგრძნო, რომ შეიძლებოდა, კალანდაძის კანდიდატურას ჩავარდნის საფრთხე დამუქრებოდა. ამიტომ სახელისუფლებო ფრაქციის ლიდერები სასწრაფოდ შეიკრიბნენ მოსათათბირებლად. პრეზიდიუმში კონსულტაციების დროს, მათ, როგორც ჩანს, იმაზე უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეს, რომ კანდიდატებისთვის კითხვის დასმის პროცედურაზე უარი ეთქვათ.

**"კანდიდატების სიტყვით გამოსვლა და მათთვის კითხვების დასმა შოუს ელემენტებს შეიძენს. ამიტომ, პირდაპირ კენჭისყრებზე გადავიდეთ,"** - მოითხოვა საპარლამენტო უმრავლესობის ვიცე-ლიდერმა რატი სამყურაშვილმა. თუმცა, სახელისუფლებო ფრაქციის ზოგიერთი წევრი ამის წინააღმდეგ წავიდა.

**"დებატებზე უარის თქმას ოპოზიცია სათავისოდ გამოიყენებს და ყოველთვის წამოგვაძახებს,"** - უფრო საღი აზრი აღმოაჩნდა ნოდარ გრიგალაშვილს. ბოლოს, უმრავლესობამ გადაწყვიტა, არც მწვადი დაეწვა, არც შამფური: კანდიდატებს სამწუთიანი გამოსვლის ნება მიეცათ, ხოლო ფრაქციებს - სამი წუთის განმავლობაში კითხვის დასმის უფლება.

ასეთი შეზღუდული თავისუფლების პირობებში, ოპოზიციამ მაინც მოახერხა ნინო კალანდაძეზე იერიშის მიტანა.

**"რატომ მიგაჩნიათ გირგვლიანის მკვლელობა კაფეში მომხდარ გაუგებრობად?"** - დაინტერესდა კობა დავითაშვილი.

**"დევნილმა მოსამართლეებმა თქვენს მიმართ არაერთი პრეტენზია წამოაყენეს და მათ გარკვეული დოკუმენტაციაც წარმოადგინეს. კარგი იქნება, თუ თქვენც ასევე დოკუმენტურად გასცემთ პასუხს,"** - მოითხოვა ფიქრია ჩიხრაძემ.

**"მე ყველანაირი დოკუმენტაცია მაქვს იმის დასადასტურებლად, რომ ყოველთვის კანონის ჩარჩოებში ვმოქმედებდი. ჩემი ბიოგრაფიული მონაცემები საჯაროა და მისი მოპოვება მოსამართლეებმა უპრობლემოდ შეძლეს (?!). დოკუმენტურად დასტურდება, რომ საკმარისი სტაჟი გამაჩნია, თუმცა კანონის ეს მოთხოვნა უკვე აღარ არსებობს... თუ გირგვლიანის მკვლელობაზე ასეთი რამ ვთქვი, ამისთვის ბოდიშს ვიხდი. ასეთი შეფასება ნამდვილად არ იყო ჩემი ჩანაფიქრი,"** - მიუხედავად არადამაჯერებელი პასუხებისა, ნინო კალანდაძემ მაინც მოახერხა ოპოზიციის მიერ დაგებული ხაფანგიდან თავის დაღწევა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს "საგზურის" მიღება.



*კალანდაძის "გადასარჩენად" კონსულტაციები დარბაზში დაიწყო და შესვენებაზე გაგრძელდა.*



*ოპოზიცია კიდევ ერთ "პოლიტიკურ სეკვესტრში" მოაყოლეს.*

ხელისუფლების ოპონენტების პროტესტი კი ჰაერში გამოკიდებული დარჩა. **"იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ოპოზიციას შევარდნაძის დროსაც კი ჰქონდა ერთი ადგილი. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს საბჭოს შემადგენლობა გაფართოვდა, იქ ჩვენთვის ადგილი უკვე აღარ მოიძებნება,"** - ჟურნალისტებთან საუბარშიღა იოხებენ გულს ოპოზიციონერები.

# ფოთელი ოპოზიციონერები გირგვლიანის საქმემ გააერთიანა

*ფოთის სინამდვილეში პირველად ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ადგილობრივი ლიდერები და არასამთავრობო ორგანიზაციები მრგვალ მაგიდას ერთად მიუსხდნენ. მათი განცხადებების ძირითადი თემა სანდრო გირგვლიანის მკვლელობა სამართალდამცავი სტრუქტურების უკანონო ქმედებები გახდა.*

ქეთინო ჭაკობია
*ფოთიდან*

საუბარი ფოთში მიმდინარე მოვლენებსაც შეეხო. ბოლო პერიოდში ქალაქში პოლიციელთა მხრიდან რიგით მოქალაქეებზე ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტები გახშირდა.

**"ვუერთდებით ქართველი საზოგადოების აზრს, ვუგზავნით მესიჯს ცენტრალურ ხელისუფლებას და ვითხოვთ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის დამკვეთებისა და შემსრულებლების სათანადო დასჯას. ეს იყო ბოლო პერიოდში ქვეყანაში მომხდარი მოვლენების კულმინაცია. ფოთშიც ბევრია ნარკოტიკების ჩაგდების, ფიზიკური შეურაცხყოფის, დაშინების ფაქტები, რის წინააღმდეგაც საპროტესტო აქციების მოწყობას ვგეგმავთ,"**- განაცხადა კონსერვატიული პარტიის ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარემ გოჩა დოლბაიამ.

ფოთის არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თავმჯდომარე ლაშა ბერაიას თქმით, **"ხალხი ხელფასს უხდის იმ პოლიციელებს, ვინც მათი და მათი შვილების უფლებებს არღვევს. ჩვენმა აქტიურობამ უნდა შეაჩეროს უკანონო ქმედებები. ამ შემთხვევაში ჩვენი და ოპოზიციური პარტიების ერთად დგომა აუცილებელია."**

რესპუბლიკური პარტიის ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარის გია გოგინავას აზრით, ფოთი დღესაც კულუარული, უცნობი ძალებით იმართება. ქალაქს ჰყავს ქმედითუუნარო საკრებულო, მარიონეტი მერი და ხელისუფლება გაუგებარი მეთოდებით ფორმირდება. გოგინავა მიმდინარე მოვლენებს საომარ მოქმედებებს ადარებს. **"ხდება ძალის დემონსტრირება, ქვეყანაში, სადაც აკრძალულია სიკვდილით დასჯა, ე.წ. სპეცოპერაციების შედეგად ხდება ადამიანთა მკვლელობა ან დაჭრა,"** - ამბობს იგი.

"ახალი მემარჯვენეების" ფოთის ოფისის თავმჯდომარის, ირაკლი კაკულიას ინფორმაციით, მსგავსი შეხვედრები ყოველი კანონდარღვევის დაფიქსირების შემდეგ გაიმართება. იგი იმედოვნებს, რომ მსგავსი რეაქციით საზოგადოება ხელისუფლების გონზე მოყვანას შეძლებს.

მოკლედ

### ჯანდაცვის სამინისტროში მოქალაქეთა მოდერნიზებული მისაღები ამოქმედდა

ჯანდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული სამსახურის ინიციატივითა და მინისტრის ლადო ჭიპაშვილის გადაწყვეტილებით მინისტრის მოადგილეები, მრჩევლები, თანაშემწეები და დეპარტამენტების ხელმძღვანელები მოქალაქეებს სამუშაო დღეებში 14-დან 17-საათამდე მიიღებენ. "ჩვენი პრინციპიდან "მოქალაქე ეძებს ჩინოვნიკს" გადავედით პრინციპზე "ჩინოვნიკი ეახლება მოქალაქეს". იმისთვის, რომ თანამდებობის პირები არ მოვწყვიტოთ სამუშაო პროცესს, მოქალაქეთა მიღებისათვის გამოვყავით სპეციალური საათები. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მე პირადად რვა ათასზე მეტ მოქალაქეს შევხვდი და ამ პროცესს კვლავ გავაგრძელებ," - განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა.

მინისტრის მოადგილეები და სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელები მათ კომპეტენციის სფეროს მიკუთვნებული საკითხების თაობაზე მოქალაქეებს ყოველი კვირის პარასკევ დღეს მიიღებენ. მინისტრის მრჩევლები და თანაშემწეები მოქალაქეთა მიღებას ორშაბათს და ოთხშაბათს აწარმოებენ. სამშაბათსა და ხუთშაბათს კი სპეციალურად გამოყოფილი კადრები მისაღებში მოქალაქეთათვის ინფორმაციის დროულ მიწოდებაზე იზრუნებენ. **მედიანიუსი**

### სალომე ზურაბიშვილი ახალციხის მოსახლეობას შეხვდა

სალომე ზურაბიშვილს ახალციხის მოსახლეობასთან წინაწარ დაგეგმილი შეხვედრები არ ჰქონია, თუმცა, მან ქალაქის ქუჩებში ფეხით გაიარა და ახალციხელებს არსებულ პრობლემებზე გაესაუბრა. როგორც ექს-მინისტრმა განაცხადა, "საქართველოს გზა" ახალციხეში ოფისს უახლოეს მომავალში გახსნის. "ორ თვეში, პარტიაში შიდა არჩევნები ჩატარდება და ამის შემდეგ, რაიონში "საქართველოს გზის" წარმომადგენლებიც დაინიშნებიან", - აღნიშნა მან და დასძინა, რომ "საქართველო სწორედ სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან იწყება და მის მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირია საჭირო". **ინტერპრესნიუსი**

### "ქართული ფუნდამენტი" ტუბერკულოზის პრევენციისთვის

ისეთი გლობალური პრობლემის მოსაგვარებლად, როგორიც ტუბერკულოზით დაავადებულთა განკურნებაა, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოსახლეობისთვის გაწეული მცირედი დახმარებაც კი უდავოდ მისასალმებელია. არასამთავრობო ორგანიზაცია "ქართულ ფუნდამენტს" დაარსებიდან დღემდე ტუბერკულოზის პრევენციისა და კონტროლის კუთხით 7 პროექტი აქვს განხორციელებული.

"ქართული ფუნდამენტის" ამჟამინდელი საქმიანობა, რომელიც USAID-MSCI-ს ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება, "მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების ჩაბმას ტუბერკულოზის გამოვლენისა და მკურნალობისთვის" ისახავს მიზნად. ამ პროექტში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ჩართულია საპატრიარქოს საინიციატივო ჯგუფიც.

პროექტი თბილისის ორ ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ რაიონში (ისანი-სამგორისა და გლდანი-ნაძალადევის) ხორციელდება. როგორც ცნობილია, ტუბერკულოზი აირწვეთოვანი გზით გადადის. მისი გავრცელების მაღალი რისკი კომპაქტურად დასახლებულ ადგილებშია. სწორედ ამ კრიტერიუმით შეირჩა ზემოთ ჩამოთვლილი რაიონები. გარდა ამისა, მათ იმავე პროექტის ფარგლებში, ადგილობრივი საკაბელო ტელევიზიის მეშვეობით, ყოველთვიურად მიეწოდებათ ინფორმაცია, თუ როგორ უნდა დაიცვან თავი ტუბერკულოზისგან. ეს სოციალური დაავადება ასევე ფართოდაა გავრცელებული დევნილებშიც, რომლებთანაც ასევე საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლები მუშაობენ.

საინიციატივო ჯგუფის წევრები მოსახლეობას ხვდებიან და მათ განსწავლას ცდილობენ, თუ როგორ უნდა აიცილონ თავიდან ტუბერკულოზის დაავადება. პარალელურად ხდება დაავადებულთა გამოვლენაც, რომლებიც შემდგომ სტაციონარულ მკურნალობას გადიან. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არც დაავადების შესახებ იცის რაიმე და არც იმის შესახებ, რომ საქართველოში ტუბერკულოზის დიაგნოზის დასმა და მკურნალობა უფასოა.

ცნობილია, რომ როგორც სხვა მრავალი დაავადებისას, ისე ტუბერკულოზით დაავადებულთა მიმართ არსებობს საზოგადოების სტიგმა, რაც თავად დაავადებულებს უქმნის "დისკომფორტს". მათი გარკვეული ნაწილი სწორედ ამ მიზეზით ცდილობს დაავადების დამალვას. "ქართული ფუნდამენტის" პროექტის თანახმად, დაავადებაში "ეჭვმიტანილებს" ურიგდებათ სპეციალური ანკეტები, რომლის შევსება და "ტუბდისპანსერში" ჩაბარება ნებაყოფლობითია. ეჭვის გამართლების შემთხვევაში ანკეტის "ავტორს" დისპანსერის ექიმი თავად უკავშირდება.

24 მარტს ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეა. ამ დღეს "ქართული ფუნდამენტს" მოსახლეობის განსწავლისთვის სპეციალურ ბროშურებს დაარიგებს, რომელზეც სიმბოლურად თეთრი გვირილა იქნება გამოსახული. ცნობისთვის, წლების წინ, ვიდრე მედიცინა განვითარდებოდა, ტუბერკულოზით დაავადებულებს გვირილებით მკურნალობდნენ.

*24 საათი*

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# "ბასრი დანების ღამე"

პირველი გვერდიდან

დაკავებულია მილინკევიჩის შტაბის წევრი ანდრეი კლიმოვი;

სულ 15 მარტიდან დღემდე დაკავებულია ოპოზიციის მხარდამჭერი 20-ზე მეტი აქტივისტი.

დაკავებულია გაზეთ "ტოვარიშის" 20-ათასიანი ტირაჟი, სადაც მილინკევიჩის საპრეზიდენტო პროგრამა იყო გამოქვეყნებული; სასწავლებლიდან გარიცხულნი არიან მინსკის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები, ერთ-ერთი ოპოზიციური გამოცემის თანამშრომლები ალესია კარცელი და ლუდმილა ოსიპენკო, მიზეზი - ორი აკადემიური საათის გაცდენა; დეპორტირებულია ცხრა ქართველი დეპუტატი, რომლებიც მინსკში საპრეზიდენტო არჩევნების მონიტორინგის მიზნით, ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის მანდატით ჩავიდნენ; დეპორტირებულია დანიის ცხრა მოქალაქე;

დაკავებულია ხუთი უკრაინელი სტუდენტი; ხუთი წლის განმავლობაში ბელარუსის საზღვრის გადმოკვეთა აკრძალული აქვს ორ შვედ მოქალაქეს; 40 უცხოელ ჟურნალისტს უარი ეთქვა ბელარუსის ვიზაზე.

მინსკში ამტკიცებენ, რომ არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო ხალხის ქუჩაში გამოსვლის შემთხვევაში, ლუკაშენკოს ხელისუფლების ქმედებები უკონტროლო გახდება.

ასეა თუ ისე, ბელარუსის ხელისუფლებას დაუდევრობას ვერ დააბრალებ. მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ლუკაშენკოს რეჟიმმა გააფრთხილა ყველა, ვისი გაფრთხილებაც საჭირო იყო.

ძალიან საინტერესო განცხადება გააკეთა გუშინ ბელარუსის შინაგან საქმეთა მინისტრმა ვლადიმირ ნაუმოვმა, რომელმაც ბელარუსში არჩევნების გასაშუქებლად ჩასულ ჟურნალისტებს უსაფრთხოების გარანტიები არ მისცა.

**"თუ ჟურნალისტები თავად ფრთხილად მოიქცევიან და ხალხმრავალ ადგილებს თავს აარიდებენ, მაშინ ჩვენ, რა თქმა უნდა, უზრუნველვყოფთ მათ უსაფრთხოებას, მაგრამ თუ ოქტომბრის მოედანზე ხალხი შეიკრიბება და ჟურნალისტები ამ მოვლენის გასაშუქებლად მივლენ, ასეთ შემთხვევაში, ჩვენ არაფერზე პასუხისმგებელნი არა ვართ,"** - აღნიშნა ნაუმოვმა.

მიუხედავად ამისა, ბელარუსის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილების ინფორმაციით, ბელარუსში არჩევნების გასაშუქებლად 500-ზე მეტი უცხოელი ჟურნალისტია აკრედიტებული.

მოსალოდნელი საფრთხის შესახებ გაფრთხილებულია ოპოზიციაც: რამდენიმე დღის წინ ყველა ოპოზიციონერმა მიიღო სპეციალური წერილი ვინმე "კეთილისმსურველი შსს ოფიცრისგან". ოფიცერი ატყობინებს ოპოზიციონერებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიცია არჩევნების შემდეგ მიტინგის გამართვას გადაწყვეტს, ხელისუფლება მომიტინგეებს წყლის ჭავლს, ე.წ. "ჩერიომუხას" გაზს და 250 გაწვრთნილ ძაღლს დაუპირისპირებს.

მანამდე ბელარუსის სუკ-ის ხელმძღვანელმა სტეპან სუხორენკომ ოპოზიციონერებს ასეთი მუქარით მიმართა: **"ყველა, ვინც გამოვა ქუჩაში და სიტუაციის დესტაბილიზაციას შეეცდება, "ტერორიზმის" მუხლით დაისჯება."**

ცხადია, ამ განცხადებების მთავარი ადრესატი არც ჟურნალისტთა კორპუსი ყოფილა და არც ოპოზიცია. ქართული ანდაზისა არ იყოს - **"მულო, შენ გეუბნები და რძალო, შენ გაიგონეო"** - ლუკაშენკოს რეჟიმი ამ განცხადებებით ხალხს მიმართავს. და თუ ვინმეს აქამდე თეორიულად მაინც ჰქონდა გადაწყვეტილი, ქუჩაში პროტესტი გამოეხატა, ამ რისკს ბევრი თავს აარიდებს.

# გაგრძელება იქნება

პირველი გვერდიდან

პარლამენტის წინ გამართულ აქციებზე წამყვანის როლი ტრადიციულად "ლეიბორისტებს" და კერძოდ, პაატა ჯიბლაძეს ერგო. მისმა ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა კი ხალხს აუწყა, რომ **"იწყება ბრძოლის მეორე ეტაპი, რაც არსებული ხელისუფლების მშვიდობიანი ფორმით შეცვლას გულისხმობს."**

ნათელაშვილი მოგვიანებით პარლამენტარმა კობა დავითაშვილმა შეცვალა, რომელმაც აქციის წევრებს ჯერ სანდრო გირგვლიანის დედის წერილი წაუკითხა: **"თუ თქვენ დადგებით შვილმკვდარ დედასთან და ხმას აიმაღლებთ ამ უკანონობის წინააღმდეგ, მეტი ალბათობა იქნება, რომ სანდროს სიკვდილი თქვენი შვილების დასაცავად აღმართული ფარი გახდეს".** მიმართვის დასრულების შემდეგ დავითაშვილმა აქციის წევრებს აცნობა, რომ სახელმწიფო კანცელარიასთან არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომის მოთხოვნით აქციას მართავდა. პარლამენტთან შეკრებილებმა კანცელარიასთან გადაინაცვლეს.



ოპოზიციის განცხადებებში პოლიტიკური მოტივები სჭარბობს.

იქამდე, არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციამ თავიანთი პროტესტი ჯერ კიდევ გუშინ დილით, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან გამოხატა, როცა სამინისტროს რკინის ღობეზე გამოაკრეს შავი პლაკატი წარწერით **"შსს - შენი სიცოცხლე საფრთხეშია".** არასამთავრობოებმა თავიანთი მოთხოვნები კანცელარიამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობასთან დააფიქსირეს. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ ანა დოლიძემ აღნიშნა, რომ **"სასწრაფოდ უნდა გამოვლინდნენ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის დამკვეთები. მათ არ უნდა მიეცეთ საქართველოს დატოვების უფლება. საჯაროდ უნდა დაიკითხონ შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსნები და მკვლელობა ობიექტურად უნდა გამოიძიონ. ასევე უნდა შეფასდეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის როლი, რომელიც ვერ ასრულებს საკუთარ მოვალეობას, რადგან მისივე უწყების თანამშრომლები არიან მკვლელობაში ეჭვმიტანილები."**

გუშინ დილით თუ მხოლოდ მერაბიშვილის გადადგომას ითხოვდნენ, საღამოს, მთავრობის მთელი შემადგენლობის შეცვლა სურდათ. "მერაბიშვილის გადადგომა, იურიდიულად მთელი ხელისუფლების გადაყენებას გულისხმობს," - აცხადებდნენ კანცელარიასთან, სადაც არასამთავრობოთა კოალიციის წარმომადგენლებთან ერთად, თითქმის ყველა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელს მოეყარა თავი.

**"მე დავკარგე ყველაზე ძვირფასი ადამიანი ამ ქვეყანაზე და დასაკარგი აღარაფერი დამრჩა. ძალიან გთხოვთ, დავდგეთ ყველანი ერთად უსამართლობის დასამარცხებლად,"** - ხალხს მიმართა სანდრო გირგვლიანის დედამ, ირინა ენუქიძემ.

კანცელარიასთან გამართული აქცია რამდენიმე საათში დაიშალა. მისმა ორგანიზატორებმა გვითხრეს, რომ... გაგრძელება იქნება, რადგან **"ხელისუფლებამ ხალხთან დადებული "ხელშეკრულება" დაარღვია."**

აქციებს ჩვეულებისამებრ ძალოვანი უწყებების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. თუმცა, ერთი სიახლე კი შეინიშნებოდა - პატრულს პარლამენტთან შეკრებილების თვალყურის დევნა ჰქონდა დავალებული, "სპეცრაზმი" კი სახელმწიფო კანცელარიას იცავდა.

# მთავარი ნაბიჯი შერიგებისკენ

პირველი გვერდიდან

კანონპროექტის შექმნის პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის ექსპერტები. ცოტა ხნის წინათ საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოწვევით საქართველოში ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის დელეგაცია, რომელსაც კომისიის მდივანი ჯანი ბუკიკიო ხელმძღვანელობდა. კანონპროექტში, რომელიც ვენეციის კომისიის სხდომაზე 16 მარტს განიხილეს, ვენეციის კომისიის ესქპერტთა ყველა რეკომენდაციაა გათვალისწინებული.

**"ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და რეაბილიტაციის შესახებ კანონის" პროექტი საქართველოს პრეზიდენტის სამშვიდობო გეგმის ნაწილია. სამშვიდობო გეგმა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისადმი ქართველი ხალხის მზადყოფნას გამოხატავს,** - განაცხადა ვენეციის კომისიის სხდომაზე გამოსვლისას საქართველოს იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ, - **საქართველოს მთავრობა მიესალმება ქონებრივი რესტიტუციისა და რეაბილიტაციის საკითხთა კომისიაში საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობას, რომელთა შორის არის ევროკომისია, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, ევროპის საბჭო, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესში მონაწილეობისადმი ინტერესი გამოთქვა აშშ-ს მთავრობამაც."**

საქართველოს იუსტიციის მინისტრი ვენეციიდან კვირას დაბრუნდება და კანონპროექტს, რომელიც ევროსაბჭოს ექსპერტებმა მოიწონეს, ოთხშაბათს საქართველოს მთავრობა განიხილავს, რის შემდეგაც საქართველოს პარლამენტს გადაეგზავნება.

ვენეციაში გამგზავრებამდე იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, რომ აპრილის შუა რიცხვებისთვის "ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და რეაბილიტაციის შესახებ კანონი" რეალურად ამოქმედდება.

**- ბატონო გია, საინტერესოა, თქვენი პროგნოზით, როგორ შეფასებას მისცემს ვენეციის კომისია კანონპროექტს?**

- კანონპროექტი, რომელზეც იუსტიციის სამინისტრო წელიწადზე მეტია მუშაობს, საქართველოს პრეზიდენტის სამშვიდობო გეგმის ნაწილია. დღეისთვის მას, პრაქტიკულად, უკვე საბოლოო სახე აქვს. თავის დროზე კანონპროექტმა გაიარა საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტიზა, მათ შორის - ვენეციის კომისიისა. როგორც ცნობილია, ეს არის ევროსაბჭოს ეგიდით მოქმედი ორგანიზაცია, სადაც საერთაშორისო სამართლის ექსპერტები მუშაობენ და ნებისმიერ პროექტს ევროსტანდარტების შესაბამისად აფასებენ. ვენეციის კომისიის დელეგაცია თებერვალში საქართველოში იმყოფებოდა და მოხდა კანონპროექტის საბოლოო შეჯერება. კომისიის ექსპერტებმა წარმოგვიდგინეს შენიშვნები, რომლებიც გავითვალისწინეთ. შენიშვნები მოვიდა გაეროს ლტოლვილთა კომისარიატის ოფისიდანაც. ვენეციის კომისიაში ჩვენი ვიზიტის მიზანია კანონპროექტის საბოლოო ვარიანტზე შეთანხმება. ჩვენ სერიოზულად ვიმუშავეთ კანონპროექტზე, გავითვალისწინეთ საერთაშორისო ექსპერტთა შენიშვნები და დარწმუნებული ვარ, რომ კანონპროექტს საერთაშორისო ექსპერტები დადებითად შეაფასებენ. ვენეციის კომისიიდან დაბრუნების შემდეგ კანონპროექტი წარედგინება საქართველოს მთავრობას, რის შემდეგაც საბოლოო ფორმას მიიღებს და საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტში შეიტანს.

**- თავის დროზე რესტიტუციის კანონპროექტის რამდენიმე ვერსია არსებობდა, რა ძირითადი მექანიზმებია ჩადებული პროექტის საბოლოო ვარიანტში?**

- გავითვალისწინეთ საერთაშორისო ექსპერტთა რეკომენდაციები, რომელიც, ძირითადად, ორი სახის იყო - კონცეპტუალური და სამართლებრივიც. ტექნიკური ხასიათის შენიშვნებზე ყურადღების გამახვილება არც ღირდა. ამიტომაც, მხოლოდ კონცეპტუალური სახის შენიშვნები გავიზიარეთ. საუბარია კანონის მოქმედების სფეროზე. საქართველოს მთავრობა კონფლიქტის შედეგად დაზარალებულებს, განურჩევლად ეროვნებისა, სთავაზობს - ქონებრივ რესტიტუციას და მორალური ზიანის ანაზღაურებას. ვენეციის კომისიამ შემოგვთავაზა, შევზღუდოთ კანონის მოქმედების სფერო, შემოვიფარგლოთ მხოლოდ ქონებრივი რესტიტუციით და არ შევეხოთ მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხს. ისინი მიიჩნევენ, რომ მორალური ზიანის ანაზღაურება ფართო ცნებაა და ძალზე შორს წაგვიყვანს. აქედან გამომდინარე, მათი რეკომენდაციით, შევზღუდეთ ეს სფერო.

არის მეორე კონცეპტუალური საკითხი: საუბარია კომისიაზე, რომელმაც ეს კანონი უნდა აამუშაოს. კომისია უნდა იყოს სამმხრივი - ქართული მხარის, ოსური მხარისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული. სამწუხაროდ, კანონის ამუშავებას ოსური მხარე უარყოფითად უყურებს. ლუბლიანაში მიმდინარე შეხვედრაზე ოსურ მხარეს ოსურად თარგმნილი კანონპროექტის ტექსტი გადავეცით, მაგრამ მათგან არანაირი გამოხმაურება არ ყოფილა. ვეცადეთ, რომ მიგვეღო მონაწილეობა სხვა შეხვედრებში, სადაც კანონპროექტი განიხილებოდა, მაგრამ მათი მხრიდან კვლავ უარი მივიღეთ. ვენეციის კომისიის ექსპერტებმა მოითხოვეს, რომ, თუ ოსური მხარე არ მიიღებს მონაწილეობას კომისიის მუშაობაში, მაშინ კომისიაში მათი კვოტა საერთაშორისო ორგანიზაციებზე გადანაწილდეს, ანუ კომისია ძირითადად უცხოელებით დაკომპლექტდება. ეს არის საკვანძო საკითხი, რაც სერიოზულ გადაწყვეტას საჭიროებს და რომლის განხილვაც ვენეციის კომისიის სხდომაზე მოხდება. ჩვენი ვიზიტის ძირითადი მიზანიც სწორედ ეს არის.

**- თუკი ოსურმა მხარემ არ გამოთქვა კომისიაში მონაწილეობის სურვილი, კანონის ამუშავება შესაძლოა ეჭვქვეშ დადგეს? არადა, როგორც ჩანს, რეალურად არსებობს ეს პრობლემა.**

- რა თქმა უნდა, რეალურად პრობლემა არსებობს, მაგრამ სამართლებრივი თვალსაზრისით, კანონის ამოქმედებას ხელს ვერაფერი შეუშლის, რადგან საქართველოს მთავრობას საქმე აქვს კონკრეტულ დაზარალებულთან, რომლის უფლებების დაცვასაც სახელმწიფო ვალდებულებად იღებს. დაზარალებულისთვის კი არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, კომისია როგორ დაკომპლექტდება. მთავარია, შედეგი დადგეს.

ჩვენი პოზიცია ასეთია: გვსურს, ოსურმა მხარემაც მიიღოს ამ უმნიშვნელოვანეს პროცესში მონაწილეობა. ქართული მხარე ყველაფერს აკეთებს ამისთვის, თუმცა, თუ ეს ასე არ მოხდა, საქართველოს მთავრობა პროცესს არავითარ შემთხვევაში არ გააჩერებს - დაზარალებულებს უფლებები აუცილებლად უნდა აღვუდგინოთ და ხელოვნურად შექმნილი ბარიერებით ამ პროცესს ვერ დავაყენებთ საფრთხის ქვეშ - ასეთია ჩვენი პოზიცია და ასეთია საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიცია.

საქართველოს ხელისუფლება კისრულობს უსერიოზულეს ვალდებულებას და ამას განახორციელებს საერთაშორისო მექანიზმების საშუალებით - როგორც გითხარით, თუ დარჩა ცარიელი კვოტა, ვენეციის კომისიის რეკომენდაციით, ის გადანაწილდება საერთაშორისო ექსპერტებზე. მთავარი მაინც ისაა, რომ ინფორმაცია მივიდეს კონკრეტულ დაზარალებულამდე, ხმა უნდა მივაწვდინოთ კონკრეტულ დაზარალებულებს, რომ ქართული სახელმწიფო მზადაა მათი ქონებრივი უფლებები აღადგინოს.

**- პოლიტიკური თვალსაზრისით, რესტიტუციის შესახებ კანონს საქართველოსთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. როგორ ფიქრობთ, როდის დაიწყება მისი რეალურად განხორციელება?**

- კანონის ამუშავებას საქართველოსთვის ძალზე დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ეს არის სახელმწიფოს სერიოზული განაცხადი. ჩვენი გეგმა ძალზე კონკრეტულია. ჩვენი გათვლებით აპრილის შუა რიცხვებისთვის კანონი უნდა მოქმედებდეს. საქართველოს მთავრობა გამოთქვამს პოლიტიკურ ნებას - ადამიანს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალდა, სახელმწიფო სთავაზობს უფლებების აღდგენის რამდენიმე ვარიანტს: დაზარალებულს შესაძლებლობა ექნება, დაუბრუნდეს ადრინდელ საცხოვრებელ ადგილს; თუ ამის სურვილი არ ექნება, ან სხვა მიზეზი იარსებებს, მას შეეძლება აირჩიოს ალტერნატიული საცხოვრებელი, ან მიიღოს ფულადი კომპენსაცია.

კანონი კონფლიქტის დროს დაზარალებულთა ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ესაა: მშობლიურ სახლში თავისუფალი დაბრუნების უფლება; ომის დროს ჩამორთმეული საკუთრების აღდგენის უფლება და იმ საკუთრებაზე კომპენსაციის უფლება, რომლის აღდგენაც შეუძლებელია.

**- კოკოითის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ, ალბათ "უფროსი ძმების" რჩევით, ასე ვთქვათ, საპასუხო ნაბიჯი გადადგა და აპირებს ჰააგის ტრიბუნალს მიმართოს საქართველოსგან კომპენსაციის მისაღებად. რამდენად სერიოზულია ეს განცხადება?**

- გაავრცელეს ასეთი ინფორმაცია, მაგრამ მათ ამ სურვილს არანაირი სამართლებრივი პერსპექტივა არ გააჩნია. საერთოდ, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ სხვადასხვა პოლიტიკურმა პროცესებმა რესტიტუციის კანონის ამოქმედებაზე არანაირი გავლენა არ მოახდინოს, ეს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური პროცესი უნდა დაიწყოს რაც შეიძლება სწრაფად და მისი შეჩერება დაუშვებელია.

# მინსკელი ტყვეები

პირველი გვერდიდან

უკრაინაში საქართველოს საელჩოს კონსული ზურაბ კვაჭაძე, რომელიც ქართველი დეპუტატების დაკავების გამო კიევიდან მინსკში ჩავიდა, აცხადებს, რომ დაკავებულებთან შეხვედრის საშუალება მას ერთი დღის განმავლობაში არ მისცეს. **"უკანასკნელი ინფორმაციით, ქართველი დეპუტატები თბილისში შაბათს ჩამოვლენ. მანადე მათი გამგზავრება ვერ მოხერხდება, რადგან დეპუტატებს არც ერთი სხვა ქვეყნის ვიზა არა აქვთ, თბილისის რეისი კი მხოლოდ შაბათს დილით იქნება,"** - აღნიშნა კვაჭაძემ.

ქართველი დეპუტატების დაკავების ფაქტთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გაავრცელა საქართველოს საგარეო უწყებამ. **"საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს აღშფოთებას ეუთო-ს დამკვირვებელთა მისიის ეგიდით ბელარუსის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად მიმავალი, საქართველოს მოქალაქეების მინსკის აეროპორტში დაკავებასთან დაკავშირებით, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს ბელარუსის ხელისუფლების დაუფარავ გადაწყვეტილებას, უარი თქვას დემოკრატიისა და არჩევნების ტრანსპარენტულობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებზე. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ბელარუსის მხარისგან კატეგორიულად მოითხოვს, დართოს ნება ქართველ დიპლომატს, შეასრულოს საკონსულო ფუნქციები საქართველოს მოქალაქეების უფლებების დასაცავად, ხოლო საქართველოს პარლამენტართა ჯგუფს მისცეს საშუალება, განახორციელოს სადამკვირვებლო მისია ეუთოს ეგიდით,"** - აღნიშნულია განცხადებაში.

საქართველოს საგარეო უწყებამ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით პროტესტის ნოტა უკვე გადასცა ბელარუსის საგარეო საქმეთა სამინისტროს.

სპეციალური ბრიფინგი გაიმართა გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში, სადაც პრეზიდენტის პრესსპიკერმა გელა ჩარკვიანმა ბელარუსის ხელისუფლებას ელემენტარული საერთაშორისო ნორმები შეახსენა. **"საქართველოს ხელისუფლება ბელარუსის მხარისგან კატეგორიულად მოითხოვს, საკუთარი მოვალეობების შესრულების საშუალება მისცეს ეუთო-ს დამკვირვებელთა მისიას, რომლის შემადგენლობაში ქართველი დეპუტატებიც არიან,"** - განაცხადა გელა ჩარკვიანმა.

მისი თქმით, თუ ბელარუსის მხარე სრულად კისრულობს ეუთო-ს დამკვირვებლების ქვეყანაში არშეშვების პასუხისმგებლობას, მაშინ მათ ქართველი დეპუტატების სამშობლოში უსაფრთხო დაბრუნება უნდა უზრუნველყონ.

ქართველი დეპუტატების მინსკში დაკავების ფაქტს სპეციალური განცხადებით გამოეხმაურება საქართველოს პარლამენტიც. გუშინდელ პლენარულ სხდომაზე პარლამენტის ვიცე-სპიკერმა პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს შესაბამისი დავალება უკვე მისცა.

დაკავებულ დეპუტატებს შორის არიან დავით კირკიტაძე, კახა სუხიშვილი, ვახტანგ ქარსელაძე, კახა გეწაძე, ბიძინა ბრეგაძე.

## მოკლედ

### დნესტრისპირეთი საზღვრებს ხსნის

დნესტრისპირეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლებამ მოლდოვა-უკრაინის საზღვრის დნესტრისპირეთის მონაკვეთზე გადასასვლელები გახსნა. გავრცელებული ინფორმაციით, უკრაინის ტერიტორიიდან დნესტრისპირეთის მიმართულებით სატვირთო ავტომანქანები უკვე დაუბრკოლებლად გადადიან საზღვარზე.

სატრანსპორტო საშუალებების გამშვები პუნქტების გახსნის შესახებ გადაწყვეტილება არაღიარებული რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ, დიდი ყოყმანის შემდეგ, ორი დღის წინ მიიღო. დნესტრისპირეთის პრობლემის მოგვარების საკითხებში უკრაინის სპეციალური წარმომადგენლის დიმიტრი ტკაჩის განცხადებით, სატვირთო ტრანსპორტის დნესტრისპირეთიდან უკრაინის მიმართულებით მოძრაობა ჯერჯერობით არ დაწყებულა. ჯერ კიდევ არ განახლებულა სატვირთო მატარებლების მოძრაობაც.

3 მარტს უკრაინამ ახალი საბაჟო წესები შემოიღო, რომლის მიხედვითაც დნესტრისპირეთიდან უკრაინაში გადასატანი ტვირთი მოლდოვის საბაჟოზე უნდა გაფორმდეს. ახალი საბაჟო წესების ამოქმედების შემდეგ თვითგამოცხადებული რესპუბლიკა, ფაქტობრივად, ბლოკადაში აღმოჩნდა. პასუხად, დნესტრისპირეთის ხელისუფლებამ უკრაინას სატვირთო სატრანსპორტო საზღვარი გადაუკეტა. საზღვრების მონაკვეთების გახსნის გადაწყვეტილების მიღებამდე კი დნესტრისპირეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლებამ უკრაინის მიერ 3 მარტს შემოღებული ახალი საბაჟო წესების საკითხთან დაკავშირებით დაგეგმილ მოლაპარაკებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

ტირასპოლის პოზიცია იმითაა მოტივირებული, რომ შეხვედრაზე რუსეთის წარმომადგენლები არ მოიწვიეს. 23 მარტს, ოდესაში დაგეგმილ კონსულტაციებში უკრაინის, მოლდოვისა და დნესტრისპირეთის დელეგაციებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა.

რადგან ახალი წესებით, დნესტრისპირეთიდან უკრაინის ტერიტორიაზე შეტანილი ტვირთები აუცილებლად მოლდოვაში უნდა იყოს განბაჟებული, მოლდოვა-უკრაინის საზღვრის დნესტრისპირეთის მონაკვეთზე თვითაღიარებული რესპუბლიკის საწარმოების პროდუქციით დატვირთული უამრავი ავტომანქანა დაგროვდა. დნესტრისპირეთის ხელისუფლება ახალ საბაჟო წესებს ეკონომიკურ ბლოკადად და ეკონომიკური ბერკეტებით პოლიტიკური ამოცანების შესრულების მცდელობად აფასებს. თვითაღიარებული რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრის შეფასებით, ბლოკადის შედეგად, დნესტრისპირეთის დანაკარგებმა 30 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. ტირასპოლში აცხადებენ, რომ დნესტრისპირეთის საწარმოთა გაჩერების შემთხვევაში, რეგიონის თბოელექტროსადგურმა შესძლოა მუშაობა შეწყვიტოს, რის შედეგადაც უკრაინის ქალაქ ოდესას ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდება. **24 საათი**

### აშშ-ს უპრეცედენტო ავიადარტყმა ერაყზე

აშშ-მ ერაყში საომარი ოპერაციის დაწყების დროიდან ყველაზე ძლიერი ავიადარტყმა მიაყენა ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს. ოპერაციაში 50-ზე მეტი გამანადგურებელი, 1500 სამხედრო მოსამსახურე, ასეულობით ერთეული ჯავშანტექნიკა მონაწილეობს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საბრძოლო მოქმედებები ქალაქ სამარის მიდამოებში, ე.წ. "სუნიტურ სამკუთხედში" მიმდინარეობს. ერაყის ხელისუფლება ამ რაიონს მთლიანად ვერ აკონტროლებს, რის გამოც აქ აქტიურად მოქმედებენ აჯანყებულები.

ექსპერტთა ვარაუდით, ფართომასშტაბიანი ოპერაცია რამდენიმე დღეს გაგრძელდება.

სააგენტო "ბლუმბერის" ინფორმაციით, საბრძოლო მოქმედებებთან დაკავშირებით, ერთი ბარელი ნავთობის ფასი ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე 2,3 პროცენტით გაიზარდა და თითქმის 64 აშშ დოლარი შეადგინა. ბაზრის მონაწილეები შიშობენ, რომ ერაყში კონფლიქტის გამწვავებამ, შესაძლოა, ამ ქვეყნიდან ნავთობის ექსპორტის შეფერხება გამოიწვიოს. **24 საათი**

### მასობრივი დემონსტრაციები საფრანგეთში

საფრანგეთის ბევრ ქალაქში ახალი შრომითი კანონმდებლობის მოწინააღმდეგეთა დემონსტრაციები უკვე უწესრიგობაში გადაიზარდა. ყველაზე სერიოზული შეტაკებები პარიზში მოხდა, სადაც მანიფესტანტები ავტომანქანებს წვავდნენ. დემონსტრანტებმა პოლიციელებს ქვები და ბოთლები დაუშინეს. სამართალდამცველებმა კი სტუდენტთა წინააღმდეგ რეზინის ტყვიები და ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს.

სულ, საპროტესტო აქციები ქვეყნის 80 ქალაქში გაიმართა. აქციები მართლაც ფართომასშტაბიანი იყო, სადაც ათეულობით ათასი ახალგაზრდა მონაწილეობდა. მშვიდობიანი აქციის ნორმების დარღვევის გამო სამართალდამცველებმა პარიზში 150 ადამიანი დააკავეს. პარიზის პრეფექტურის ინფორმაციით, შეტაკების შედეგად დაშავდა 92 პოლიციელი და 18 დემონსტრანტი.

ფართომასშტაბიანი აქციების გამო, რაშიც, ძირითადად, სტუდენტები მონაწილეობენ, საფრანგეთის 84-დან 51 უნივერსიტეტის მუშაობა მთლიანად ან ნაწილობრივ პარალიზებულია.

ახალი შრომითი კანონმდებლობის მოწინააღმდეგეები მიიჩნევენ, რომ ეს დოკუმენტი მეწარმეებს ახალგაზრდა მუშაკების დათხოვნას უადვილებს.

პრემიერ-მინისტრის დომინიკ დე ვილპენის მტკიცებით კი კანონი, პირიქით, ხელს უწყობს უმუშევრობის დონის შემცირებას ახალგაზრდებში.

პრემიერ-მინისტრის პოზიციას სრულად იზიარებს და დიალოგისთვის მზადყოფნას გამოთქვამს ქვეყნის პირველი პირი.

**"ხელისუფლება მზადაა დიალოგისთვის და მე ვისურვებდი, რომ მოლაპარაკება რაც შეიძლება მალე დავიწყოთ. "პირველი დაქირავების ხელშეკრულების" სახელით ცნობილი დოკუმენტის ამოქმედება საშუალებას მოგვცემს, შევქმნათ სამუშაო ადგილები ახალგაზრდობისათვის, მათ გაეხსნებათ ახალი შესაძლებლობები და მიეცემათ გარანტიები,"** - განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა.

ხელისუფლების მხრიდან დაპირებების მიცემის მიუხედავად, დემონსტრანტები აქციების შეწყვეტას არ აპირებენ. პირიქით, დღეს დაგეგმილ აქციებში მონაწილეობას, სტუდენტებისა და ლიცეუმის მოსწავლეების გარდა, პროფკავშირების წარმომადგენლებიც მიიღებენ. **24 საათი**

*მოკლედ*

## დეპოზიტებისა და სესხების მოცულობის ზრდის ტენდენცია გრძელდება

2006 წლის იანვარ-თებერვალში კომერციული ბანკების მთლიანი დეპოზიტები 103,9 მილიონი ლარით გაიზარდა და 1 278,7 მილიონი ლარი შეადგინა. მათ შორის ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულმა დეპოზიტებმა 29,6 მლნ ლარით, ხოლო უცხოურ ვალუტაში განთავსებულმა 74,2 მლნ ლარით მოიმატა. ზრდის ტენდენცია მეტწილად უცხოურ ვალუტაში განთავსებული ვადიანი დეპოზიტების მატებამ განაპირობა.

მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები 116,8 მლნ ლარით გაიზარდა და 1,853 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები 36,3 მლნ ლარით, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული სესხები 80,4 მლნ ლარით არის გაზრდილი. **24 საათი**

## "თბილგაზის" გენერალურ დირექტორად ბიძინა ჭყონია დაინიშნა

კომპანია "თბილგაზს" დღეიდან ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. "თბილგაზის" ახალი გენერალური დირექტორი ბიძინა ჭყონია გუშინ დედაქალაქის მერს გიგი უგულავას და პრემიერს თემურ ქურხულს შეხვდა. ბიძინა ჭყონია 1995-1996 წლებში, აზერბაიჯანის ნავთობის საერთაშორისო კორპორაციაში მუშაობდა, შემდეგ კი ფონდ "ათასწლეულის გამოწვევა - საქართველოს" ენერგეტიკის პროექტის დირექტორად დანიშნეს. როგორც თბილისის მერიაში განაცხადეს, "თბილგაზის" გაკოტრების მმართველის თანამდებობაზე ილია ბასიშვილი დარჩება, რომელიც აქამდე, "თბილგაზის" გენერალური დირექტორის მოადგილე იყო. "თბილგაზის" ახალი ხელმძღვანელი მოვალეობის შესრულებას უკვე შეუდგა. **ინტერპრესნიუსი**

## ეკონომიკის მინისტრი რუსთაველ ბიზნესმენებს შეხვდება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე დღეს, ქვემო ქართლის რეგიონს ესტუმრება, რუსთაველ ბიზნესმენებს შეხვდება და ადგილზე გაეცნობა არსებულ სირთულეებს. როგორც მინისტრმა განაცხადა, ბიზნესმენებთან პირისპირ საუბრებისას იკვეთება ყველა ის დეტალი, რომელიც სახელმწიფოსა და კერძო სტრუქტურების კოორდინირებული თანამშრომლობის გარეშე, რთული დასაძლევია. ეკონომიკური განვითარების მინისტრი ახალ ტრადიციას უყრის საფუძველს და პრივატიზებულ საწარმოებში ინვესტორთა მიერ სახელმწიფოს წინაშე აღებული ვალდებულებების გადამოწმებას იწყებს. ამ მიზნით, მინისტრი ჩოგოვაძე რუსთავის ბიზნესწრეებთან შეხვედრის შემდეგ, სააქციო საზოგადოება "მადნეულის" მონახულებას გეგმავს. "მადნეულის" მფლობელი 2005 წლის 25 ოქტომბერს, "სტენტონ ექუითიზ კორპორეიშენი" გახდა. დღევანდელი მონაცემებით, საწარმოში დასაქმებულია 800-ზე მეტი თანამშრომელი, რომელთა საშუალო ხელფასი 400 ლარია. ს/ს "მადნეულის" პროდუქცია წარმატებით იყიდება ლონდონის საერთაშორისო ბირჟაზე. **ინტერპრესნიუსი**

## სამომხმარებლო ფასების ინდექსი

თბილისში სამომხმარებლო ფასების ინდექსმა (სამომხმარებლო ფასების დონის ცვლილების მაჩვენებელი) ერთი კვირის მანძილზე (3 მარტი - 16 მარტი) 99,25 პროცენტი შეადგინა. წინა კვირაში აღნიშნული მაჩვენებელი 102,06 პროცენტი იყო (ეს ინდექსი ასახავს 51 დასახელების საქონლისა და მომსახურებისაგან შედგენილი კალათის ფასების ცვლილებას). საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ცნობით, წინა კვირასთან შედარებით, ფასების საერთო დონე შემცირდა 0,75 პროცენტით, მათ შორის სასურსათო საქონელზე - 1,42 პროცენტით და არასასურსათო საქონელზე 0,11 პროცენტით; ამასთან, მომსახურების ტარიფები უცვლელი დარჩა. გასულ კვირასთან შედარებით ფასები შემცირდა პომიდორზე (16,0 პროცენტით), კიტრზე (10,9 პროცენტით), რძეზე (11,1 პროცენტით), კვერცხზე (4,8 პროცენტით), ქათმის ბარკლებზე (4,2 პროცენტით), მინერალური წყალი "ბორჯომზე" (3,8 პროცენტით), გაყინულ თევზზე და ყველზე (1,5 პროცენტით) და ძროხის ხორცზე (0,7 პროცენტით); ამასთან, ფასები გაიზარდა ჭარხალზე (25,2 პროცენტით), სტაფილოზე (14,1 პროცენტით), შაქარზე (5,9 პროცენტით), ფოთლოვან კომბოსტოზე (1,9 პროცენტით) და ხახვზე (0,8 პროცენტით). წინა კვირასთან შედარებით ფასები შემცირდა დიზელის საწვავზე და ბენზინ "რეგულარზე" (0,8 პროცენტით) და ნავთზე (0,6 პროცენტით); ხოლო ფასი გაიზარდა სიგარეტ "ვინსტონ ლაით"-ზე (0,9 პროცენტით). **ჯი-ეიჩ-ენი**

## საერთაშორისო ტენდერი ახალციხე-ნინოწმინდის გზის რეაბილიტაციისთვის

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა გუშინ ხელმეორედ გამოაცხადა საერთაშორისო ტენდერი ახალციხე-ნინოწმინდის საავტომობილო გზის კმ.40-კმ.62 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად. საავტომობილო გზების დეპარტამენტი ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს იწვევს. სამუშაოები სავარაუდოდ 2006 წლის 15-20 აპრილს დაიწყება და 2006 წლის 31 დეკემბერს დამთავრება. დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება საავტომობილო გზების დეპარტამენტში 2006 წლის 20 მარტიდან შეეძლებათ. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები მათ ქართულ ენაზე, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 6 აპრილის 9:00 საათიდან 18:00 საათამდე, და 2006 წლის 7 აპრილის 9:00 საათიდან 12:00 სთ.-მდე. **ჯი-ეიჩ-ენი**

## აზერბაიჯანი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის უსაფრთხოების გარანტიას არ იძლევა

**"ნებისმიერ ტერიტორიაზე ნავთობსადენის უსაფრთხოება იმ ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს, რომლის ტერიტორიაზეც მილსადენი გადის და არა საერთაშორისო ორგანიზაციებმა,"** - ასეთი განცხადება გააკეთა აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ აბიდ შარიფოვმა. შარიფოვმა მაგალითისთვის მოიყვანა ბაქო-სუფსის მილსადენის არაერთხელ მომხდარი დაზიანება.

**"ანალოგიური საფრთხე ემუქრება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" მილსადენს,"** - მიიჩნევს შარიფოვი. მისივე თქმით, საფრთხე ჯერჯერობით არ არსებობს, რადგან მილსადენი ნავთობით შევსებული არ არის. უფრო სწორად, **"ასეთი საფრთხე ნამდვილად არსებობს, მაგრამ არა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, არამედ იმ ქვეყნების ტერიტორიებზე, სადაც ნავთობსადენი გადის,"** - დასძინა შარიფოვმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# "გაზპრომი" რუსეთის საფონდო ბაზარს გადაარჩენს

### საფონდო ბირჟის ინდექსებში კომპანიის აქციების წილი გაიზარდა

*გუშინ რუსეთის საფონდო ბაზარზე საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. ამიერიდან გაზის გიგანტის "გაზპრომის" აქციები საფონდო ბირჟის პრჟ-ის და მმგბ-ს ინდექსებით გაიყიდება.*

ნინო ნატროშვილი

კომპანია "გაზპრომის" აქციების 15 პროცენტი პრჟ-ის, ხოლო 12,8 პროცენტი მმგბ-ს ინდექსით გაიყიდება. ექსპერტების შეფასებით, აღნიშნული ინდექსები საფონდო ბაზარზე აქციების მდგრადობის და მათზე მოთხოვნის ზრდას განაპირობებს.

თუ ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს გადავხედავთ, "გაზპრომის" აქციების ახალი ინდექსებით გაყიდვა ლოგიკური ნაბიჯი იყო. 2005 წლის ბოლოდან "გაზპრომის" აქციათა საკონტროლო პაკეტს რუსეთის ხელისუფლება აკონტროლებს. წლის ბოლოს მოხდა რუსეთის საფონდო ბაზრის ლიბერალიზაცია, რის შედეგადაც უცხოელი ინვესტორებისათვის ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაზე ყველა შეზღუდვა მოიხსნა. ბაზრის ლიბერალიზაციამდე არარეზიდენტებს კომპანიის ფასიანი ქაღალდების მხოლოდ 20 პროცენტის ფლობის უფლება ჰქონდათ, საიდანაც 5 პროცენტი დასავლეთის საფონდო ბირჟების დეპოზიტარების სიებში იყო განთავსებული.

შეზღუდვების მოხსნის შემდეგ "გაზპრომის" აქციები რუსეთის ფასიანი ქაღალდების მსხვილ საფონდო ბირჟებზეც გამოჩნდა. თავისუფალი ვაჭრობის დაწყებისას "გაზპრომის" აქციებმა საფონდო ბირჟაზე გარღვევა მოახდინა. კომპანიის აქციებით ინვესტორების დაინტერესების შედეგად, საფონდო ბირჟებზე ყველა რეკორდი მოიხსნა. თავად კომპანიის ღირებულებამ 200 მილიარდი დოლარი შეადგინა. ამ მაჩვენებლით, "გაზპრომმა" მსოფლიოში მეშვიდე, ხოლო მსოფლიო კლასიფიკაციით, ნავთობისა და გაზის სფეროში მომუშავე კომპანიებს შორის მეოთხე ადგილი დაიკავა.



*2005 წლის ბოლოდან "გაზპრომის" აქციათა საკონტროლო პაკეტს რუსეთის ხელისუფლება აკონტროლებს.*

რუსეთის საფონდო ბირჟები უკვე მზად არიან საკუთარ ინდექსებში "გაზპრომის" აქციების კოტირებისათვის. ექსპერტების შეფასებით, გაზის გიგანტი კომპანიის აქციები საფონდო ბირჟებს იქ არსებული კრიზისის დაძლევაში დაეხმარება და გაჩნდება ინვესტორების ინტერესიც. ბოლო მონაცემებით, რუსეთის საფონდო ბირჟებზე აქციების ფასის ვარდნის ტენდენცია შეიმჩნევა. საინვესტიციო კომპანია "მაქსველ კაპიტალის" ანალიტიკოსის ალექსანდრ ვორობიოვის განმარტებით, საფონდო ბაზარი, ძირითადად, ინდექსებზე იქნება ორიენტირებული. ამიტომ თავიანთ ინდექსებში "გაზპრომის" აქციების წილს გაზრდიან, რადგან მათზე მოთხოვნა და ინვესტორების ინტერესი არსებობს.

# გაკეთდა თუ არა ყველაფერი ენერგოსექტორში ინვესტორების მოზიდვისთვის

*ნავთობის, გაზის, ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია-გამოფენის "GIOGIE-2006" მეორე დღე ელექტროენერგეტიკის და გაზის სექტორებს, მათ რეაბილიტაციას, პრივატიზაციას და ენერგოსექტორის საინვესტიციო შესაძლებლობებს მიეძღვნა. გუშინ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა იმ ობიექტების პრეზენტაცია მოაწყო, რომელთა გასხვისება წელს არის დაგეგმილი. შეხვედრაზე მინისტრმა ჩოგოვაძემ ხმამაღლა განაცხადა, რომ მაგისტრალური გაზსადენი არ იყიდება.*

ნიკა გილაურის აზრით, ინვესტორების მოზიდვისთვის ყველაფერი გაკეთებულია: **"ბოლო დროს ღია თამაშის წესები და მნიშვნელოვანი წარმატებები გვაქვს. ენერგეტიკაში თანხების ამოღება 25 პროცენტიდან 70 პროცენტამდე გაიზარდა, კორუფცია, პრაქტიკულად, დამარცხებულია."** შემდეგ უკვე მიზნებზე ისაუბრა: **"ჩვენი მიზანი ელექტროენერგიის იმპორტისგან მეტი დამოუკიდებლობის მიღწევაა. ამისთვის, პირველ რიგში, მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული არსებული ჰიდრორესურსები. 2005 წელს 50 მილიონ დოლარამდე მოხმარდა ენერგოობიექტების რეაბილიტაციას, დღეს კი ყველა ჰესი გამართულად მუშაობს,"** - განაცხადა ნიკა გილაურმა.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ საპრივატიზაციო ნუსხაში შემდეგი ობიექტები შედის: "გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია" (700 ათასი აბონენტი), "კახეთის ენერგოდისტრიბუცია" (105 ათასი აბონენტი) და "აჭარის ენერგოდისტრიბუცია" (100 ათასი აბონენტი). ასევე იყიდება ლაჯანურის, გუმათის, შაორის, რიონის, აწის, ძევრულის ჰესები (ჯამური დადგმული სიმძლავრე - 360 მეგავატამდე).

მინისტრმა გილაურმა გუშინ ახალ პერსპექტივებზეც ისაუბრა. ენერგეტიკის სფეროში ყველაზე დიდი პროექტები ხუდონის და ნამახვანის ჰესები, ასევე თურქეთთან შემაერთებელი კიდევ ერთი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი.

კონფერენციას მაგისტრალური გაზსადენის ხსენების გარეშე არ ჩაუვლია. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ ჯერ კიდევ საუბრის დასაწყისში აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვას არ აპირებს.

ჩოგოვაძის განცხადებით, ეკონომიკის სამინისტროს 50-მდე პოტენციური ინვესტორის ჩამონათვალი გააჩნია. **"საქართველო საპრივატიზაციო ობიექტების რეკლამას ამგვარ კონფერენციებზე და პრეზენტაციებზე აკეთებს. ეს უკვე მოხდა ნიუ-იორკში. 28-29 მარტს დაგეგმილია ვენაში, 4 მაისს კი ინგლისური გაზეთის "Financial times"-ის ოფისში" სპეციალური მიღება გაიმართება,"** - განაცხადა მინისტრმა ჩოგოვაძემ.

საქართველოს ენერგეტიკაში არსებულ სიტუაციაზე თავის გამოსვლაში "Интер РАО ЕЭС"-ის კავკასიის განყოფილების უფროსის მოადგილემ ალექსანდრ მაქსიმოვმა ისაუბრა. მან ბოლო 15 წლის მანძილზე საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარებასა და გენერაციაზე გაამახვილა ყურადღება. მაქსიმოვმა საქართველოში გასულ წელს ელექტროენერგიის იმპორტის სტრუქტურა წარმოადგინა. მისი განმარტებით, ქვეყანაში განხორციელებული ელექტროენერგიის იმპორტის 50 პროცენტს თბილისის ელექტროგამანაწილებელი კომპანია სს "თელასი" აწარმოებს, 43 პროცენტს - "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია", 7 პროცენტს - "აჭარის სადისტრიბუციო კომპანია".



*გილაურის აზრით, ინვესტორების მოზიდვისთვის ყველაფერი გაკეთებულია.*

გუშინდელ შეხვედრაზე ელექტროენერგიის ახალ და პერსპექტიულ წყაროებზე კომპანია "ენერჯი ინვესტის" გენერალურმა დირექტორმა გენო მალაზონიამ ისაუბრა. შეგახსენებთ, რომ "ენერჯი ინვესტმა" გარდაბანში გაზის ტურბინა ააშენა, რუსთავში კი ქიმიური საწარმო "აზოტის" მფლობელია.

კომპანია "ენერჯი ინვესტი" უახლოესი 2-3 წლის მანძილზე, საქართველოში 1 მილიარდ დოლარამდე ინვესტიციების განხორციელებას გეგმავს. ამის შესახებაც გუშინდელ კონფერენციაზე გახდა ცნობილი. როგორც კომპანიის პრეზიდენტმა გენო მალაზონიამ განაცხადა, რეკორდულ დროში დამონტაჟდა გაზოტურბინები, რომელიც თავდაპირველად 110 მეგავატ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. მისივე თქმით, "თბილსრესის" ტერიტორიაზე "პრეთ ენდ ვითენის" გაზოტურბინები დამონტაჟდა, რომლებიც სამჯერ უფრო ეკონომიურად მოიხმარენ ბუნებრივ აირს და 2,5-ჯერ ეფექტურად მუშაობენ. მათი ავარიულად გამორთვის შემთხვევაში, არ გაითიშება მთელი სისტემა, რადგან გაზოტურბინის თითოეული დანადგარი 55 მეგავატს გამოიმუშავებს. მათი აშენებისათვის არ არის საჭირო სამი-ოთხი წელიწადი. ისინი კონვეირული ტიპის ტურბინებია და მყარი ფუნდამენტის აშენებას არ საჭიროებს.

გენო მალაზონიას განცხადებით, "ენერჯი ინვესტი", "გაზოტურბინების" გარდა, ინვესტიციებს კომპანია "აზოტშიც" ახორციელებს. კომპანიამ "აზოტი" გასული წლის შემოდგომაზე, 20 მილიონ დოლარად შეისყიდა, სადაც უკვე 3 მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიციები განხორციელდა. წარმოების გასაზრდელად, მიმდინარე წელს ათეული მილიონობით ინვესტიციის ჩადება იგეგმება. "ვგეგმავთ ამიაკის და კაპროლაქტამის წარმოების სერიოზულად გაფართოებას, რაშიც მილიონობით დოლარის ინვესტიციას ჩავდებთ," - აღნიშნა მალაზონიამ. მისი თქმით, ასევე იგეგმება ფოთში, ან ბათუმში ამიაკის ტერმინალის მოწყობა.

აზერბაიჯანის ენერგეტიკის სამინისტროს სათბობ-ენერგეტიკული ოპერაციების სამმართველოს თავმჯდომარემ იდრის რზაბეკოვმა აზერბაიჯანის ნავთობისა და გაზის პოტენციის გაზრდის შესახებ ისაუბრა და ყურადღება გაამახვილა რეგიონის ქვეყნების - აზერბაიჯანის, საქართველოს, რუსეთისა და თურქეთის ენერგორესურსების გაერთიანების შესაძლებლობაზე. იდრის რზაბეკოვმა შაჰდენიზის საბადოდან ჩრდილოკავკასიურ გაზსადენში საქართველოს წილის გაზრდის შესაძლებლობაზე განაცხადა. მისი თქმით, წელიწადში საქართველოს 0,8 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი შეღავათიანი პირობებით მიეწოდება. **"დამატებით ბუნებრივი აირის მიწოდებისთვის საჭიროა სხვა კონტრაქტის სხვა პირობებით შედგენა,"** - განმარტა რზაბეკოვმა.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საბადოების - კუმისი, მანავი, ნორიო, ნინოწმინდა - დამუშავების გარკვეული გეგმა არსებობს. ".საქნავთობის" გენერალური დირექტორის ვანო ნაკაიძის განმარტებით, ამან შესაძლოა, საქართველოს მოთხოვნილება ენერგორესურსებზე ნაწილობრივ დააკმაყოფილოს. კონფერენციაზე ასევე "მომავლის პროექტი" განიხილეს - შავი ზღვის ფსკერზე - საქართველო-უკრაინა-ევროკავშირის (GUEU) გაზსადენის მშენებლობის შესახებ. გაზსადენის მთლიანი სიგრძიდან 1000 კილომეტრი საქართველოზე მოდის, 700 კილომეტრი - შავი ზღვის ფსკერზე, 200 კილომეტრი - ყირიმის ტერიტორიაზე, სადაც შესაძლებელია უკრაინის გაზსადენთან მიერთება. შეფასებითი სამუშაოები წლის ბოლომდე დასრულდება, ამ ამბიციური პროექტის რეალიზაციას კი 5-7 წელი სჭირდება.

*24 საათი*

USAID
ამერიკელი ხალხისგან

COMMUNITY CONNECTIONS

## სტაჟირება აშშ-ში ქართველი ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისა და პროფესიონალებისთვის

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) და ამერიკული ორგანიზაცია "პროექტი ჰარმონია" მოხარულები არიან გამოაცხადონ 2006 წლის საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის დაწყება საქართველოში. საზოგადოებრივი კავშირების პროგრამა ხელს უწყობს სახალხო დიპლომატიის, ეკონომიკური ზრდისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობას საქართველოსა და ევრაზიის ქვეყნებში. ეს არის პრაქტიკული სტაჟირების პროგრამა აშშ-ში, რომელიც მოიცავს სემინარებს, შეხვედრებს, ადგილზე ვიზიტებს და ამერიკელ პროფესიონალებთან პირისპირ შეხვედრებს, პრაქტიკული სტაჟირებებების ჩათვლით. პროგრამის მონაწილეები ძირითადად გადიან სამიდან ხუთ კვირამდე სტაჟირებას აშშ-ში და ცხოვრობენ ამერიკელ მასპინძელ ოჯახებში. ყველა ხარჯს, როგორიცაა: მგზავრობის ღირებულება აშშ-ში, დაზღვევა, პროფესიული და კულტურული პროგრამები, საცხოვრებული და კვება აშშ-ში ფარავს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო, გარდა პროგრამის მონაწილეთა პასპორტის ღირებულებისა და საქართველოს ფარგლებში მგზავრობისა.

საზოგადოებრივი კავშირების პროგრამა:

- უზრუნველყოფს მონაწილეებს პროფესიული ტრეინინგებით და აცნობს მათ ამერიკის თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ყოველდღიურ საქმიანობას
- ხელს უწყობს საქართველოში საზოგადოებრივ და კერძო სექტორებს შორის პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას
- ამყარებს კავშირებს აშშ-სა და საქართველოს რეგიონებს შორის

**საზოგადოებრივი კავშირების პროგრამა წარმოდგენილია ორი სახის პროგრამით - ბიზნეს და პროფესიული ტრეინინგ/სტაჟირების პროგრამით.**

**საზოგადოებრივი კავშირების ბიზნეს პროგრამა**

ბიზნეს პროგრამა უზრუნველყოფს ქართველ მეწარმეებს და მცირე ან საშუალო ბიზნესში მომუშავე მაღალი რანგის მენეჯერებს ინდივიდუალური სტაჟირებით აშშ-ში და მათ ამერიკელ კოლეგებთან მუშაობის საშუალებას აძლევს. ბიზნეს პროგარამა მოიცავს:

- ხუთ კვირიან ინდივიდუალურ სტაჟირებას აშშ-ში
- ჯგუფურ სემინარებს აშშ-ში
- საწარმოებში ადგილზე მისვლას და კონსულტაციებს აშშ-ში
- ამერიკულ მასპინძელ ოჯახებში ცხოვრებას

2006 წელს, საზოგადოებრივი კავშირების ბიზნეს პროგრამის ფარგლებში შეირჩევა სამი ბიზნეს ჯგუფი, რომლებიც სტაჟირებას აშშ-ში 2006 წლის ივნისი-ივლისში გაივლიან :

- ბიზნესი - თბილისი (10 მონაწილე)
- ბიზნესი - ქვეყნის მაშტაბით (9 მონაწილე)
- ბიზნესი - ქვეყნის მაშტაბით (9 მონაწილე)

მოითხოვეთ აპლიკაცია პროგრამის ოფისიდან, ან ჩამოტვირთეთ იგი პროგრამის ვებგვერდიდან, შეავსეთ და შევსებული აპლიკაცია ჩააბარეთ საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის ოფისში 2006 წლის 30 მარტამდე.

**საზოგადოებრივი კავშირების პროფესიული პროგრამა**

პროფესიული პროგრამა გამიზნულია ერთი რომელიმე სფეროს ექსპერტებისათვის, რომლებსაც საერთო ინტერესი აკავშირებთ.

პროფესიული პროგრამა მოიცავს:

- სამიდან ხუთ კვირიან ჯგუფურ სტაჟირებას აშშ-ში
- ადგილზე ვიზიტებსა და შეხვედრებს აშშ-ში
- სემინარებსა და მრგვალ მაგიდებს აშშ-ში
- კონსულტაციებსა და ჯგუფურ ტრეინინგებს აშშ-ში
- ამერიკულ მასპინძელ ოჯახებში ცხოვრებას

2006 წელს, საზოგადოებრივი კავშირების პროფესიული პროგრამის ფარგლებში შეირჩევა შემდეგი პროფესიული ჯგუფები, რომლებიც სტაჟირებას აშშ-ში 2006 წლის სხვადასხვა პერიოდში გაივლიან:

- **ინტერნეტ ტექნოლოგიების განვითარება - ქვეყნის მასტაბით (8 მონაწილე)**

(პროგრამა განკუთვნილია იმ ორგანიზაციების და კომპანიების ხელმძღვანელებისთვის და სპეციალისტებისთვის, რომლებიც მუშაობენ ინტერნეტ ტექნოლოგიების განვითარებაზე, ინტერნეტ ტექნოლოგიების პროფესიული ასოციაციების ხელმძღვანელებისთვის, უნივერსიტეტების ფაკულტეტების დეკანებისთვის, სადაც ეს დარგი ისწავლება და სხვა. პროგრამა არ ითვალისწინებს კერძო კომპანიების IT სეპციალისტების სტაჟირებას).

მოითხოვეთ აპლიკაცია პროგრამის ოფისიდან, ან ჩამოტვირთეთ იგი პროგრამის ვებგვერდიდან, შეავსეთ და შევსებული აპლიკაცია ჩააბარეთ საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის ოფისში 2006 წლის 30 მარტამდე.

- **არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერები - სამცხე-ჯავახეთის რეგიონი (8 მონაწილე)**

(პროგრამა ითვალისწინებს სამცხე-ჯავახეთში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერების შერჩევას, რომლებიც მუშაობენ ისეთ სფეროებში, როგორიცაა ადამინის უფლებები, კანონის უზენაესობა, ეროვნული უმცირესობები, გენდერი, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, გარემოს დაცვა, და სხვა)

მოითხოვეთ აპლიკაცია პროგრამის ოფისიდან, ან ჩამოტვირთეთ იგი პროგრამის ვებგვერდიდან, შეავსეთ და შევსებული აპლიკაცია ჩააბარეთ საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციის ოფისში სამცხე-ჯავახეთში (ორგანიზაცია ჯერ დაზუსტებული არ არის) 2006 წლის 14 ივლისამდე.

- **ტურიზმის განვითარება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა (10 მონაწილე)**

(პროგრამა განკუთვნილია, ტურისტული სააგენტოების, სასტუმროების, რეკრეაციული პარკებისა და ტურისტული ბიუროების მენეჯერებისათვის და ტურიზმის დეპარტამენტის მაღალი რანგის ხელმძღვანელებისათვის აჭარიდან)

მოითხოვეთ აპლიკაცია პროგრამის ოფისიდან, ან ჩამოტვირთეთ იგი პროგრამის ვებგვერდიდან, შეავსეთ და შევსებული აპლიკაცია ჩააბარეთ საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციის ოფისში აჭარაში (ორგანიზაცია ჯერ დაზუსტებული არ არის) 2006 წლის 14 ივლისამდე.

მითითებული პერიოდის გასვლის შემდეგ შემოტანილი აპლიკაციები არ განიხილება. საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის თანამშრომლები დაუკავშირდებიან პროგრამაში მონაწილეობისათვის შერჩეულ კანდიდატებს წერილობით ან ტელეფონით.

იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღოთ საზოგადოებრივი კავშირების ბიზნეს და პროფესიულ პროგრამაში თქვენ უნდა აკმაყოფილებდეთ შემდეგ პირობებს:

- იყოთ საქართველოს მოქალაქე
- მონაწილეობა არ გქონდეთ მიღებული `მწვანე ბარათის" გათამაშებაში
- თავისუფლად ფლობდეთ ინგლისურ ენას (მხოლოდ ბიზნეს პროგრამისათვის)
- გეკავოთ საპასუხისმგებლო თანამდებობა
- შეავსოთ აპლიკაცია და ჩააბაროთ იგი გარკვეულ დღემდე
- მონაწილეობა მიიღოთ გასაუბრებაში

**დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, დაუკავშირდით საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის ოფისს თბილისში:**

ვ. ანჯაფარიძის ქ. #7, II სადარბაზო, II სართული
თბილისი 0179, საქართველო
ტელ/ფაქსი: +995 (32) 223847, 250071
ელ.ფოსტა: ccgeorgia@projectharmony.ge

www.ccgeorgia.ge

# საქართველოს სამართლებრივი სივრცის მონიტორინგი

## ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტმა ეკა ბესელიას მიმართა

*უკვე რამდენიმე დღეა, საქართველოში იმყოფება ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის ოფიციალური დელეგაცია. საკმაოდ წარმომადგენლობითი დელეგაციის წევრთა საქართველოში სტუმრობის მიზანი ჩვენში მიმდინარე სამართლებრივი პროცესების შესწავლა გახლავთ. სხვათა შორის, ეს ის უცხოური ორგანიზაციაა, რომლის შენიშვნების გათვალისწინებასაც საქართველოს ხელისუფლება ცდილობს ხოლმე.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

როგორ ხორციელდება კანონის უზენაესობა საქართველოში? რამდენად დამოუკიდებელია ქართული მართლმსაჯულება? როგორია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებები და რა მექანიზმებით ხდება პრაქტიკაში მათი განხორციელება? ადგილი აქვს თუ არა ცემისა და წამების ფაქტებს, როგორც წინასწარი დაკავების ადგილებში, ასევე, უშუალოდ ეჭვმიტანილთა დაკავებისას? როგორ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება და მოეპოვება თუ არა ბრალდების მხარეს მყარი, უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები? - ეს ის კონკრეტული საკითხებია, რომელთა დეტალურად შესწავლითაც არიან დაინტერესებული საქართველოში მყოფი ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის წარმომადგენლები.

ჩვენი ინფორმაციით, დელეგაციის წევრები უკვე შეხვდნენ პროკურატურის თანამშრომლებსა და საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს წევრებს. რა პასუხები გასცეს და რა მოახსენეს პროკურატურის წარმომადგენლებმა უცხოელ დამკვირვებლებს, ჩვენთვის უცნობია.

გუშინ კი ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა საადვოკატო ფირმის "ეკა და კომპანიის" ხელმძღვანელთან ეკა ბესელიასთან შეხვედრა მოითხოვეს. სხვათა შორის, ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ცოტა ხნის წინათ ადვოკატ ეკა ბესელიას მათთვის საინტერესო საკითხების ირგვლივ შედგენილი სპეციალური კითხვარები გადასცეს. გუშინ ისინი ამ კონკრეტულ კითხვარებზე პასუხებითაც დაინტერესდნენ და ადვოკატთან შეხვედრის მიმდინარეობისას ეკა ბესელიასგან იმ პრობლემების შესახებ მოისმინიეს, რასაც, რეალურად, ადგილი აქვს ქართულ სამართალწარმოებაში.

**"საუბარი იყო როგორც დადებით პროცესებზე, ასევე - უარყოფითზეც, თუმცა, სამწუხაროდ, უარყოფითმა ფაქტებმა დადებითი მოვლენები მთლიანად გადაწონა,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ეკა ბესელიამ, რომელსაც ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში საკმაოდ ბევრი საჩივარი აქვს შეტანილი. ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის დელეგაცია ამ კონკრეტული საქმეებით დაინტერესდა და ადვოკატს ამ საქმეებზე კონტროლის განხორციელებას დაჰპირდა.

ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის წარმომადგენლები განსაკუთრებით დაინტერსდნენ სასამართლო სფეროში არსებული მდგომარეობით. მათ გაარკვიეს, რომ დღევანდელი ქართული მართლმსაჯულება ზეწოლის ფონზე ხორციელდება და პროკურატურას, ანუ ბრალდების მხარეს, გააჩნია ყველანაირი უპირატესობა. ამით კი მხარეების შეჯიბრებითობის პრინციპი მთლიანად დარღვეულია.

ადვოკატს ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის წარმომადგენლებისთვის არც ის დაუმალავს, რომ პოლიციელები ისევ იყენებენ წამების სხვადასხვა მეთოდებს, დაკავებულებზე ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზეწოლით კვლავ ხდება აღიარებითი ჩვენებების მოპოვება, რის შემეგადაც ძალოვანები დანაშაულის გახსნის სტატისტიკის გაზრდით იწონებენ თავს.

**"დელეგაციის წევრებს განვუცხადე, რომ სამართალდამცველები ადვოკატების უფლებებს უხეშად არღვევენ, რომ მათ უქმნიან ხელოვნურ პრობლემებს, რათა ვერ შეძლონ დაცვის ქვეშ მყოფის მონახულება, მასთან გასაუბრება და პოზიციების შეთანხმება. ადვოკატებს არ აქვთ საშუალება, დაკავებისთანავე შეხვდნენ დაცვის ქვეშ მყოფს. მათ რამდენიმე საათის განმავლობაში უწევთ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან რიგში დგომა, რადგან, რატომღაც, საშვის დაშვება პრობლემად იქცა. ამასობაში კი, დაკავებულს მუქარით აიძულებენ, მისცეს აღიარებითი ჩვენება; აიძულებენ, უარი თქვას დაქირავებულ ადვოკატზე და მოითხოვოს გამოძიებისთვის სასურველი ადვოკატის აყვანა. სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტსაც და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტსაც თავისი სასურველი ადვოკატები ჰყავს. შესაბამისად, გაჩნდა ადვოკატთა ახალი ინსტიტუტი, რომელიც დაცვის ფუნქციას პროკურატურის მოთხოვნის შესაბამისად ახორციელებს და საპროცესო შეთანხმებებს აფორმებს,"** - ასე აღწერს ეკა ბესელია ამერიკელ იურისტებთან საუბარს. მისივე განმარტებით, უცხოელ დამკვირვებლებს მან დეტალურად აუხსნა მეშვიდე საპყრობილეში არსებული მდგომარეობა, სადაც მხოლოდ ორი ოთახი ფუნქციონირებს ადვოკატსა და მისი დაცვის ქვეშ მყოფს შორის კონტაქტის დასამყარებლად და ამიტომ იქ რიგები დგას. ამასთანავე, ირღვევა კონფიდენციალურობა, რაც კონსტიტუციით და პატიმრობის შესახებ კანონით არის გათვალისწინებული. ეკა ბესელიას თქმით, შეხვედრის ოთახში სპეცრაზმელები ახორციელებენ თვალთვალს. გარდა ამისა, დაყენებულია ვიდეოსათვალთავალო კამერებიც.



*ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის დელეგაციამ ეკა ბესელიასთან შეხვედრა თავად მოითხოვა.*

ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის დელეგაცია განსაკუთრებით დაინტერესებულა იმით, ისჯებიან თუ არა მუქარის, ცემისა და წამების ფაქტებზე პოლიციელები. ადვოკატის ინფორმაციით, იყო ხანმოკლე პერიოდი, როდესაც მართლა დაიწყეს მოძალადე პოლიციელების დასჯა, თუმცა, უკვე კარგა ხანია, პირიქით ხდება - სამართალდამცველებს ახალისებენ კიდეც სპეცოპერაციისას ადამიანების ლიკვიდაციისთვის.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ადვოკატმა ეკა ბესელიამ და ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის დელაგაციის წევრებმა ბევრი იმსჯელეს, ადვოკატების ეთიკის ნორმებია, რომლებიც ახლა მუშავდება. შეხვედრისას გაირკვა ისიც, რომ ამჟამად არსებული რამდენიმეკაციანი უფასო იურიდიული ბიუროები არასაკმარისია. მოთხოვნილება გაცილებით მეტია.

ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტი ქართული სამართალწარმოების შესახებ ცოტა ხანში დასკვნას მოამზადებს და ანგარიშს საკუთარი ქვეყნის ხელისუფლებას წარუდგენს.

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის დელეგაცია აპრილიდან საქართველოში ახალი პროექტის განხორციელებას დაიწყებს - სამართლებრივი სისტემის მონიტორინგი ხელახლა განხორციელდება და მასში, დელეგაციის მოთხოვნით, მონაწილეობას ადვოკატი ეკა ბესელიაც მიიღებს.

# აფეთქება განათლების რეფორმის წინააღმდეგ

გუშინწინ გვიან ღამით, ქუთაისში, განათლების სამინისტროს ტერიტორიული წარმომადგენლობის ოფისში "ერგედეს" ტიპის ხელყუმბარა იმ დროს აფეთქდა, როცა წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ლადო პატარიძე სამუშაო კაბინეტს ტოვებდა.

წინასწარი მონაცემებით, ხელყუმბარა პირველ სართულზე, ფოიეში ერთ-ერთ კარზე იყო მიმაგრებული. აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ შენობის მინები მთლიანად ჩაიმსხვრა. აფეთქების შედეგად სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო ლადო პატარიძემ, თუმცა, მან მოახერხა გასულიყო გვერდით შენობაში, სადაც იმერეთის რეგიონის საოლქო პროკურატურაა განთავსებული. პროკურატურის შენობაში პატარიძემ გონება დაკარგა, საიდანაც იგი სასწრაფო დახმარების მანქანით ქუთაისის სამხარეო კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. განათლების სამინისტროს წარმომადგენელს სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა და ამჟამად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ სტაბილური.

რაც შეეხება აფეთქებას, ამის გამო აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტრო იძიებს. სამართალდამცველები ჯერჯერობით ვერსიებზე არ საუბრობენ.

სამაგიეროდ, გუშინვე ამ აფეთქებას საქართველოს განათლების მინისტრი ალექსანდრე ლომაია საგანგებო განცხადებით გამოეხმაურა.

ლომაიას განცხადებით, ეს აფეთქება განხორციელდა კონკრეტულად განათლების სამინისტროს წარმომადგენლის წინააღმდეგ და ამის გაკეთება მხოლოდ იმ ძალებს შეეძლოთ, რომლებიც განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებს ეწინააღმდეგებიან.

მინისტრის თქმით, თუ სამართალდამცველები მივლენ დასკვნამდე, რომ ეს იყო მიზანმიმართული ტერაქტი, მისი სტრუქტურა ამ გამოწვევას აუცილებლად მიიღებს.

**"დარწმუნებული ვარ, ეს იმ ადამიანების ნამოქმედარია, რომლებმაც მიმდინარე რეფორმების წყალობით, კორუფციის გზით მილიონების შოვნის საშუალება დაკარგეს. თუმცა მათ გასაგონად მინდა ვთქვა, რომ არც ერთი მათგანი არ დარჩება დაუსჯელი. ამ დანაშაულს ისევე გამოიძიებენ, როგორც გამოიძიეს ტერაქტი გორში. ვერცერთი დამნაშავე და ტერორისტი ვერ შეაჩერებს იმ პროცესს, რომელიც განათლების სისტემაში მიმდინარეობს"**, - განაცხადა ლომაიამ.

*24 საათი*

# აბსურდი და დეზინფორმაცია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უარყოფს ბელორუსიის უსაფრთხოების სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმად, ერთ-ერთმა პირმა, რომელიც ბელორუსიის მთავრობის წინააღმდეგ ტერაქტებს ამზადებდა, მომზადება საქართველოში გაიარა.

როგორც შს სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, არსებული განცხადება სრული აბსურდია და დეზინფორმაციას წარმოადგენს.

ბელორუსიის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე სტეპან სუხორენკოს გუშინწინდელი განაცხადების თანახმად, საპრეზიდენტო არჩევნების დღეს, 19 მარტს, მინსკში ტერაქტები მზადდებოდა ოთხ სკოლაში, სადაც ჩვეულებრივ საარჩევნო უბნებია განთავსებული. მან ამ ინფორმაციის დამადასტურებელი ვიდეოჩანაწერი წარმოადგინა.

ფირზე სუკ-ის მიერ დაკავებული ადამიანი ამტკიცებს, რომ წვრთნა **"კმარას" ქართულ ბანაკში გაიარა, სადაც მასწავლებლებად ოთხი არაბი და ყოფილი საბჭოთა არმიის ოფიცრები ჰყავდა"**. მისი თქმით, ამ სკოლაში გამოცდები "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უშიშროების სამსახურის პოლკოვნიკმა და ამერიკელმა ინსტრუქტორებმა" ჩაიბარეს.

სუხორენკომ ჟურნალისტებს ასევე აჩვენა ვიდეოჩანაწერი, რომელზეც თითქოს საქართველოს მოქალაქეები აღიარებენ, რომ ფული უნდა ჩაეტანათ ბელორუსიაში 19 მარტს უწესრიგობების ორგანიზებისთვის. ბელორუსიის სუკის ხელმძღვანელმა ასევე განაცხადა, რომ 19 მარტს, ბელორუსიაში ძალისმიერი გზით ძალაუფლების ხელში ჩაგდება იგეგმებოდა. ამასთან დაკავშირებით, სუხორენკომ განაცხადა, რომ სუკ-ი, საპრეზიდენტო არჩევნების წინ და მის დროს, ქვეყანაში სიტუაციის დესტაბილიზაციის მცდელობას ტერორიზმად განიხილავს.

*24 საათი*

# აფხაზეთში დაკავებული ქართველების გათავისუფლებისთვის

გუშინ სახალხო დამცველთან აფხაზეთში დაკავებული ქართველი დოკუმენტალისტის თეა შარიას თანაკურსელები და არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერები შეიკრიბნენ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი თეა შარია და მისი თანმხლები პირები ტარიელ სოხაძე და თემურ ელიავა ორ მარტს აფხაზეთში სამართალდამცავებმა საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით დააკავეს და სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. ქართველები აფხაზეთში საპატრიარქოსთან შეთანხმებით მოქვის მონასტრის შესახებ დოკუმენტურ ფილმს იღებდნენ.

თეა შარიას მეგობრები აცხადებენ, რომ დაკავებულ ქართველებს აფხაზურმა მხარემ საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებასთან ერთად ჯაშუშობის ბრალდებაც წაუყენა.

**"ეს ბრალდება აბსურდია. ეჭვის შეტანაც არ შეიძლება იმაში, რომ ეს ახალგაზრდები აფხაზეთში მოქვის მონასტრის გადასაღებად ჩავიდნენ. ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით მივმართავთ საერთაშორისო ორგანიზაციებს - გაეროს, ეუთოს, ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს ტერი დევისს. ვაპირებთ რეაგირება მოვთხოვოთ სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლებას და რუსეთის ხელისუფლებას, რომელიც იქ რეალურად მართავს სიტუაციას"**, - განაცხადა სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა.

არასამთავრობო ორგანიზაციები: "თავისუფლების ინსტიტუტი", "რეგიონულ ტელემაუწყებლობათა ასოციაცია", ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო", პოლიტოლოგი გოგი ხუციშვილი აფხაზების მიერ ქართველი ახალგაზრდების დაკავებას აპროტესტებენ და საერთაშორისო ორგანიზაციებს და აფხაზეთის საზოგადოებას მიმართავენ.

**"თუკი საერთაშორისო ორგანიზაციები აღიარებენ, რომ ჩვენ გვაქვს აფხაზეთის ტერიტორიაზე კულტურული აქციების ჩატარების უფლება, მაშინ ახლა მათგან ძლიერი მხარდაჭერა უნდა წამოვიდეს. იმისათვის, რომ დაკავებული ქართველები გათავისუფლდნენ, საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა დააფიქსირონ, რომ ეს იყო ძალადობა. ამავე დროს, თავიანთი პოზიცია უნდა გამოხატონ იმ აფხაზურმა ორგანიზაციებმა, რომლებიც კონფლიქტის მოგვარების ერთადერთ გზად დიალოგს ასახელებენ. დღეს ხელისუფლება, არასამთავრობო სექტორი და მთელი საზოგადოება უნდა შევეცადოთ მაქსიმალური ზეწოლა მოვახდინოთ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებაზე"**, - განაცხადა შეხვედრაზე პოლიტოლოგმა გოგი ხუციშვილმა.

გუშინვე აფხაზეთში დაკავებული ახალგაზრდების სახელებმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გაიჟღერა: პარლამენტარმა ელენე თევდორაძემ ვიცესპიკერს მიხეილ მაჭავარიანს მოსკოვში ვიზიტისას, სოხუმის ციხეში დაკავებული ქართველების ბედის გარკვევა სთხოვა.

თევდორაძის განცხადებით, მას მუდმივად აქვს ინფორმაცია სოხუმის ციხეში დაკავებული ქართველების მდგომარეობის შესახებ. მისი თქმით, საქართველოს დელეგაციამ მოსკოვში აუცილებლად უნდა მოითხოვოს თეა შარიას გათავისუფლება, რადგანაც იგი წარმოშობით გალიდან არის და არც ერთ ადამიანს არ აქვს უფლება შეუზღუდოს საქართველოს მოქალაქეს საქართველოს ნებისმიერ ტერიტორიაზე გადაადგილება.

ელენე თევდორაძის განცხადებით, თეა შარიას მშობლები დღესაც გალში ცხოვრობენ.

*24 საათი*



# ცვლილება

სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანი"-ის განცხადებაში კონდიციონერების შესასყიდად

გაცნობებეთ. რომ 2006 წლის 3 მარტის გაზეთ "24 საათ"-ის N 45 -ში გამოცხადებულ სატენდერო განცხადებაში მითითებული საქონლის რაოდენობები შეიცვალა. გთავაზობთ განახლებულ ვარიანტს .

| რიგითი | მოსაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება | რაოდენობა | მიწოდების ადგილი | მიწოდების გრაფიკული ვადები |
|---|---|---|---|---|
| 1. | ზამთარ-ზაფხულის კონდიციონერი მონტაჟით:<br>9000 ბტუ<br>18000 ბტუ<br>24000 ბტუ<br>60000 ბტუ | 8 ცალი<br>11 ცალი<br>16 ცალი<br>4 ცალი | ქ. თბილისი და საქართველოს რეგიონალური ცენტრები | ა/წ მარტის ბოლოდან ივნისის ჩათვლით |

სატენდერო კომისია

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

"ადგილობრივი განვითარებისა და ადგილობრივი მთავრობის ბერძნული სააგენტო S.A." აცხადებს ღია ტენდერს (ყველაზე ეკონომიური შემოთავაზებისთვის უპირატესობის მინიჭებით) ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალებების, საბაზო რეტრანსლატორების, საავტომობილო რადიოსადგურებისა და სატარებელი რადიოსადგურების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**ლოტი 1:**

მსუბუქი მაღალი გამავლობის (4X4) ავტოსატრანსპორტო საშუალება, მინიმუმ 7 ერთეული, შესყიდვის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 50.600 ევროს, შემდეგი ტექნიკური მახასიათებლებით:

- ორკარიანი;
- საწვავის ხარჯი: 100 კილომეტრზე მაქსიმუმ 9 ლიტრი;
- საწვავის ტიპი: ბენზინი;
- ძრავის მოცულობა: 1600-1800 სმ3;
- სიმძლავრე: არანაკლებ 80 ცხენის ძალა;
- სიჩქარე: არანაკლებ 120 კმ/სთ;
- სიჩქარის გადაცემის კოლოფი: მექანიკური (5 წინა, 1 უკანა);
- გამოშვების წელი: 2005-2006 წელი;
- მინიმუმ 2 წლის გარანტია.

**ლოტი 2:**

ჯიპის ტიპის მაღალი გამავლობის ავტოსატრანსპორტო საშუალება, მინიმუმ 8 ერთეული, შესყიდვის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 73.350 ევროს, შემდეგი ტექნიკური მახასიათებლებით:

- ოთხკარიანი;
- საწვავის ხარჯი: ბენზინის შემთხვევაში 100 კილომეტრზე მაქსიმუმ 18 ლიტრი;
- საწვავის ტიპი: ბენზინი;
- ძრავის მოცულობა: 2000-4000 სმ3;
- სიმძლავრე: არანაკლებ 80 ცხენის ძალა;
- სიჩქარე: არანაკლებ 120 კმ/სთ;
- სიჩქარის გადაცემის კოლოფი: მექანიკური;
- გამოშვების წელი: 2005-2006 წელი;
- მინიმუმ 2 წლის გარანტია.

**ლოტი 3:**

| N | მოდელი | საქონლის ძირთადი მახასიათებლები (ტექნიკური პირობები) | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | რეტრანსლიატორი | კორპუსი, კვების წყარო, კონექტორები | 5 |
| 2 | რეტრანსლიატორის კონტროლერი | ბიდერქტუალური რეჟიმისთვის | 5 |
| 3 | რადიოსადგური | MDS 136-174მჰც 45ვტ, აქსესუარებით | 10 |
| 4 | სტაციონალური ანტენა | 7db 147-157მჰც; 152-1163მჰც 1000bt | 10 |
| 5 | კოაქსიალური კაბელი | 50 ომიანი დაბალი კარგვის კაბელი | 450 |
| 6 | რადიოსიხშირული კონექტორი | რადიოსადგურის და ანტენის კონექტორები | 50 |
| 7 | საავტომობილო რადიოსადგური | MDS 136-174მჰც 25ვტ, აქსესუარებით | 15 |
| 8 | საავტომობილო ანტენა მაგნიტური | 7db 148-174მჰც; მაგნიტური სამაგრით | 15 |
| 9 | რადიოსიხშირული კონექტორი | რადიოსადგურის და ანტენის კონექტორები | 30 |
| 10 | ხელის რადიოსადგური | MDS 136-174მჰც 5ვტ, 16 არხი ეკრანით | 100 |

- შესყიდვის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 38.050 ევროს
- მინიმუმ 1 წლის გარანტია.

1. მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, გენერალ გია გულუას 10.

2. დაფინანსების წყარო: "ადგილობრივი განვითარებისა და ადგილობრივი მთავრობის ბერძნული სააგენტო S.A.".

3. მიწოდების სასურველი ვადები: ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 20 დღეში (რადიოტექნიკის შემთხვევაში - არაუმეტეს 50 დღეში).
4. პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ ქართულ და ინგლისურ ენებზე (წინააღმდეგ შემთხვევაში წინადადება არ განიხილება) ერთ ეგზემპლარად 2006 წლის 6 აპრილის 12 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გია გულუას 10. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.
5. თითოეული შემოთავაზება არ უნდა აღემატებოდეს შესაბამის ბიუჯეტს.
6. ტენდერის შედეგად შესაძლებელია, გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.
7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ, მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ალექსი თაბუაშვილი, ტელ: +99532754774, +99599234695, ან გიორგი შარვაშიძე, ტელ: +99532752317, +99599910950.

**კომისია**

# დეფის ახალი ლექსების კრებული "და"...

*დღეს არც ბერეტი იყო, არც შავი შლაპა და არც ჩიბუხი. მათ ჰალსტუხი და კლასიკური პიჯაკი ცვლიდა. დავით-დეფი გოგიბედაშვილმა გუშინ საღამოს წიგნის სახლში საკუთარი ახალი პოეტური კრებული "და" წარმოგვიდგინა.*



ზუსტად არ ვიცი, რამდენი ადამიანი იყო გუშინ მისი ლექსების მსმენელი, მაგრამ სავარაუდოდ, მათი რიცხვი ლუწი უნდა ყოფილიყო. იყო დრო, როცა დეფი ლექსს არ კითხულობდა, თუ მსმენელთა რაოდენობა იმ მომენტისთვის სასურველი არ იქნებოდა. ეს რა თქმა უნდა, ხუმრობით. მაგრამ ლექსის კითხვა მისთვის ერთი დიდი რიტუალია და ამ რიტუალს ყოველთვის ერთნაირად დიდი მონდომებითა და დიდი რუდუნებით ასრულებს.

სამი რომანისა და ერთი პოეტური კრებულის შემდეგ, "და" კიდევ ერთი სიახლეა დეფის თაყვანისმცემლებისთვის, რომელთა რაოდენობა უმნიშვნელო ნამდვილად არ იყო წიგნის სახლში. ახალგაზრდებისთვის გუშინდელი დღე კიდევ ერთი მორიგი და ამავდროულად განსაკუთრებული პარასკევი გახლდათ. პარასკევობით გოგიბედაშვილი წიგნის მაღაზიაში ახალგაზრდებისთვის ლექციებს ატარებს, აგერ უკვე თითქმის ერთი წელია.

რითი დაიწყო ეს ამბავი არ მახსოვს, შესაძლოა, თომას მანით, მერე ალბათ მისი საყვარელი - პო, მერე აღარ ვიცი, მაგრამ მთელ ქალაქში მის ლექციებზე საუბრობენ, აუდიტორია წიგნის სახლში კი სულ უფრო იზრდება და სულ უფრო მეტი ინტერესით ისმენენ დეფის მონათხრობ ისტორიებს ციტატებითა და ლექსებით.

ახალი წიგნის პრეზენტაციაში დავით გოგიბედაშვილს ახალგაზრდა მეგობარი პოეტები გიორგი ზანგური და გიორგი შალამბერიძე ეხმარებოდნენ. დეფის ლექსებით მათი გაერთიანების, "სამკაულის" შემოქმედება დაიწყო და პოეზიით დაწყებული საღამო, პოეზიითვე დასრულდა. არც ერთი სიტყვა ზედმეტი.

# ახალი ტელეკომპანიის დაბადება

გუშინ, ტელეკომპანია 202-ის ოფისში მოეწყო ახალი ტელევიზიის "TV 33-ის" პრეზენტაცია, რომელსაც განსაზღვრული დრო, სავარაუდოდ, სამი საათი დაეთმობა სამაუწყებლოდ 202-ის არხზე. ახალმა ტელეკომპანიამ ხელშეკრულება გააფორმა გერმანიის ერთ-ერთ არხთან "დოიჩე ველესთან", რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით მაუწყებლობს. ახალი არხი უახლოეს მომავალში დაფარავს საქართველოს მთლიან სამაუწყებლო ბადეს და საქართველოს მოსახლეობას საშუალება ექნება პირდაპირ ეთერში მოუსმინოს უახლეს ამბებს ევროპის შუაგულიდან. საჯარო იურიდიული პირი "დოიჩე ველე" საზოგადოებრივი ტელევიზიისაგან იმით გამოირჩევა, რომ მისთვის პრიორიტეტულია ობიექტური ინფორმაცია მიაწოდოს საზღვარგარეთ მცხოვრებ ადამიანებს სამშობლოში განხორციელებული პროცესების მიმდინარეობაზე.

ტელეკომპანია 202-ის ხელმძღვანელის გოგა კოხრეიძის განცხადებით ეს სიახლე წინ გადადგმული ნაბიჯია, და თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია დამოუკიდებელი მედიასაშუალებების ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების საქმეში.

ტელეკომპანია 33-ის არსებობა საქართველოში დადებით და აუცილებელ ფაქტად აღიარეს პრეზენტაციაზე მისულმა დამოუკიდებელი მედიის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. უცხოური არხის ფუნქციონირება საქართველოში საშუალებას მისცემს ყველანაირი მრწამსისა და შეხედულებების ადამიანებს თავისუფლად დააფიქსირონ თავიანთი პოზიცია ქვეყანაში განვითარებული პროცესების შესახებ. თავისთავად საგულისხმოა ისიც, რომ ამ არხის მეშვეობით სამშობლოსაგან მოწყვეტილი ადამიანები თვალყურს მიადევნებენ ყველა იმ სიახლეს, რაც ჩვენთან მოხდება. ახალი ტელეკომპანიის არსებობა იმითაც არის მნიშვნელოვანი რომ ქართველ ჟურნალისტებს საშუალება ეძლევათ რეალიზება გაუკეთონ თავიანთ შემოქმედებას, ინოვაციებს და საინტერესო ინიციატივებს.

# ფესტივალი გრძელდება

მზევინარ ხუციშვილი



15 მარტიდან გალერეა "უნივერსში" ფუსფუსია. აქ მიმდინარეობდა საქართველოს ფოლკლორისეროვნული დათვალიერება-ფესტივალის თბილისის ტური, რომელშიც ასამდე ადამიანი იღებდა მონაწილეობას. წარმოდგენილი იყო ოთხასამდე ნამუშევარი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებიდან. ამ დღეებში ფესტივალი მიმდინარეობდა გარდაბანში, რუსთავსა და თეთრიწყაროში, სადაც თვითნასწავლ მხატვართა და ხალხური რეწვის ოსტატთა ნამუშევრები წარმოადგინეს, გამოდიოდნენ მუსიკალური და ქორეოგრაფიული კოლექტივები, ინდივიდუალური შემსრულებელნი, ზეპირსიტყვიერების ოსტატები. დღეს ამ რეგიონებში, ისევე როგორც გალერეა "უნივერსში", გამოფენა დაიხურება, მაგრამ ფესტივალი გაგრძელდება ბოლნისში, ახალციხეში, მესტიაში, ყაზბეგში, რაჭა-ლეჩხუმში...

საერთოდ, საქართველოს ფოლკლორის ეროვნული დათვალიერება-ფესტივალი 2005 წლის სექტემბერში ბათუმში გაიხსნა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პატრონაჟით. ფესტივალის ორგანიზატორობა დაევალა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს გიორგი უშიკიშვილის ხელმძღვანელობით. ფესტივალი მოიცავს მთელ საქართველოს, რომელშიც ყველა თვითნასწავლი შემოქმედი მიიღებს მონაწილეობას. როგორც საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში მითხრეს, "ასეთი ფესტივალი 15-20 წლის წინ იმართებოდა ანზორ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით. ამდენი ხნის შემდეგ ეს პირველი ფესტივალია და ხალხიც აღფრთოვანებულია, რომ მათ ისევ გამოეხმაურნენ. ჯერჯერობით იგი სამ წელიწადში ერთხელ იმართება და სულ მალე სისტემატურ ხასიათს მიიღებს. პირველი ტური კახეთში გაიმართა. 2006 წლის ოქტომბერში "ქარვასლასა" და "ცისფერ გალერეაში" გრანდიოზული გამოფენით დაიხურება და საუკეთესო ნამუშევრები შეირჩევა.

# გპი-ს კვარტეტს - სიყვარულით



მანანა გბედევანიშვილი

გამოსვლის პირველივე დღიდან გპი-ს კვარტეტმა ქართველი მსმენელისთვის სამუდამოდ დაიმკვიდრა ყველაზე საყვარელი და პოპულარული ანსამბლის სახელი. ამ ახალგაზრდა, სიმპათიური ბიჭების სიმღერებს საკვირველი ენერგია, სითბო და სიხალისე მოჰქონდათ. მათი ყველა სიმღერა იმ წუთიდანვე ჰიტად იქცა. გურამ ბზვანელი, შოთა ხარაბაძე, გურამ ბაკურაძე და თამაზ ცინცაძე - ყველანი ერთად და თითოეული ცალ-ცალკე განუმეორებელი პიროვნული ხიბლითაც გვაჯადოებდა. სწორედ მათი გახსნილობის, სიყვარულის უნარის, კეთილშობილების გამო ყველა ქართველი ბიჭი ასეთივე რაინდული თვისებების მატარებელი გვეგონა. როგორც მიხეილ მესხისა და დავით ყიფიანის გუნდების სიყვარულს ვერც ერთი სხვა გუნდი ვერ შეცვლის, გპი-ს კვარტეტის ადგილსაც ჩვენს გულებში ვერც ერთი სხვა ანსამბლი ვერ დაიკავებს.

აუდიტორია, რომელიც 50-იანი წლების მიწურულს აღფრთოვანებით შეხვდა გპი-ს კვარტეტს, არ იყო მოუმზადებელი და გულუბრყვილო. ეს ის დრო იყო, როდესაც პარიზში პიაფი მღეროდა, ლივერპულში "ბითლზი" იწყებდა, მექსიკაში 16 წლის გოგონამ "ბესამე-მუჩო" დაწერა, ამერიკა სავსე იყო გენიოსებით - ლუი, ელა, ბილი ჰოლიდეი, ოსკარ პიტერსონი, მაილს დევისი, ნეტ კინგ კოლი, ელვის პრესლი - ამ შესანიშნავ მუსიკას ახალგაზრდობა დღედაღამ უსმენდა - რადიომიმღებებით, ჩამოტანილი იშვიათი ფირფიტებით. ეს მუსიკა ისმოდა ძველი, შავ-თეთრი ამერიკული ფილმებიდანაც, მაგრამ ეს მაინც შორეული, მიუწვდომელი სამყაროს ხმები იყო. და აი, უცებ ჩვენი, ქართული კვარტეტი, ნამდვილი ჯაზური ჟღერადობით, ქართული რომანსებისა და კრიმანჭულის ნაცნობი ინტონაციებით, ახალი შესრულებით. შეუძლებელია იმ აჟიოტაჟის გადმოცემა, რომელიც კვარტეტის გამოსვლებს ახლდა. კონცერტზე მოხვედრა წარმოუდგენლად ძნელი იყო, ჰაერი დღესასწაულის ატმოსფეროთი იყო დამუხტული. გპი-ს კვარტეტს ჩვენთან მოჰქონდა არა მარტო შესანიშნავი მუსიკა, არამედ გვიღებდა პატარა სარკმელს თავისუფალი სამყაროსკენ, გვაზიარებდა თავისუფლების დამათრობელ განცდას. კვარტეტის არსებობამ განაპირობა გურამ ბზვანელის შედევრების შექმნაც, რომლებიც "ჩავაქრე სანთელთან" ერთად საკულტო სიმღერებად იქცა და ქართული მუსიკის ოქროს ფონდში დაიმკვიდრა ადგილი.

მაშინ, როდესაც დასავლეთში ჰიპების ფილოსოფია და სექსუალური რევოლუცია ახალგაზრდებს ტვინს ურევდა, ქართველი ბიჭებისა და გოგოების ურთიერთობას, მეგობრობასა და სიყვარულს გპი-ს კვარტეტის ცნობილი რეფრენი ალამაზებდა: "განა სიყვარული მინდოდა, სხვა რაღაც, უფრო წმინდა!" დღეს ჩვენ გვაქვს დისკი იმ არასრული ჩანაწერებით, რომლებიც გადაურჩა დროს და ქართულ დაუდევრობას!

ეს მელოდიები დღესაც ისეთივე საყვარელი და ამაღელვებელია, როგორც 50 წლის წინათ!

ჩემთვის, და ალბათ ბევრისთვისაც, ეს დისკი დიდი და ძვირფასი საჩუქარია!

# პრემიერა ახმეტელის თეატრში

სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატულ თეატრში "გაკვეთილის" პრემიერა გაიმართება. რეჟისორის, ლეო ანთაძის მიერ, ეჟენ იონესკოს პიესის მიხედვით ერთმოქმედებიან კომიკურ დრამას სამი მსახიობი წარმოადგენს.

მსახიობები ნინო ფილფანი, მაია ლომიძე და ლეო ანთაძე ყოფითი პრობლემებისა და თანამედროვეობის შერწყმას შეეცდებიან. სპექტაკლი მოგვითხრობს მასწავლებლის, მოსწავლისა და მოსამსახურის დამოკიდებულებაზე.

აღსანიშნავია, რომ ამავე თეატრში რეჟისორი დავით ანდღულაძე ახალ სპექტაკლზე მუშაობს. იგი უახლოეს მომავალში მაყურებლებს ბერნარდ შოუს "პიგმალიონს" წარუდგენს.

# რობოტების კონცერტი



ეს გახლავთ კონცერტი მუსიკოსების გარეშე. მცირე ზომის 16 როიალს დასარტყამი ინსტრუმენტების, ზარების, ქსილოფონების მთელი წყება უწევს აკომპანემენტს. ისინი ყველანი ერთად ასრულებენ ამერიკელი კომპოზიტორის ჯორჯ ანთაილის "მექანიკურ ბალეტს".

ეს არატრადიციული კონცერტი ვაშინგტონის ხელოვნების ნაციონალური გალერეის დარბაზში გაიმართა. უსულო ორკესტრი შესასვლელის გარეთ, ანტრესოლში განთავსდა და, სხვათა შორის, ძალიან ლოგიკურ ადგილას - დადაიზმისადმი მიძღვნილი გამოფენის მეზობლად. დადაიზმიც ხომ ტრადიციის წინააღმდეგ მიმართული ხელოვნების ფორმა გახლდათ.

ანთაილის ეპოქაში (1925 წლის პარიზი) შეუძლებელი იყო ოთხი საფორტეპიანო ნაწყვეტის შვიდ ელექტროზართან, ოთხ ბასთან, სამ ქსილოფონთან, თვითმფრინავის ორ პროპელერთან, ჩინურ ტამტამთან და სიგნალთან შეერთება. არადა, ეს ყველაფერი ანთაილის პარტიტურაში ჩამოთვლილია. ვაშინგტონის გალერეაში კი ყველა ერთად ჟღერს, ელექტრომოტორების ძალით. თუმცა, არის რამდენიმე ცვლილება. ანთაილის ჩამონათვალში არ იყო დაზუსტებული, რა ტიპის სიგნალი უნდა გამოეყენებინათ კონცერტის დროს. ამიტომ გალერეაში გამართულ კონცერტზე სახანძრო განგაშის წითელი სიგნალი ააჟღერეს. ნამდვილი პროპელერების ნაცვლად ტექნიკოსებმა გააკეთეს ლითონის მახვილები, რომლებიც პლასტიკატის დაფაზე დარტყმის შედეგად ხმაურს გამოსცემენ.

"მექანიკურ ბალეტზე" დაუსრულებლად შეუძლია ლაპარაკი კომპოზიტორსა და სწავლულს პოლ ლერმანს. ის სწორედ ახლა იკვლევს მუსიკის ისტორიის სფეროს და აცხადებს, რომ ანთაილის ნაწარმოები "ყოველ ახალ მოსმენაზე უფრო მეტად მოსწონს". სწორედ ლერმანმა ამოჭრა ნაწარმოებიდან ათი წუთი და დარჩენილი 10-წუთიანი ნაწარმოები მოარგო დადას სტილში შესრულებულ მოკლემეტრაჟიან ფილმს. ანთაილის მიზანიც ეს იყო - მუსიკისა და ფილმის კომბინირება.

ვაშინგტონის ნაციონალურ გალერეაში ეს ხმაურიანი თანამედროვე მუსიკა 29 მარტამდე ყოველ კვირაში ორჯერ შესრულდება. ლერმანის თქმით, ერთადერთი სირთულე, რაც ანთაილის ოცნების ბოლომდე შესრულებას ახლავს, აკორდების უსწრაფესი აღებაა. თურმე კომპოზიტორს სურდა წუთში 152 დარტყმა, თანამედროვე ტექნოლოგიით მხოლოდ 138-ია შესაძლებელი, ადამიანის ხელს კი მხოლოდ 120 შეუძლია. როცა ლერმანს ჰკითხეს, შეიძლება თუ არა მეტი სრულყოფის მიღწევა სისწრაფეში და კომპოზიტორის ოცნების ასრულება, მან უპასუხა: "რა თქმა უნდა, თუ ახალ ფორტეპიანოს გამოიგონებენ".

# თბილისი ფერწერაში და ფოტოზე



უცხოელები განაგრძობენ თბილისის აღმოჩენას. ძველ თბილისელებზე ხშირად და მეტი ენთუზიაზმით სწორედ ისინი ტკბებიან ქალაქის ხედებით და ცდილობენ, იპოვონ ის რომანტიკა, რაც თბილისმა დროში დაკარგა, ან პირიქით - შეინარჩუნა (ეს, ალბათ, დროის, მონდომებისა და ფინანსების იდეალური კომბინაციის ბრალია).

გუშინ ეს აღმოჩენა ფერწერის გავლით მოხდა. ჯუდი ჰოლცე - ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მეუღლე მეგობარ ქალბატონთან, მარტი თორნთონთან ერთად, ქართველ მხატვარს თეიმურაზ შვანგირაძეს დაეხმარა გამოფენის მოწყობაში. მხატვრის რეტროსპექტივა სასტუმრო "ბეტსიში" გაიხსნა და აპრილის შუა რიცხვებამდე ელის დამთვალიერებელს. უცხოელ ქალბატონებს გამოფენაზე წარმოდგენილ ნამუშევრებში ბუნებრივი ტონები, სინათლის განაწილება და თემატიკა - ქალაქის ხედები - მოსწონთ. მათი თქმით, გამოფენა საინტერესოა ისტორიული თვალსაზრისითაც, რადგან მხატვრის ტილოებზე ასახული ბევრი შენობა დღეს აღარ არსებობს. სწორედ აქედან გაჩნდა იდეა, ერთმანეთისთვის შეედარებინათ ძველი და ახალი თბილისი. შესაბამისად, შვანგირაძის ტილოებზე ასახულ 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების თბილისს მარტი თორნთონმა ახალი ქალაქის ფოტოები დაუპირისპირა. ამ ქალბატონმა თავად გადაიღო მტკვრის ხედი "სასტუმრო ივერიის" ფონით, და ის ადგილიც ბესიკის ქუჩის კუთხეში, სადაც 1978 წელს ერთი პატარა და ლამაზი თბილისური სახლი იდგა. ასეთი ფოტო-ფერწერული მიქსი "ბეტსიში" წარმოდგენილ რეტროსპექტივას კიდევ უფრო ცოცხალს ხდის.

თავად მხატვარი უცხოელი ქალბატონის მიმართ მადლიერებას ვერ მალავს.

ქართველი მხატვარი, ფერმწერი მართალია, თბილისში დაიბადა, მაგრამ მშობლების სამსახურის გამო 1966 წლიდან უკრაინაში ცხოვრობდა. იქ დაამთავრა სკოლა და იქვე დაიწყო ხატვაც. თუმცა, მის ფერწერას მაინც ერთი თემატიკა გასდევს - ეს თბილისია. "...არდადეგებს მოუთმენლად ველოდი. თბილისში ჩამოსული მაშინვე ქუჩაში გავდიოდი, რათა ფეხით დამევლო საყვარელი ქალაქი... მრავალი წლის შემდეგ კი შევეცადე ჩემს ნამუშევრებში გადმომეცა ეს გრძნობები", - იხსენებს მხატვარი.

თეიმურაზ შვანგირაძის გამოფენები 1978 წლიდან ეწყობა. ბოლოს მისი ერთდღიანი ექსპოზიცია 1996 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში მოეწყო, სადაც მხატვრის ფერწერული და გრაფიკული პორტრეტები იყო გამოფენილი. დღეს კი ამ ტილოების ნახვა - ახლად შექმნილ ნამუშევრებთან ერთად - "ბეტსიში" შეგიძლიათ.

# დისციპლინა და ენერგია სცენაზე



ნათია ვადაჭკორია

თანამედროვე სამყაროში ყველა სახის ცეკვა - კლასიკური იქნება ეს თუ მოდერნი მეტ-ნაკლებად ცნობილია. თუმცა არა მგონია, ქართველი ცეკვის მოყვარულთათვის კარგად იყოს ცნობილი ბრიტანული ინტეგრირებული ცეკვის კომპანია "კანდუკო", რომელიც 1991 წელს სელესტე დანდეკერმა და ადამ ბენჯამინმა დააარსეს იმ მიზნით, რათა პროფესიონალური გარემო შეექმნათ ინვალიდი და არაინვალიდი მოცეკვავეებისთვის. სელესტე დანდეკერი ამჟამად კომპანიის სამხატვრო დირექტორია, ხოლო "კანდუკოს" პროფესიონალ მოცეკვავეთა რიცხვი მხოლოდ შვიდს შეადგენს.

ამ კომპანიას ისეთი მაღალი დონის პრიზები აქვს აღებული, როგორიცაა: "ტაიმ აუტის", მელბურნის ფესტივალის, საერთაშორისო თეატრალური ინსტიტუტის და სხვა. მსოფლიოს 50 ქვეყანა, სადაც "კანდუკოს" საგასტროლო ტურნე ჰქონდა, ევროპის, ავსტრალიის, სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკის, აზიის და აფრიკის კონტინენტებს მოიცავს. ამჟამად "კანდუკო" თავისი პროფესიონალიზმის და ვირტუოზობის წყალობით მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა ინტეგრირებული ცეკვის სფეროში. ეს პროექტი იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ პროფესიონალი მოცეკვავეების გარდა, იგი ბავშვებისთვის და მოზარდებისთვისაც საინტერესო აღმოჩნდა.

ამ კომპანიის ბოლო ქორეოგრაფიული დადგმებია "მოგზაურობა" (ქორეოგრაფი - ფინ ვალკერი) და In Praise of Folly (ქორეოგრაფი - ატინა ვალე).

ბრიტანეთის საბჭოს მოწვევით, თბილისში არტ-ცენტრის "არტ ჰოლის" მოსწავლეებისთვის "კანდუკოს" ორმა მოცეკვავემ - სტინ ნილსენმა და ბეტინა კარპიმ ერთკვირიანი ვორკშოპი ჩაატარეს, რომელიც გუშინ, 17 მარტს "თეატრი ათონელზე" თეატრის სცენაზე ინტეგრირებული ცეკვით, "დისციპლინა და ენერგია", დასრულდა.

"არტ ჰოლის" ხელმძღვანელის გიორგი პიპინაშვილის თქმით, მთავარია ამ თემის არსებობა, მსგავსი პრობლემები ხომ ნებისმიერ ოჯახში შეიძლება არსებობდეს.

ამ პროექტში ბრიტანეთის მსგავსად, თბილისშიც ინვალიდი ბავშვების გვერდით სრულიად ჯანმრთელი ბავშვები მონაწილეობენ.

უნდა ითქვას, რომ სცენაზე მოძრაობისას ბავშვები იმდენად პლასტიკური, ენერგიული და მონდომებულები იყვნენ, რომ მათი ფიზიკური ნაკლი საერთოდ არ შეიმჩნეოდა.

სტინ ნილსენი კი უბრალოდ აღფრთოვანებულია ქართველი ბავშვებით, რომლებმაც ამ ვორკშოპით ერთმანეთის მოსმენა ისწავლეს არტიკულაციით, ერთმანეთის ხედვა სცენაზე და უბრალოდ - თანამედროვე ცეკვა.



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# მეგობარში დიქტატორი გაარვიძეს





რამდენიმე დღის წინ საღამოს სტუმრად ჩემი ბავშვობის ახლო მეგობართან წავედი. ცოტა განერვიულებული, დაღლილი, უგუნებოდ ვიყავი და ვიფიქრე, მშვიდი, გაწონასწორებული და, რაც მთავარია, აპოლიტიკური მეგობრის მყუდრო გარემოში ცოტას დავისვენებდი, განვიტვირთებოდი. სამზარეულოში ვისხედით, ჩაის ვსვამდით და იქვე კუთხეში ტელევიზორი იყო ჩართული. ისე, ყოველი შემთხვევისთვის, რა იცი, რა ხდება, რამე არ გამოგვეპაროს! უი, სხვათა შორის, სამზარეულოზე გამახსენდა! ჩემს რომელიღაცა წერილზე გაღიზიანებულმა ერთ-ერთმა ცნობილმა პოლიტიკოსმა ამას წინათ მუქარით შემომითვალა, "გაჩუმდეს, თორემ ისევ სამზარეულოებში დავაბრუნებო". როგორ ყველა თავისით ზომავს და წონის! ნეტავი რა ჰგონია, ახლა რომელ სიმაღლეებზე ვარ, საიდან მაქვეითებს და იმ სამზარეულოებში როგორ უნდა დამაბრუნოს, რომლებშიც, მიღწეული წინსვლის მიუხედავად, თავად დღემდე არ შეესვლება? ეს ისე, უმნიშვნელო, პატარა გადასვლა იყო. ახლა კი ბავშვობის მეგობარს, სამზარეულოს, ფონად ჩართულ ტელევიზორს და, შესაბამისად, მთავარ თემას დავუბრუნდები.

რვა საათზე "იმედზე" საინფორმაციო გადაცემა და მასთან პარალელურად თითქოს შეპარვით საღამოს, გუნების ნელ-ნელა გაფუჭება დაიწყო. მხოლოდ ნეგატივი, მხოლოდ კრიმინალი, მხოლოდ პოპულიზმი და ბოლო ბლოკში მთელი მსოფლიოს მასშტაბით მომხდარი ტრაგედიები! მაგრამ ამ არასასიამოვნო ინფორმაციების კასკადის ფონზეც კი იგორ გიორგაძის მიერ დაფინანსებული, თემურ ჟორჟოლიანის მიერ მოწყობილი კოსტიუმირებული მსვლელობა, გაღიზიანების გამოწვევის თვალსაზრისით, აშკარად გამოირჩეოდა. ნერვული სისტემის დანდობის მიზნით არხიდან არხზე გადართვა დავიწყეთ, მაგრამ კიდევ უარესი შედეგი მივიღეთ. ყველა რუსულ არხზეც ახლა უკვე რუსულად ჟორჟოლიანი ლაპარაკობდა და როგორც კლასიკური პროვოკატორი და მატყუარა, მთელ რუსეთს მონდომებულად, დაზეპირებული ტექსტით უყვებოდა, რომ მისი სამშობლო (თუ საერთოდ იცის, ეს ცნება რას ნიშნავს) ერთ დიდ საკონცენტრაციო ბანაკად არის გადაქცეული. აქ ჩემს მეგობარს ნერვებმა პირველად უმტყუნა. "ამ ჟორჟოლიანს სიამოვნებით დავიჭერდი და საკონცენტრაციო ბანაკი თუ ელანდება, რეალურად ვაჩვენებდიო". "გიორგაძეს?" - ვკითხე. დაფიქრდა, თითქოს პასუხი აწონ-დაწონა, ეშმაკურად გამიღიმა და მიპასუხა: "გიორგაძეს დავხვრეტდიო". ჩემი ჰუმანისტი, კაცთმოყვარე, საკმაოდ გაწონასწორებული მეგობრისგან ამგვარი სისასტიკე, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, მაგრამ ხუმრობაში გავატარე. რუსული არხებიდან კვლავ "იმედს" დავუბრუნდით, სადაც ახლა უკვე ახალ ქუდში და ძვირფასი ბეწვის ქურქში გამოწყობილ მანანა არჩვაძეს აჩვენებდნენ, რომელიც კრწანისის რეზიდენციასთან მიყვანილ ათიოდე ადამიანს "შევარდნაძე იუდას" კარგი დირიჟორივით აყვირებდა. "ოხ, ამასაც სიამოვნებით დავიჭერდი, ქურქებს კონფისკაციას გავუკეთებდი, ქუდებს რომელიმე მუზეუმს ჩავაბარებდი, ამ ხალხს კი თხუთმეტი დღით საკანში გამოვამწყვდევდი", "უი, დამავიწყდა, შევარდნაძესაც მივაყოლებდი," - თქვა მეგობარმა. როგორც იქნა, "იმედის" რვასაათიანი დამთავრდა და გამოუსწორებელი სისულელე დაგვემართა - ტელევიზორი "რუსთავზე" გადავრთეთ, სადაც წუთი-წუთზე ცხრასაათიანი "კურიერი" იწყებოდა. მგონი არავინ შემეკამათება, რომ ნეგატიური ინფორმაციის ოდენობით, ნატურალისტური გადაღებების უგემოვნობით, კორესპონდენტების მიერ დასმული შეკითხვებისა და გაკეთებული კომენტარების, რბილად რომ ვთქვათ, კოლორიტულობით, უაზროდ გაწელილი სიუჟეტებით ეს წამყვანი არხი მართლაც ერთპიროვნული ლიდერია. ანონსებში მონაწილე რამდენიმე ჟურნალისტმა ჩაცმულობის, კითხვა-პასუხის ამ კოლორიტულობის გამო ჩემი მეგობრის საკმაოდ მძიმე განაჩენი დაიმსახურა. პირველივე, სალარო აპარატების შესახებ სიუჟეტში ნათელაშვილი, ბაღათურია გამოჩნდნენ და ჩემმა მეგობარმა არ დააყოვნა - "ამათ სასწრაფოდ და განსაკუთრებით დიდი ვადით დავიჭერდი და გაურემონტებელ ციხეში ჩავსვამდი". კარგი! ამავე თემასთან დაკავშირებით პოტენციურ დასაჭერთა სია კიდევ უფრო გაიზარდა, როდესაც ტელეეკრანზე მიწაზე გართხმული, ვითომ გულწასული, სინამდვილეში კი კლასიკურ ისტერიკაში მოფართხალე მოვაჭრე გვაჩვენეს. "ამათ ჯერ ცივი წყლის ნაკადს მივუშვებდი და მერე ცოტა ხნით დავიჭერდი". ჟორჟოლიანის მიერ ორგანიზებული კლოუნადა "კურიერმაც" გააშუქა და უსუფაშვილის ფოტოპორტრეტით შეიარაღებულ მონაწილეს კომენტარიც კი სთხოვეს. გაირკვა, რომ წარმოდგენა არ აქვს, ვისი პორტრეტი უჭირავს, რა უნდა, ვის ებრძვის და რატომ. მინიმალური ინტერვიუ განაჩენისთვის სრულიად საკმარისი აღმოჩნდა და პოლიტიკურად ბეცი მომიტინგე მისი ლიდერების გვერდზე საკანში განაწილდა. გირგვლიანის გახმაურებული საქმის შესახებ მომდევნო სიუჟეტს ჩემი მეგობრის მხრიდან, უბრალოდ, მასობრივი დაპატიმრება მოჰყვა. საზარელი მკვლელობის უშუალო შემსრულებლების, საზოგადოებისთვის ფაქტობრივად პირველივე დღიდან ცნობილი დამკვეთების გარდა, დასაჭერთა დაუნდობელ სიაში საქართველოს პარლამენტის ზოგიერთი წარმომადგენელიც, მაგალითად, ახალაიას "თავისი ნებით" გადადგომის "გმირობის" შემფასებელი ელენე თევდორაძეც მოხვდა. რა თქმა უნდა, ყველას სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა. აბა, მკვლელობას, მკვლელობის დამკვეთს და რიგით უპრინციპოს ერთნაირად ხომ არ დასჯი? შალვა რამიშვილის პროცესის ჩვენებას არანაკლებად მასობრივი დაჭერის ტალღა მოჰყვა. ალბათ, ისედაც ხვდებით, ჩემი მეგობარი კობა ბექაურს რას მიუსჯიდა. რაც მთავარია, თვალდახელშუა, ნელ-ნელა პროკურორად თუ დიქტატორად გადაქცეული მეგობარი თითოეულ დაჭერას ცოტა იუმორითა და ცოტა სერიოზულად ასაბუთებდა და თავისივე მოგონილ ან რეალურად არსებულ მუხლებს უყენებდა. ზოგიერთს განზრახ მკვლელობისთვის, ზოგიერთს სამშობლოს ღალატისთვის, ზოგიერთს დებილობისთვის, თავდეხობისთვის, დემაგოგიისთვის, შუბლის ძარღვის გაწყვეტილობისთვის, ელემენტარული ღირებულებების არქონისთვის, უსინდისობისთვის, ტყუილისთვის ან სისულელისთვის იჭერდა. როგორც იქნა, "კურიერიც" დამთავრდა, "ღამის შოუ" დაიწყო და ის იყო ვიფიქრეთ, რომ საინფორმაციო გადაცემებისგან დათრგუნულები ოდნავ გავხალისდებოდით, გავიცინებდით მაინც, რომ ეკრანზე "პიკასოს ბიჭები" გამოჩნდნენ და ჩემმა მეგობარმა კატასტროფული უნიჭობის, იუმორის გარეშე ხუმრობისა და ქუთაისური იუმორის დამახინჯების მუხლით, მართალია პატარა "სროკებით", მაგრამ ისინიც დაიჭირა. ამ "პიკასოს ბიჭების" შემხედვარეს ერთი ძველი ხუმრობა "გაგიჟებულა პიკასო, რა დავუშავე... ?" გამახსენდა. ერთადერთი, ვინც "ღამის შოუში" დაპატიმრებას გადაურჩა, ილურიძე იყო, რომელსაც ზუსტად ჩვენსავით არამცთუ არ ეცინებოდა, არამედ, მგონი, ნერვებიც ეშლებოდა. დანარჩენებს, გოგიჩაიშვილის მეთაურობით, პირობითი სასჯელი შეეფარდა. "ღამის შოუს" უიუმორობას ველარ გავუძელით და ახლა ტელევიზორი "მზეზე" გადავრთეთ. გადაცემა "ტაბუ"-ში თავისთავად უკვე დასაჭერი თემა - საქალწულე აპკის აღდგენის ოპერაციები ირჩეოდა. აქ ჩემმა მეტამორფოზირებულმა, დიქტატორად ქცეულმა მეგობარმა, რომ იტყვიან, ფრთები გაშალა და პოტენციური დასაჭერებისთვის სახუმარო მუხლების მოგონება დაიწყო. მართალია, "სისულელის", "სიბნელის", "გაუნათლებლობის" მუხლები აშკარად ჭარბობდა, მაგრამ, მაგალითად, გადაცემაში მოწვეულ უცნობ დეპუტატ დოლიძეს, რომელიც საკუთარ თავს ასე მოიხსენიებდა - "ჩემი დონის ადამიანი", "ჩემი დონის კაცმა", თვითშეყვარებული ნარცისიზმისთვის მოკლევადიანი პატიმრობა მაინც მიესაჯა.

დაუნდობელი დიქტატორის თვისებების საკუთარ თავში აღმოჩენამ ჩემი მეგობარი გვარიანად შეაწუხა. "რა დამემართა, რამ გამამწარაო?" - ერთი კი იკითხა, მერე კი საკმაოდ გაღიზიანებულმა - "აღარ შემიძლია, მომბეზრდა, დავიღალეო," - დაამატა.

■ ■ ■

ქვეყანაში არსებული ისედაც არცთუ იოლი მდგომარეობით, მასზე სპეკულაციით, მისი კიდევ უფრო პროვოკაციული გამწვავებით, ქვეყნის შიდა დივერსიით, პოპულისტური თემებით, წვრილ თუ მსხვილმასშტაბიანი ორგანიზებული გამოსვლებით, მეგაფონებსა და მიკროფონებში ყვირილით, ტყუილით, თავხედობით, ისტერიკების უმიზეზოდ მოწყობით, ყველაფერ ამის დეტალურად, გაზვიადებულად გაშუქებით, გაუთავებელი ინტრიგების, ურთიერთდაპირისპირებების წაქეზებით, ზოგადად ტელევიზიების მდგომარეობით საზოგადოება მართლაც რომ უკიდურესად დაიღალა. დავიღალეთ! მოგვბეზრდა! აღარ გვინდა! ხომ შეიძლება, რომ როდესმე ჩვენს ქვეყანაშიც ყველაფერმა - უკმაყოფილებამაც, კრიტიკამაც, მართვამაც, ახალ-ახალი კანონების მიღებამაც და მათდამი დამორჩილებამაც, პროტესტმაც და მხარდაჭერამაც, პარლამენტმაც და ქუჩამაც, მასწავლებელმაც და პოლიტიკოსმაც, ტელევიზიამაც და იუმორმაც ცივილიზებული სახე მიიღოს. მაშინ ხომ ჩემი, წლების განმავლობაში განსაკუთრებულად მშვიდი, აუღელვებელი, აპოლიტიკური მეგობარი აღარ გამწარდება, მეტამორფოზას აღარ განიცდის და დიქტატორობაზეც აღარ იოცნებებს.

**P.S.** დასაჭერთა სიაში გია მაისაშვილი გამომრჩა, რომელსაც კლარკ გეიბლის როლის უნიჭოდ შესრულებისთვის რამე აღმკვეთი ღონისძიება აუცილებლად ეკუთვნის.

# "თბილგაზი" დედას მიკლავს!

"თბილგაზის" აბდაუბდობების შესახებ წერილის დაწერა დიდი ხანია, მინდოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ამ უცნაური ორგანიზაციის უფროსის მიერ დაკვეთილი მკვლელობის შესახებ შევიტყვე, წერილის დაწერა და ჩემი პირადი გამოცდილების გაზიარება საბოლოოდ გადავწყვიტე. "თბილგაზის" მუშაობიდან, იქ არსებული ქაოსიდან, განუკითხაობიდან გამომდინარე, უნდა გამოგიტყდეთ, რომ მასში მკვლელის არსებობაც კი არ გამკვირვებია. "თბილგაზიდან" უკვე აღარაფერი მიკვირს. აგერ უკვე რამდენიმე თვეა, რაც ეს ორგანიზაცია და მასში არსებული უსისტემობა კარდიოავადმყოფ დედას მეთოდურად, წვეთ-წვეთად აწამებს, ნელ-ნელა კლავს. თვიდან თვემდე მოსულ, ვითომდა ცივილიზებულ ბლანკებზე, კომპიუტერით ამობეჭდილი ქვითარი და დედაჩემის ნერვიულობა, წნევები - ერთია. მეც, ჩემი ჭკუით, არ ვნებდები. ასეთივე მეთოდურობით შებრძოლებას, სიმართლის დადგენასა და საკუთარი დედის გადარჩენას ვცდილობ. ამასობაში "თბილგაზზე" წერილი კი არა, დისერტაცია შემიძლია დავწერო, უბრალოდ, თემის ბანალურობის გამო არავინ დამიმტკიცებს.

ჩემი და "თბილგაზის" ბრძოლა კარგა ხანია, დაიწყო. დედაჩემზე მეტად წესიერი, კანონმორჩილი გადამხდელის წარმოდგენაც კი ძნელია. იშვიათი სიზუსტით ყველა მიღებულ ქვითარს იხდის ან მე მახდევინებს. იშვიათი პედანტურობით ყველა გადახდილ ქვითარს ერთ უჯრაში ინახავს და მინიმალური დავალიანების ცეცხლივით ეშინია. დაახლოებით წელიწადნახევრის წინ, უეცრად, მოსულ ქვითარზე მიმდინარე გადასახადის პარალელურად რაღაც ახალი, ჩვენთვის გაუგებარი 300 ლარამდე დავალიანების თანხა გაჩნდა. მთელი წლის განმავლობაში ინკასატორის ყოველ მოსვლაზე დედაჩემი ამ თანხის წარმომავლობის გარკვევას აღელვებული ცდილობდა და ერთსა და იმავეს, თითქოს დაზეპირებულ პასუხს, "ამ ციფრს, ქალბატონო, ყურადღებას ნუ მიაქცევთ", ღებულობდა. დედაჩემიც მორჩილად მიმდინარე გადასახადს იხდიდა, მოგონილი დავალიანებისთვის კი რჩევისამებრ ცდილობდა, ყურადღება არ მიექცია. შინაგანად კი მაინც ნერვიულობდა. ეტყობა, გული ცუდს უგრძნობდა. დაახლოებით 2005 წლის ნოემბერში ორი ახალგაზრდა ბიჭი მოვიდა, დედაჩემის საცხოვრებელი ბინა შეათვალიერა, "ასე ცხოვრება ჩვენც გვინდაო", თქვეს და საკმაოდ უხეშად, დავალიანების გამო გაზი გადაუჭრეს. აქედან კი უკვე ჩემი პრობლემებიც იწყება. დედამ ნერვიულად "თბილგაზის" ცენტრალურ ოფისში გამაგზავნა, სადაც დაცვამ კარებშიც კი არ შემიშვა და კედელზე ჭიკარტით გაკრული დახეული ფურცლისკენ მიმითითა. ფურცელზე მისამართის მიხედვით შესაბამისი გაზის კანტორის მისამართი უნდა მომეძებნა. როგორც ახლა ვფიქრობ, მკვლელობებში ოც-ოცი ათასის გადახდას, ერთი დალაგებული მდივანი დაექირავებინათ, კარებში დაესვათ და დაბნეული ხალხისთვის ცოტა იოლად გასაგები ინფორმაცია მიეწოდებინათ. ფურცელზე ჩამონათვალში კი, მე პირადად, ვერაფერი გავარკვიე. ბოლოს ვიღაცა ღვთისნიერი, ჩემსავით გაზგადაჭრილი დამეხმარა და მითხრა, თამარაშვილს, მგონი, ყოფილ ცირკის სასტუმროსთან ემსახურებიანო. წავედი. მივედი. ვიარე, გარშემო ვუარე, ვეძებე და, როგორც იქნა, ერთ-ერთ ჩალეწილ მინაზე, ბევრ უცენზურო სიტყვასა და ნახატს შორის ცარცით გაკეთებული წარწერა "გაზი" და ზემოთ მიმართული ისარი მოვძებნე. როგორც ზღაპრებში, ისარს გავყევი. არ ვიცი, ეს შენობა ადრე როგორი იყო, შიგნით რა იყო, მაგრამ ოდესღაც მძიმე საჰაერო დაბომბვა რომ გადაიტანა, ამაში ვერავინ გადამარწმუნებს. ბეტონის უსწორმასწორო, ნაგვით, სიგარეტის ბიჩოკებითა და საეჭვო სუნისა და ფერის გუბეებით აჭრელებული იატაკი, არც ერთი მთელი საფეხური, მინა, ხის ფიცრებითა და მუყაოთი აჭედილი ფანჯრები, გზადაგზა კუთხეებში მიყრილი დატმვრეული, ერთ დროს საკანცელარიო ავეჯი, მოგლეჯილი სახელურები, ნესტისგან ფერწერულ ტილოს დამსგავსებული ჩამოფხეკილ-დაობებულდაბზარული კედლები და უცებ ამ კედელზე დაკიდებული ხუთკაპიკიანი ტელეფონის აპარატი, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, 1960 წლის შემდეგ ერთი დღეც არ უმუშავია. მოკლედ, "სტალკერის" ზონა. მესამე სართული. წარწერა "გაზი". გრძელი, ლინოლეუმაგლეჯილი ბნელი კორიდორი, კვლავ კუთხეში მიყრილი დამტვრეული ავეჯი, ერთი მბჟუტავი ნათურა. კორიდორის ორივე მხარეს განლაგებული ყრუ კარების რიგრიგობით შეღება და ერთი, თითქოსდა მარტივი შეკითხვის - "თამარაშვილის ქუჩა თქვენ გეკუთვნით?" - დასმა დავიწყე, მაგრამ უშედეგოდ. ერთ ოთახში ყავის დასალევად და სიგარეტის მოსაწევად შეკრებილმა გოგონებმა - "არ ვიცით" - აშკარა ზიზღით მიპასუხეს. მეორე ოთახში ჭადრაკის მოთამაშე მამაკაცებმა აშკარა ინტერესით შემათვალიერეს, შემაფასეს, ჭადრაკი ამჯობინეს და "არ ვიცით" ყოველგვარი ზიზღის გარეშე მიპასუხეს. მესამე ოთახში ზოლებიანი დიდი ჩანთით მოსული გადამყიდველი ჰყავდათ მოწვეული, ჩინურ ღამის პერანგებსა და მამაკაცის წინდებს არჩევდნენ და საერთოდ ზედაც არ შემომხედეს. ბოლოს, ყველაზე შორ, ბნელ, პატარა ოთახში, გაცვეთილგაყვითლებულ საქაღალდეებში ჩაფლული, პალტომოხურული მარტოხელა მოხუცი კაცი დამხვდა. საწყალს, ეტყობა, არც ყავას სთავაზობენ, არც ჭადრაკს ათამაშებენ და ვერც წინდებს ყიდულობს, მაგრამ სამაგიეროდ მხოლოდ მან იცოდა, რომ "თამარაშვილს არ ემსახურებიან" და ვაჟა-ფშაველას ძეგლთან მდებარე ოფისში გამაგზავნა. გაიხაროს!

ჩემი სიხარული და "სტალკერის" ზონასთან დამშვიდობება ნაადრევი აღმოჩნდა. აქ ზონა-2 დამხვდა. პატარა, ვიწრო კარებთან, ბნელ სარდაფში, როგორც მავზოლეუმთან, ისეთი რიგი იდგა. შუქი არ იყო. უმეტესად ხანშიშესული ადამიანები სრულ სიბნელეში იდგნენ, შუქის მოსვლას, ანუ კომპიუტერის ამუშავებას ელოდებოდნენ, ერთ ფეხებმორყეულ სკამს ერთმანეთს რიგრიგობით უთმობდნენ და თან, დროის მოკვლის მიზნით, ერთმანეთში საუბრობდნენ. აი, ამ საუბრის თემების მოსმენა კი, მე კი არა, მთავრობას მართლაც რომ მოუხდებოდა. პრეზიდენტიდან დაწყებული (რომელსაც, სხვებთან შედარებით, მაინც უფრო თბილად მოიხსენიებდნენ), გრიპით ან უბნის პოლიკლინიკით დამთავრებული, ყველაფერს არჩევდნენ. გაზის, გაზის გადასახადის, არასამართლიანი ჩაჭრების, მოგონილი დავალიანებების თემა, ბუნებრივია, ჭარბობდა. ხომ ნათქვამია, ჩათრევას ჩაყოლა სჯობსო, ამიტომ რიგში უაზროდ, პასიურად დგომას, საერთო ლაპარაკში, სანთლის შუქზე (ერთმა ქალმა პალტოს ჯიბიდან პატარა სანთელი ამოიღო) ერთმანეთისთვის გადახდილი ქვითრების ჩვენებაში, აღშფოთების გაზიარებაში მეც ჩავერთე. რიგში თითოეული მდგომის გაზის თვიური დანახარჯი, გათბობის საშუალებანი, ოჯახური პრობლემები, პენსიების ოდენობა და აღების სიზუსტე, პოლიტიკური ხედვა ზეპირად შევისწავლე. თანაც აქვე გაითვალისწინეთ, რომ ჩემი, ყველაზე მოუხერხებელი საშუალო ასაკის გამო, თუნდაც სახიფათოდ მორყეულ სკამზე ჩამოჯდომა ერთხელაც არ მომიწია. როგორც იქნა, შუქი მოვიდა და მართალია, სარდაფი კიდევ უფრო უბადრუკი გამოჩნდა, მაგრამ ამას ვინ დაეძებდა?! მთავარია, რომ რიგი, ძალიან ნელა, მაგრამ დაიძრა. ერთ-ორ საათში მეც მომიწია, სასურველ კარებში შევედი, მაგიდასთან, დიდ კომპიუტერთან მიმჯდარი ახალგაზრდა გოგონა დამხვდა, რომელსაც დედაჩემის წლების განმავლობაში დაგროვილი ქვითრები მარაოსავით გადავუშალე და მანაც, რატომღაც კომპიუტერის სრული იგნორირებით, კერენსკისდროინდელი ჩოთქებით დათვლა დაიწყო. დიდხანს ითვალა თუ ცოტა, საბოლოო დასკვნა იყო, რომ დავალიანება არა სამასი, არამედ ოთხმოცდაათი ლარია. არ ვიცი, დაღლილობისგან, ფეხზე დგომისგან, სარდაფის უბადრუკობისგან, სიბნელისგან თუ რიგში მიღებული ინფორმაციისგან, მაგრამ 90-ლარიანი ვერდიქტი სიხარულით მივიღე, აღარც შევეკამათე, საჩქაროდ პირველივე ბანკში გადასახდელად გავვარდი, გადახდის ქვითარი კი დასამშვიდებლად დედას მივუტანე.

გგონიათ, რომ ჩემი თხრობა დასრულდა?! ვიცი, რომ გამიგრძელდა, მაგრამ რა ვქნა, ჩემი ბრალი არ არის. მომდევნო პირველივე თვეს კვლავ დაახლოებით სამასლარიანი დავალიანების ქვითარი მოვიდა. ისევ ვაჟა-ფშაველას ძეგლთან წავედი. ისევ ბნელ სარდაფში რიგში ვიდექი. ისევ ქვეყნის უბედურებისა და გაჭირვების ამბები გავიგე. ისევ კომპიუტერთან სულ ტყუილად მჯდომ და ძველებურ ჩოთქებზე დაოსტატებულ გოგონასთან შევედი. ისევ ყველა და მათ შორის ახალი ქვითარიც წინ გადავუშალე. გოგონამ ქვითრები შეამოწმა და დამამშვიდა, კომპიუტერში შეცდომააო, ერთი თვე კიდევ ასე იქნებაო და ყურადღებას ნუ მიაქცევთო. იმის მერე, აგერ უკვე ოთხი თვეა, 300-ლარიან ქვითარს და პლუს უკანასკნელი კატეგორიული გაფრთხილების ფურცელს ვღებულობთ. ვაჟა-ფშაველას ძეგლთან მე და დედაჩემი რიგრიგობით დავდივართ. პასუხი, ისევე როგორც კომპიუტერული შეცდომა და სარდაფის უბადრუკობა - უცვლელია. ცვლილებას მხოლოდ დედაჩემის წნევა და ჩვენი ორივეს ნერვული სისტემა განიცდის. უნდა გამოგიტყდეთ, "თბილგაზის" იდიოტობა, აბდაუბდა უკვე გვარიანად მომბეზრდა. ყოველ ახალ მოსულ ქვითარზე, გაფრთხილებაზე დედას წნევა უწევს, მე კი გაზის კანტორაში უკვე სახეზე მცნობენ. გამაგებინეთ, რატომ, თორემ კი! "თბილგაზის" მიზანი რეალური თანხის ამოღება თუ მოსახლეობის პერმანენტული, სადისტური დატერორებაა?! თუმცა, გასაკვირიც არ არის, თუ დირექტორი მკვლელია, ეგება მისი ქვეშევრდომებიც პატარა მკვლელუკები არიან! "თბილგაზს" მოვაკვლევინო დედა?! ეგება გადავიხადო ეს სამასი ლარი და დავისვენოთ, მაგრამ, მეორე მხრივ, ასე სამასი პლუს სამასით კი შეგროვდება ოცი ათასი! არადა, ჩემი სამასი ლარის არგადახდით ეგება ვინმეს სიცოცხლეს შევუნარჩუნებ?! ცოტა დავიბენი. ისე, მოდი და ნუ დაიბნევი!




ქ. იგნატოვას ნახატი

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შუახევის რაიონის გამგეობა აცხადებს ღია ტენდერს

1. ა) შუახევის რაიონის სოფლებში სასმელი წყლის მოსაყვანად 0,18-0,50 მმ-მდე დიამეტრის სერთიფიცირებული პლასტმამის მილების შესაძენად;

ბ) სარწყავი არხებისა და სანიაღვრე 200-500 მმ-მდე დიამეტრის მილების შესაძენად.

2. სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად.

| № | შესასრულებელი სამუშაო | მისამართი | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| 1 | წყალმომარაგების აუზებისა და შიგა ქსელის რეაბილიტაცია | დ. შუახევი | |
| 2 | შიგა საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია | დ.შუახევი | |
| 3 | რაიონული ცენტრის კეთილმოწყობა და განათება | დ.შუახევი | |
| 4 | 45-ბინიანი და ხიჭაურის საერთო საცხოვრებელი სახლის სახურავის რემონტი | დ.შუახევი, ხიჭაური | |
| 5 | სასმელი წყლის მაგისტრალების რეაბილიტაცია | სოფ. ჩანჩხალო, ხიჭაური-ჭვანა | |
| 6 | სოფლის ცენტრების კეთილმოწყობა | სოფ. უჩამბა, ტბეთი | |
| 7 | სასმელი წყლის სათავე ნაგებობებისა და მაგისტრალების მშენებლობა-რემონტი | სოფ. უჩამბა, ქიძინიძეები | |
| 8 | სარწყავი და სანიაღვრე არხების მილების რეკონსტრუქცია | სოფ. ზემოხევი და სოფ. ტბეთი | |

იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილ ვადებში.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 150 ლარის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილ ვადებში შემდეგ მისამართზე: დ. შუახევი, თამარ მეფის ქუჩა №30, შუახევის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისია.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო აპარატში ტელ: 6-00-15, 6-00-34, 6-00-22, მობ. 893-31-54-10, 899-56-33-82.

**შუახევის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისია**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში ავტომობილების შეძენის მიზნით მ\წლის 7 თებერვალს გამოცხადდა ტენდერი ორ ლოტად. I ლოტი - 3 ახალი ავტომობილი, ხოლო II ლოტი - 3 მეორადი ავტომობილი. II ლოტზე ტენდერი განაცხადების არ არსებობის გამო, კომისიის გადაწყვეტილებით ჩაშლილად გამოცხადდა. I ლოტში გამოვლინდა გამარჯვებული, რომელთანაც 2006 წლის 10 მარტს გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება - 122244 ლარზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატის და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-პანსიონების ხელშეწყობის პროგრამების დაფინანსების ფარგლებში საწვავის შეძენის მიზნით მ\წლის 27 იანვარს გამოცხადდა ტენდერი. ტენდერში გამოვლინდა გამარჯვებული, რომელთანაც 2006 წლის 20 თებერვალს გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები - 68470 ლარზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში საკანცელარიო საქონლის შეძენის მიზნით მ\წლის 4 თებერვალს გამოცხადდა ტენდერი. ტენდერში გამოვლინდა გამარჯვებული, რომელთანაც 2006 წლის 6 მარტს გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება - 52907.90 ლარზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა "იაკობ გოგებაშვილი - საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია" პროგრამის დაფინანსების ფარგლებში სკოლების შენობების რეაბილიტაციისათვის დეფექტური აქტებისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით მ\წლის 3 თებერვალს გამოცხადდა ტენდერი. ტენდერი ჩატარდა 14 ლოტში. IX ლოტზე განაცხადების არ არსებობის გამო, კომისიის გადაწყვეტილებით ჩაშლილად გამოცხადდა. ტენდერში გამოვლინდა 2 გამარჯვებულები, რომლებთანაც 2006 წლის 7 მარტს გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები: I ლოტში - 9300 ლარზე, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-10, მე-11, მე-12, მე-13, და მე-14 ლოტებში - 157500 ლარზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო


*ფეხბურთი*

# ეტო`ო 96 მილიონი!



*კამერუნელში დიდ ფულს იხდიან.*

რუსი მილიარდერი რომან აბრამოვიჩი აღარ დაუშვებს იმას, რომ "ჩელსიმ" ჩემპიონთა ლიგაში წარუმატებლობა იგემოს. ფაქტია, ჩუკოტკის გუბერნატორი უკმაყოფილოა საკუთარი გუნდის ლიგიდან გამოვარდნით - ასეთი რამ რომ აღარ განმეორდეს, კლუბში ვარსკვლავები უნდა მოვიყვანოთო. რა თქმა უნდა, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელის შესაძენად დიდი ფულის გაღებაც არ ენანება, მაგრამ ეგაა "ჩელსის" პორტუგალიელი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო ითრევს ფეხს - ვარსკვლავები და ფულის ხარჯვა არაა აუცილებელიო.

ასეა თუ ისე, აბრამოვიჩმა რამდენიმე ფეხბურთელს მაინც დაადგა თვალი. მათ შორის, "ბარსელონას" კამერუნელ ვარსკვლავს სამუელ ეტო`ოს. "ბარსელონა" კი ის გუნდია, რომელმაც ლონდონელები ლიგის მერვედფინალიდან დაიფრინა.

ერთი სიტყვით, ლონდონელები ეტო`ოს სანაცვლოდ ესპანელებს 55 მილიონ ფუნტ სტერლინგს (დაახლოებით 96 მილიონი დოლარი!) სთავაზობენ. უფრო სწორად, "ჩელსის" ხელმძღვანელობამ შესაბამისი წინადადებით "ბარსელონას" განმეორებითი შეხვედრის წინ მიმართა.

"ბარსას" პრეზიდენტი ჟოან ლაპორტა ლონდონელთა წინადადებით მოხიბლულიც დარჩა და გაკვირვებულიც - ფეხბურთელში ასეთ თანხას თუ ვინმე გაიღებდა წარმოუდგენლად მოეჩვენა, თუმცა მალევე გონს მოეგო და "ჩელსის" აღმასრულებელი დირექტორის პეტერ კენიონის პირით აბრამოვიჩს შეუთვალა: ეტო`ო კატალონიაშიც კარგად გრძნობსო თავს.

ამბობენ, სავსებით შესაძლებელია კამერუნელმა თავდამსხმელმა უახლოეს ხანში ლონდონში მართლაც ამოყოსო თავი. თუ გავრცელებულ ხმებს დავუჯერებთ, "ბარსამ" თითქოს წარმატებით დაასრულა მოლაპარაკებები "არსენალის" ფორვარდ ტიერი ანრისთან.

# "მე თქვენ გიყიდით..."



*აბრამოვიჩი რუსეთისთვის ჰიდინკს იყიდის.*

"ჩელსის" მეპატრონემ რომან აბრამოვიჩმა განაცხადა: იმ შემთხვევაში, თუ გუს ჰიდინკი რუსეთის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე მუშაობას დათანხმდება, 4-წლიან კონტრაქტში ხელფასის სახით პირადად გადაუხდის 8,7 მილიონ აშშ დოლარს.

ამ გულუხვმა შეთავაზებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბრიტანულ გამოცემა "მირორზე". ტაბლოიდის დასკვნით, "ჩელსის" მფლობელის მიერ გაკეთებული სარფიანი წინადადება პრაქტიკულად ჯვარს უსვამს ჰიდინკის შესაძლო გადასვლას ინგლისის ეროვნულ ნაკრებში. როგორც აღმოჩნდა, ინგლისის ფეხბურთის მამები შვედი სვენ გორან ერიქსონის შემცვლელად სწორედ ამ ჰოლანდიელი სპეციალისტის კანდიდატურას განიხილავდნენ. "მირორის" მთავარი არგუმენტი ასეთი გახლავთ: ინგლისელებმა გუს ჰიდინკს იმ ანაზღაურებასთან მიახლოებული თანხაც კი ვერ შეთავაზეს, რომელსაც ის რუსეთში მუშაობის შემთხვევაში მიიღებს.

გამოცემის ინფორმაციით, ხელსაყრელი კონტრაქტი ჰიდინკს აიძულებს, მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დატოვოს ავსტრალიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი, ნაკრებისა, რომელიც მან ფინალურ ეტაპზე გაიყვანა. ასევე არ არის გამორიცხული, რომ ჰოლანდიელმა "ეინდჰოვენის" მთავარი მწვრთნელის პოსტიც დატოვოს. ინფორმაცია, რომ გუს ჰიდინკი რუსეთის ეროვნულ ნაკრებს ჩაიბარებს, კარგა ხნის წინ გავრცელდა. ბოლოს ამის თაობაზე თებერვალშიც გაცხადდა. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ რუსეთის საფეხბურთო კავშირის არც ერთ წარმომადგენელს ჰიდინკის მიწვევასთან დაკავშირებით ჯერ ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებია.

ცნობილი რუსი სპეციალისტის იური სიომინის მიერ თანამდებობის დატოვების შემდეგ რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი ვაკანტურია. თუმცა, რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ვიტალი მუტკომ არ დააყოვნა განცხადების გაკეთება იმის თაობაზე, რომ ახალი მთავარი მწვრთნელის მოძიების სამუშაოები დიდ დროს არ წაიღებს და 2005 წლის ბოლოს საზოგადოებას უკვე ეცოდინება მისი სახელი. მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა, ვითარება კი არ შეცვლილა.

მუტკომ მხოლოდ ის გააკეთა, რომ რუსეთის ნაკრების დროებით მწვრთნელად ალექსანდრ ბოროდიუკი დანიშნა. 43 წლის რუსი სპეციალისტის დანიშვნა საკმაოდ არგუმენტირებული იყო. ბოროდიუკი დიდი ხანია, რუსეთის ნაკრების მწვრთნელთა შტაბში მოღვაწეობს. შესაბამისად, სხვებზე გაცილებით უკეთ იცის გუნდის სირთულეები და საჭიროებები. ასეც გადაწყდა: ბოროდიუკი ფორმალურად რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელიც გახდა და "ხურდაში" ახალგაზრდული ნაკრებიც მიიღო.

ამავე დროს კულუარებიდან გამოჟონა საკმაოდ წინააღმდეგობრივმა და დამაინტრიგებელმა ინფორმაციამ იმის თაობაზე, რომ რუსეთის ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელად უცხოელი დაინიშნებოდა. ეს იდეა რუსულ საფეხბურთო წრეებში დიდი ხანია მუსირებს და მხოლოდ ბოლო დროს შეიძინა რეალური სახე. ყველაზე ხშირად ორი კანდიდატურა სახელდებოდა - გუს ჰიდინკი და დიკ ადვოკაატი. აღსანიშნავია, რომ ორივე სპეციალისტი თანამედროვე სამწვრთნელო მექის - ნიდერლანდების წარმომადგენელია, ორივეს ზურგს უმაგრებს სერიოზული სამწვრთნელო კარიერა და, რაც მთავარია, მიღწევები.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ რუსულ მედიას და საფეხბურთო საზოგადოებრიობას არ სჯეროდა, რომ ჰიდინკი ან ადვოკაატი დათანხმდებოდნენ რუსეთის საფეხბურთო კავშირის წინადადებას. ჯერ ერთი, ორივეს წინ ელის ისეთი უმნიშვნელოვანესი ტურნირი, როგორიცაა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპი. გერმანიაში გამოსვლის წარმატება-წარუმატებლობაზე სერიოზულად იყო დამოკიდებული მათი სამომავლო კარიერა. ამასთან, ორივე ეს სპეციალისტი შეთავაზებების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის და სამუშაოს არჩევისას მათთან ყოველთვის გრძელი რიგი დგება.

"მირორის" შეტყობინება ამტკიცებს, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ რუსეთის ნაკრების საჭესთან სწორედ გუს ჰიდინკი დაიკავებს ადგილს. ამასთან, ჩუკოტკის გუბერნატორის რომან აბრამოვიჩის გულუხვი და სერიოზული ფინანსური მხარდაჭერის გარეშე ეს ვერ მოხერხდებოდა.

# ოქროს რეზერვი

ორშაბათს ლონდონის "არსენალის" ახალ სტადიონ "ეშბერტონ გროუვზე" ახალი სკამების დამონტაჟება დაიწყეს, ხოლო ლეგენდარული "ჰაიბერის" ერა სულ მალე ისტორიას ჩაბარდება. ახალ სტადიონთან ერთად "კანონირები" ფრანგი არსენ ვენგერის წინამძღოლობით ახალი, ბრძოლისუნარიანი გუნდის ჩამოყალიბების პროცესსაც ამთავრებენ.

ახლო მომავალში პატრიკ ვიეირას ვიზიტი, რომელიც ზაფხულში ტურინის "იუვენტუსში" გადაბარგდა, საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ ის ცვლილებები, რომელიც გუნდში ბოლო თვეების განმავლობაში განხორციელდა. ახლა მოედნის ცენტრში უფროსი ახალგაზრდა ფრანცისკ ფაბრეგასია, ხოლო კაპიტნის სამკლაური ტიერი ანრის ხელში გადავიდა. ამასთან, ახალი გუნდი, როგორც ჩანს, წელში იმართება. ვენგერი ახალ გუნდს არაერთი წელი აშენებდა. სტადიონის მშენებლობაში დაბანდებული ფული მას საშუალებას არ აძლევდა ძვირად ღირებულ ფეხბურთელებს წაპოტინებოდა. ამიტომ ვენგერის მზერა ახალგაზრდა ფეხბურთელებმა მიიპყრო.

თუმცა, ისეთი მწვრთნელისთვის, რომელმაც ანრი და ვიეირა მსოფლიო დონეზე აიყვანა, ძნელი არ არის ახალგაზრდა ფეხბურთელებს შორის ტალანტების აღმოჩენა. რაც მართლა გაოცებას იწვევს, ის არის, თუ რა სწრაფად ერწყმის ეს ახალგაზრდობა "არსენალის" შემადგენლობას. თვენახევრის წინ ვენგერმა გადაიტანა ყველაზე რთული კვირა მას შემდეგ, რაც ლონდონში მუშაობს. მაშინ "არსენალმა" წააგო პრემიერლიგის მატჩი და ქვეყნის ორივე თასის გათამაშებას გამოეთიშა. ახლა კი "არსენალი" ერთადერთი ინგლისური კლუბია, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობას განაგრძობს.

"ჩვენ ახალგაზრდა გუნდი გვყავს და ვერავინ იფიქრებდა, რომ ლიგაში ასე შორს წავიდოდით და მადრიდის "რეალს" დავამარცხებდით, - განაცხადა კოლო ტურემ, - ახალგაზრდობა უფრო გამოცდილი ფეხბურთელების აზრს ითვალისწინებს, რაც საშუალებას გვაძლევს საიმედოდ ვითამაშოთ დაცვაში. ჩვენ ვცდილობთ მათ ვესაუბროთ და რჩევებით ვეხმარებით. ისინი ყურადღებით გვისმენენ, რაც უზრუნველყოფს კიდეც წარმატებულ თამაშს".

ახალგაზრდა ფეხბურთელების ფონზე 24 წლის ტურე ვეტერანად გამოიყურება. თუმცა, გამოცდილი სოლ კემპბელის, ეშლი კოულისა და ლორენის არყოფნაშიც კი "არსენალმა" მოახერხა და "რეალთან" ორმატჩიან დაპირისპირებაში საკუთარი კარი მშრალად შეინარჩუნა. 22 წლის მატიე ფლამინიმ, ემანუელ ებუემ და 21 წლის ფილიპ სანდეროსმა აშკარად გადააჭარბეს მწვრთნელის ყველა მოლოდინს. განსაკუთრებით ეს ეხება ებუეს, რომელიც დაცვის მარჯვენა ფრთაზე მოქმედებდა. ამას გარდა, კოტ-დ`ივუარის ნაკრების ახალგაზრდა ფეხბურთელი თავის მშობლიურ გუნდს დაეხმარა ზამთარში გასულიყო აფრიკის ეროვნებათა თასის გათამაშების ფინალში.

შარშან "არსენალი" სერიოზულად დაზარალდა დაცვაში ცუდი თამაშის გამო, თუმცა, წელს გუნდი მესამე ადგილზეა ინგლისის პრემიერლიგაში დაცვაში თამაშის საიმედოობის მხრივ. მეტიც, "არსენალს" ჩემპიონთა ლიგის ბოლო ექვს შეხვედრაში გოლიც არ გაუშვია. თავისი შედეგი გამოიღო 4-5-1 სისტემაზე გადასვლამაც. "მცველი უნდა გამოირჩეოდეს ყურადღებით და მინდორზე თანაგუნდელებთან კავშირის დამყარების უნარით, - თქვა ტურემ, - თუმცა, კარგად უნდა გამოიყურებოდეს არა მარტო დაცვა, არამედ მთელი გუნდი. ტიერი ანრით დაწყებული. მოედნის ცენტრში ჟილბერტოს დახმარება შეუფასებელია. სწორედ ამიტომ არის, რომ ჩემიონთა ლიგაში წარმატებით ვთამაშობთ".

ნომინალური ცენტრალური მცველი ფლამინი წარმატებით დამკვიდრდა დაცვის მარცხენა ფრთაზე, რაშიც მას თანაგუნდელები დაეხმარნენ. "ეს ნამდვილი სიურპრიზი იყო, მაგრამ რაკი გუნდს ასე სჭირდება, მე ჩემი შესაძლებლობების ზღვარზე ვითამაშებ, - განაცხადა ფლამინიმ, - ეს არც ისე იოლია, მაგრამ მე ყველაფერს ვაკეთებ, რაც შემიძლია. ხშირად ვესაუბრები პარტნიორებს და ეს ძალიან მეხმარება. ჩვენ გვქონდა წარუმატებელი მატჩები, როცა სულელურ გოლებს ვუშვებდით, მაგრამ ახლა უკვე საკმაოდ კარგად შევთამაშდით". ეს ყველაფერი დროულად მოხდა. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ სულ მალე ლონდონს ეწვევა პატრიკ ვიეირა და მისი "იუვენტუსი" უეფას ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური მატჩის გასამართად.


## განცხადება ტენდერში ცვლილების შეტანასთან შესახებ

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვის ინსპექციას შეაქვს ცვლილება მის მიერ 2006 წლის 1 მარტს მსუბუქი ავტომანქანების შეძენაზე გამოცხადებულ ტენდერში და იწვევს დაინტერესებულ პირებს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

შესყიდვის ობიექტი - მსუბუქი ავტომანქანები.

| რაოდენობა და ტექნიკური სპეციფიკაციები | | |
|---|---|---|
| 10 ცალი მსუბუქი ავტომანქანა | | |
| ლოტი I 1 ც.<br>1. ძრავის მოცულობა მინ. 2200 სმ 3<br>2. ფერი – შავი, მუქი ლურჯი, რუხი ან ვერცხლისფერი მეტალიკი<br>3. სრული ელექტროპაკეტი.<br>4. სალონი – შავი ან რუხი (მუქი)<br>5. კონდიციონერი<br>6. გამოშვების თარიღი არანაკლებ 1994 წლისა<br>7. "ა.ბ.ს." და ა.ს.დ. სამუხრუჭე სისტემა<br>8. უავარიო<br>9. სედანი | ლოტი II 2 ც.<br>1. მაღალი გამავლობის<br>2. ძრავის მოცულობა მინ. 2500 სმ 3<br>3. ფერი – შავი, მუქი ლურჯი, რუხი ან ვერცხლისფერი მეტალიკი<br>4. კონდიციონერი<br>5. გამოშვების თარიღი არანაკლებ 1994 წლისა<br>6. უავარიო | ლოტი III 7 ც.<br>1. მაღალი გამავლობის<br>2. ძრავის მოცულობა მინ. 1700 სმ 3<br>3. ფერი – თეთრი<br>4. გამოშვების თარიღი – 2006 წელი<br>5. უავარიო - ახალი |

ტენდერში შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს. მისამართი: გენერალ გულუას ქუჩა №6, მე-6 სართული, გარემოს დაცვის ინსპექცია. ტელ. 752337, 752336, 899 982120.

TV5MONDE

## 18 მარტი

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 01.45(შვეიცარია), 04.00(აფრიკა), **05.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.55** პატარა ვამპირი. მულტიპლიკაციური ფილმი. **08.10** ის არ არის ჯადოქარი. სერიალი. **09.30** სამხრეთის ანარეკლი.ბურკინა ფასო. **11.25** პლანეტის 7 დღე. **12.05** გამარჯობა ქალბატონო ალუბლის ჭამია. საბავშვო გადაცემა. **12.30** ის არ არის ჯადოქარი. სერიალი. **13.15** მგრძნობიარე ასაკი. სერიალი. **14.15** გადაცემა: გურმანი. **17.30** სპორტი. **19.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.05** ბურლინგერის დღიურები. **21.30** პატარა პარიზელი. მხ ფილმი. რეჟისორისებასტიენ გრალი. 2002. **02.20** გადაცემა: ყველა მასზე ლაპარაკობს. **05.35** ცივილიზაციები. Uკვდავების გზა. დოკ. ფილმი.

## გ ა მ ა ჯ ა ნ ს ა ღ ე ბ ე ლ ი ც ე ნ ტ რ ი

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

# შპს “საქართველოს რკინიგზა" 2006 წლის 17 მარტიდან აცხადებს ტენდერს სავაგონო უბნის წყალგაყვანილობის სისტემის რემონტის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს სავაგონო უბნის (საარენჯერიო ფარეხთან ერთად) წყალგაყვანილობის სისტემის რემონტის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205, და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად შემდეგმისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოს, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

| ლოტი | სამუშაოს დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | სავაგონო უბნის (საარენჟერიო ფარეხთან ერთად) წყალგაყვანილობის სისტემის რემონტი | ერთი |

2. სამუშაოს შესრულების ადგილი - ქ. თბილისი.

3. სამუშაოს შესრულების სასურველი ვადები: შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 5 მაისამდე.

4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებით, ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 10 და 11 აპრილს 9 სთ 00 წთ-დან 18 სთ და 00 წთ-მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას: **იურიდული პირებისათვის:**

1. სარეგისტრაციო დოკუმენტები და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან
2. ცნობა შესაბამისი ორგანოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, ასევე არ ხდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.
3. შესაბამისი სამუშაოს შესრულების გამოცდილება.
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა.

**ფიზიკური პირებისათვის:**

1. ცნობა შესაბამისი ორგანოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარებს გაკოტრების საქმის წარმოება.
2. შესაბამისი სამუშაოს შესრულების გამოცდილება.
3. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა.

1. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვლიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
2. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს “საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ: 56 33 51, 56 51 85.

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

# შპს „საქართველოს რკინიგზა" 2006 წლის 17 მარტიდან აცხადებს ტენდერს ბორჯომის ვაგზლის რეკონსტრუქციის შესახებ

1) შპს "საქართველოს რკინიგზა" (ქ. თბილისი, 0112 თამარ მეფის გამზ. 15 ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757), აცხადებს ღია ტენდერს 1 ლოტად სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს (საქართველოს ან უცხო ქვეყნის იურიდიული ან/და ფიზიკური პირი).

**ლოტი** 1 -ბორჯომი-ბალის ვაგზლის რეკონსტრუქცია (თბოპუნქტის მოწყობა)

1) სამუშაოს შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

2) დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, პრეტენდენტის მიერ სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდეგ, რეკვიზიტებზე ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757. პრეტენდენტს გადეაეცემა სატენდერო დოკუმენტაცია, რომელშეც დაწვრილებით იქნება გადმოცემული ობიექტის მახასიათებლები, ტექნიკური მაჩვენებლები და ნახაზები და ა.შ., ასევე ძირითადი მოთხოვნები პრეტენდენტების მიმართ.

3) დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (პრეტენდენტებთან ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების მიზნით), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 10 და 11 აპრილს 900 საათადან 1800 საათამდე , ორ ეგზემპლარად, შემდეგ მისამართზე: შპს "საქართველოს რკინიგზა", ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი იურიდიული ან/და ფიზიკური პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით, აგრეთვე ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების შემდეგ მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან.

4) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 ცნობები:

4.1.1 იურიდიული პირისათვის;

ა) ნოტარიულად დამოწმებული სარეგისტრაციო დოკუმენტები და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობას სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან რომ მის მიართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

გ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

დ) ხელმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

4.1.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ რომ მის მიართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

ბ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

4.1.3. როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ინფორმაცია სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო ძირითადი მანქანა
- მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებების და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ.
- ინფორმაცია უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების შესახებ, მათ შორის რკინიგზის ობიექტებზე შესრულებული სამუშაოების შესახებ
- ბოლო 5 წლის ფინანსური ანგარიშები (ბალანსები,აუდიტორიული დასკვნები და ა.შ.)
- ინფორმაცია საფინანსო რესურსების შესახებ.

სატენდერო წინადადებასა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად, დალუქული კონვერტებით, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის სახით სატენდერო წინადადების 1%-იანი საბანკო გარანტია.

დამატებითი ინფორმაცია შეიძლება მიიღოთ შპს "საქართველოს რკინიგზაში" ქ. თბილისი, 0112 თამარ მეფის გამზ. 15 მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში. საკონტაქტო ტელეფონები 563351,

სატენდერო კომისია

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" (საქართველო, 4401 ფოთი, დ. აღმაშენებლის N52, ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48), **besojojua@yahoo.com,** საინდ/კოდი 215080999, საბანკო რეკვიზიტები "თი-ბი-სი" ბანკის ფოთის ფილიალი ა/ა 609103, ბ/კ 220101937; ან Bankers Trust Company, New york Ny 10006, Swift BKTRU 33, FED. ABA-021001003, CHIPS UID-090400, Cor. Acc. 04414200. TBS - BANK. CHIPS UID N368655. SWIFT TBCB GE22. for TBC BANK Piti Branch. acc N10070337. LTD Poti SEA PORT აცხადებს ღია ტენდერს სხვადასხავა სახის სპეც ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შესყიდვაზე.

2. შესასყიდი საქონლის დასახელება და რაოდენობა:
- სპეცფეხსაცმელი 1028წყვ;
- ბამბეულის კოსტიუმი - 961ც;
- დათბილული ქურთუკი - 558ც;
- დამცავი ჩაფხუტი - 683ც;
- ბრეზენტის ხელთათმანი - 19200ც;
- საწვიმარი ლაბადა - 531ც;
- ხელთათმანი ხუთთითიანი ნაქსოვი - 468ც;
- ნავთობპროდუქტების დამცავი კოსტიუმი - 60ც;
- რეზინის წინსაფარი 60ც;
- კოსტიუმი, შარვალი, პერანგი - 65კომპ.
- მჟავეებისაგან დამცავი კოსტიუმი - 98ც;
- მჟავეებისაგან დამცავი ხელთათმანი - 588ც;
- უნივერსალური რესპირატორი - 50ც.
- ავტონომიური აირწინაღი - 50ც;
- რეზინის ჩექმა - 195ც;
- სამონტაჟე ქამარი - 20;
- დიელექტიკური ხელთათამანი მაღალი ძაბვის - 50ც;
- დიელექტიკური ხელთათმანი დაბალი ძაბვის - 50ც;
- ბრეზენტის კოსტიუმი - 15ც;
- დამცავი სათვალე - 100ც;
- დათბილული შარვალი - 45ც;
- ქეჩის ჩექმა - 45ც.

2.1 საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ცენტრალურ საწყობში "მიმწოდებლის" ხარჯებითა და სატრანსპორტო საშუალებებით, 3. საქონლის მიწოდების სასურველი ვადაა: 2006 წლის 15 ივნისამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები (ქართველმა "მიმწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მიმწოდებელმა" - ინგლისურ ან რუსულ ენაზე, (რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი) თავისი ქვეყნის კანონით დადგენილი შესაბამისი უწყებებიდან უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტაციული შენობის პირველი სართული კანცელარია.

4.1 წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

**5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას;**

5.1 იურდიული პირებისათვის;

5.1.1.ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმე;

5.1.2.ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

5.1.3 ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

5.2 ფიზიკური პირისათვის:

5.2.1. ცნობა სასამართლოდან, რომ ის ქმედითუნარიანია;

52.2. ცნობა საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული.

5.2.3 ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

5.3 იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:

5.3.1. მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლის დართვით) რეგისტრაციის ადგილი, საბანკო რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი (მიუთითეთ საკონტაქტო პირის ტელეფონი-ფაქსი)

5.3.2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

5.3.3. უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდება

| N | საქონლის დასახელება | შემსყიდველის დასახახელება | ხელშეკრულების ღირებულება |
|---|---|---|---|
| 1 | | | |
| 2 | | | |

6. ტენდერში მონაწილე ვერ გაივლის (საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება) თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციის (პაკეტის) გატანისათვის პრეტენდენტმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

8. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა (სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) განხორციელდება 2006 წლის დან 3 აპრილიდან 2006 წლის 5 აპრილის 1700 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტრაციული შენობის პირველ სართული. სატენდერო კომისიის აპარატი. საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48.

9. სატენდერო წინადადებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების წამოდგენის ბოლო ვადაა: 2006 წლის 12 აპრილის 1700 საათამდე განცხადების მე-4 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

10. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია სატენდერო წინადადების მთლიანი ღირებულების 1%-ის ოდენობით.

11. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

12. ტენდერში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

13. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების პირობების შესრულების ბოლომდე.

14. სატენდერო კომისიის მიერ მითითებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს, რომლებიც იქნებიან ჩართულნი "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების პროცესში.

15. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გმარჯვებულის გამოვლენა.

16. ტენდერში მონაწილეებმა სატენდერო წინადადებასა და საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინონ მოსაწოდებელი საქონლის ხარისხისა და შესაბამისობის სერთიფიკატები.

16. ტენდერში გამარჯვებულის გამოსავლენად უპირატესობა მიენიჭება შემდეგ პრიორიტეტებს: საქონლის ხარისხს, საქონლის მიწოდების ვადებს, ანგარიშსწორების პირობებს და საქონლის ღირებულებას.

17. დამატებითი ინფორმაცია ტენდერის პროცედურების შესახებ დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ - ლალი კეშელავასაგან და მანანა დანელიასაგან ტელ-ფაქსი: (+995 393) 7-01-48**),** ხოლო ტექნიკური მონაცემების შესახებ ვლადიმერ მიქავასაგან შპს "ფ.ს.ნ."-ს შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის უფროსი ტელ-ფაქსი: (+995 393) 7-01-12 მობ/ტელ: 8(99) 57-01-38.

**შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს**
**სატენდერო კომისიის სხდომის**
**ოქმი N1**

**ქ. ფოთი. --- --------2006წ**

საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-11 მუხლის შესაბამისად, შედგა შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს სახელმწიფო შესყიდვების სატენდერო კომისია.

სხდომას ესწრებოდნენ:

ლაშა ახალაძე - კომისიის თავმჯდომარე, შპს "ფ.ს.ნ"-ს გენერალური დირექტორი.

ვლადიმერ ხოხობაია - კომისიის წევრი, დირექტორი წარმოებისა და ექსპლუატაციის საკითხებში.

სუზანა კვაჭანტირაძე - კომისიის წევრი, დირექტორი სამართლებლივ საკითხებში.

პლატონ ფხალაძე - კომისიის წევრი, დირექტორის მოადგილე სამართლებლივ საკითხებში.

ალექსი ხუნწარია - კომისიის წევრი, დირექტორის მოადგილე კომერციულ და ინვესტიციების საკითხებში.

მოწვეული სპეციალისტები: ვლადიმერ მიქავა, შპს "ფ.ს.ნ."-ს შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის უფროსი.

**დღის წესრიგი**

განიხილეს:

1. შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს მუშა-მოსამსახურეებისათვის სპეც. ტანსაცმლისა და სპეც. ფეხსაცმლის შესყიდვა ღია ტენდერის წესით.
2. სატენდერო განცხადების ტექსტის მომზადება და გამოქვეყნების საშუალებების დადგენა.
3. სატენდერო დოკუმენტაციის (პაკეტის) განხილვა და დამტკიცება.
4. საორიენტაციო ღირებულების დადგენა.
5. საქონლის მიწოდების ვადების დადგენა.

დაადგინეს:

1. განცხადების ტექსტი, რომელშიც მითითებულია: შემსყიდველი ორგანიზაციის რეკვიზიტები, საქონლის მიწოდების სასურველი ვადები, სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის ოდენობა 1%, ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ოდენობა 5%, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის წესი, ვადა, ადგილი და ენა, სატენდერო მოსაკრებლის განაკვეთი.
2. სატენდერო განცხადების ტექსტი დაიგზავნოს გამოსაქვეყნებლად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს.
3. დამტკიცდა შესასყიდი საქონლის სატენდერო დოკუმენტაცია.
4. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება: 200 000 (ორასი) ათასი ლარი.
5. დამტკიცდა შეფასების კრიტერიუმები: საქონლის ხარისხს პრიორიტეტულობის კოეფიციენტია - 0,3 საქონლის ღირებულების პრიორიტეტულობის კოეფიციენტია - 0,2, ანგარიშსწორების პირობების პრიორიტეტულობის კოეფიციენტია 0,2, საქონლის მოწოდების ვადების პრიორიტეტულობის კოეფიციენტია 03.
6. დამტკიცდა საქონლის მიწოდების სასურველი ვადები: ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 (ოთხი) თვე ეტაპობრივად.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე ლაშა ახალაძე
კომისიის წევრები ვლადიმერ ხოხობაია
სუზანა კვაჭანტირაძე
პლატონ ფხალაძე
ალექსი ხუნწარია

მოწვეული სპეცილისტები ვლადიმერ მიქავა

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

